საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა
97
დღე

№ 103 (12 478) 3 მაისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი




## დიდებული ჩემპიონატი იქნება

ინტერვიუ მიშელ პლატინისთან
»»» 8

## ხომ არ მოხდება გარიგება?

გრანტი კერბიშლის აფრთხილებს
»»» 7



## პროფლიგის ახალი პროექტი:

## ლიგის თასი უეფაზე გასვლის შანსით

»»» 2

# ჩემპიონის მოლოდინში




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღეს ზესტაფონი-დინამოა. წინათქმა »»» 5

## კალაძე: მილანური დერბი ლიგის ფინალია



2006 წლის 14 აპრილი. კალაძე ინტერის კარში გატანილი გოლის შემდეგ

»»» 5,6

## როდმანს ქალი შემოელახა



»»» 14



## მარკოიშვილი ხმაურით დაბრუნდა

კალათბურთი. ლეგიონერი »»» 13

## შემობრუნება დარაგიანებით



ნუგზარ ხუარიძის ფოტო

გუშინდელი მატჩების მიმოხილვა »»» 3-4

პირველი ლიგა. გაგრა

# ჩვენი გუნდი უმაღლესისთვის თითქმის მზადაა

## გეგმას ეტაპობრივად ვახორციელებთ

**პირველი ლიგის გასულმა ტურმა აღმოსავლეთ ზონაში მდგომარეობა კიდევ ერთხელ შეცვალა. ამჯერად აგარის "მეშაქრემ" წაიფორხილა, რითაც "გაგრამ" ისარგებლა და თავად გალიდერდა. პირველი ლიგის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა ფაქტია, რომ დღეს მიზანთან უფრო ახლოს "გაგრაა". კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დასავლეთ ზონაში უკვე გაიმარჯვა "მალაროელმა", რომელიც ფლეი ოფში აღმოსავლეთის პირველ გუნდს დაუპირისპირდება. აქ გამარჯვებული 12-გუნდიანი უმაღლესის საგზურს ავტომატურად მიიღებს, დამარცხებულს კი კიდევ ერთი შანსი მიეცემა უმაღლესი ლიგის მეთერთმეტეადგილოსანთან.**

**გეხსომებათ, ბოლო ორ სეზონში "გაგრას" ორჯერ ჰქონდა უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი, მაგრამ ორივეჯერ ფლეი ოფში წააგო – შარშანწინ "ცხინვალთან", შარშან "ჩიხურასთან". საინტერესოა, რომ ამ ორმა გუნდმა უმაღლესში თამაში მაინც ვერ შეძლო – "ჩიხურა" მაინც დაქვეითდა, "ცხინვალი" კი საერთოდ დაიშალა. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა...**

**"ლელოს" ერთ-ერთი ამასწინანდელ ნომერში "მეშაქრისა" და დასავლეთი ზონის გამარჯვებულის, "მალაროელის" მდგომარეობაზე ვისაუბრეთ, დღეს კი მოკლედ "გაგრაში" არსებულ ვითარებასა და კლუბის პერსპექტივაზე ვთქვათ. ამ თემაზე კლუბის დირექტორ გოდერძი ჩიხრაძეს ვესაუბრეთ.**

- ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, მოვხვდებით თუ არა პლეი ოფში. მომდევნო ტურში "დინამო 2"-ს ვეთამაშებით. ყველაზე რთული მატჩი სწორედ ესაა. თუ აქ გავიმარჯვეთ, მიზანს, ალბათ, მივაღწევთ კიდეც. მოახლოებული შეხვედრებისთვის სრული მობილიზებით ვემზადებით, გუნდი ოპტიმალურ ფორმაშია და ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

**- ლიდერობის მიუხედავად, "გაგრა" სტაბილურად ნამდვილად ვერ ასპარეზობს...**

- დიახ, განსაკუთრებით ცუდად მეორე წრის საწყისი მატჩები ჩავატარეთ, მაგრამ ბოლო დროს გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობს. საბედნიეროდ, ვერც ჩვენი კონკურენტები თამაშობენ სტაბილურად. ასე რომ, თუ აღმოსავლეთ ზონაში გავიმარჯვეთ, ეს სავსებით სამართლიანი იქნება.

**- ფლეი ოფში გასული ერთი გუნდი უკვე ცნობილია. "მალაროელს" კარგად იცნობთ?**

- წინა სეზონში ხომ პირველი ლიგა ზონებად არ იყო დაყოფილი. ასე რომ, "მალაროელის" შესახებ ბევრი რამ ვიცით. თუმცა ჯერ მხოლოდ ჩვენს ზონაში დარჩენილ შეხვედრებზე ვფიქრობთ.

**- მზად ხართ იმისთვის, რომ გამკაცრებული სალიცენზიო პირობები დააკმაყოფილოთ?**

- საამისო თადარიგი დიდი ხნის წინათ დავიჭირეთ. ჩვენს საწვრთნელ ბაზას, რომელიც მუხრანში მდებარეობს, მაღალი შეფასება მისცეს. როგორც იცით, ბაზაც და სტადიონიც მუხრანში გვაქვს. სტადიონი ჯერ არ გვაქვს მაღალი დონის, მაგრამ უმაღლესში გადასვლის შემთხვევაში, მისი მშენებლობა გაგრძელდება და საკმაოდ მაღალი დონის არენა გვექნება. მშენებლობის დასრულებამდე კი საშინაო მატჩებს თბილისში ჩავატარებთ, ან "ლოკომოტივის" სტადიონზე, ანაც "ამერზე".

**- "გაგრა" თითქმის მთლიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ხომ არ ფიქრობთ, რომ უმაღლესში უფრო მეტი გამოცდილი მოთამაშე დაგჭირდებათ?**

- რა თქმა უნდა. თუმცა ჩვენი კურსი უცვლელი დარჩება: ფეხბურთელთა უმეტესობა ახალგაზრდული ასაკისა იქნება. აქვე შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა კლუბში ფეხბურთელები გვყავს განათხოვრებული და უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში, მათ უმრავლესობას დავიბრუნებთ.

**- შეკრებას კვლავ უკრაინაში გეგმავთ?**

- დიახ, სავარაუდოდ უკრაინაში გავემგზავრებით იმისდა მიუხედავად, შევძლებთ თუ არა უმაღლესში აღზევებას.

**- უმაღლეს ლიგაში რა მიზნებს დაისახავთ?**

- ჩვენს გეგმას ეტაპობრივად ვახორციელებთ. კარგად გვესმის, რომ უმაღლეს ლიგაში თავიდანვე მაღალი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია. იქ ჯერ ფეხს მოვიკიდებთ და შემდეგ უფრო სერიოზულ ამოცანებს დავისახავთ. "გაგრა" ერთწლიანი გუნდი არაა და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ.

**- ახალ სეზონს ახალი მთავარი მწვრთნელით ხომ არ შეხვდებით?**

- ამ საკითხზე ჯერ არ გვიმსჯელია. ამჟამად გუნდს ახალგაზრდა სპეციალისტი გიორგი ქიაბრიშვილი წვრთნის. გია გეგუჩაძესთან ერთად, გუნდის ჩამოსაყალიბებლად მან ბევრი იშრომა. გიორგის სეზონის დასრულების შემდეგ გავესაუბრებით და ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას. ბევრი რამ მის სურვილზე იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, თავად შეიკავოს თავი ამ ტვირთისგან და უმაღლეს ლიგაში უფრო გამოცდილი მთავარი მწვრთნელი მოვიწვიოთ. ქიაბრიშვილი "გაგრაში" ყველა შემთხვევაში დარჩება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, მთავარ მწვრთნელად მუშაობა კვლავ მან განაგრძოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**პირველი ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 24 | 13 | 6 | 5 | 51-36 | 45 |
| 2. ვიტ ჯორჯ. 2 | 24 | 13 | 5 | 6 | 37-18 | 44 |
| 3. მეშაქრე | 24 | 12 | 8 | 4 | 32-19 | 44 |
| 4. დინამო 2 | 24 | 12 | 7 | 5 | 33-19 | 43 |
| 5. ჩიხურა | 24 | 11 | 6 | 7 | 37-32 | 39 |
| 6. ოლიმპი 2 | 24 | 8 | 8 | 8 | 30-33 | 32 |
| 7. კახეთი | 24 | 9 | 4 | 11 | 36-36 | 31 |
| 8. ამერი 2 | 24 | 9 | 2 | 13 | 40-36 | 29 |
| 9. ოლიმპიკი | 24 | 5 | 4 | 15 | 31-50 | 19 |
| 10. წ. დინ/მერ. 2 | 24 | 0 | 6 | 18 | 17-65 | 6 |

**ლიდერთა დარჩენილი მატჩები**

**4 მაისი**

დინამო 2-გაგრა

ჩიხურა-მეშაქრე

**10 მაისი**

გაგრა-ჩიხურა

მეშაქრე-კახეთი

**16 მაისი**

კახეთი-გაგრა

ვიტ ჯორჯია 2-მეშაქრე

# პროფლიგის ახალი პროექტი: ლიგის თასი დიდი საპრიზოთი

## პაატა ბურჯალიანი: გამარჯვებულმა, შესაძლოა, უეფას საგზური მიიღოს



პაატა ბურჯალიანი

**საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი საინტერესო ტურნირით გამოცოცხლებას ცდილობს.**

**საქართველოს უმაღლესი ლიგის თასი – ასეთია იმ ტურნირის პირობითი სახელი, რომელზეც ამჟამად ლიგა მუშაობს. ეს ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, პაატა ბურჯალიანმა დაგვიდასტურა.**

**- პაატა, როგორც შევიტყვეთ, ლიგა ახალი თასის გათამაშებას გეგმავს.**

- დიახ, ლიგის თასის ჩატარება გვსურს, მაგრამ ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია.

**- რატომ?**

- ეს ჯერ მხოლოდ პროექტია და ბევრი რამაა გადასაწყვეტი და დასაზუსტებელი.

პროექტი კი ნამდვილად არსებობს. ამაზე ლიგის გამგეობის სხდომაზეც ისაუბრეს და გუნდების წარმომადგენლებს ჩვენი იდეა მოეწონათ, რადგან ის კომერციულია და დამატებითი შემოსავლის მიღების და სეზონის გამოცოცხლების საშუალება გახდება.

**- ლიგის თასი კომერციული იქნება. ეროვნული თასის ან სუპერთასის მსგავსი ოდენობის საპრიზო ფონდი დაწესდება?**

- არანაკლები თანხა, ვიდრე ეროვნულ ჩემპიონატში. ანუ 200 ათას ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. შეიძლება, უფრო დიდი საპრიზო ფონდიც დავაწესოთ. აქ სახელმწიფოს მონაწილეობაცაა შესაძლებელი.

**- მართალია, რომ თასის მფლობელი უეფას თასის საგზურს მიიღებს?**

- რადგან წლეულს ინტერტოტოს გათამაშებას უეფა ბოლოჯერ ატარებს, ამის გამო ვფიქრობთ, გათამაშება მარტო კომერციული კი არა, სპორტული კუთხითაც საინტერესო რომ გახდეს. ანუ ინტერტოტოს გათამაშების ნაცვლად, ერთი საგზური უეფას თასზე დაგვემატება და ვფიქრობთ, ხომ არ აჯობებს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა... თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

ჯერ ისიც არ ვიცით, ლიგის თასი წლეულს ჩატარდება თუ არა. თუმცა მეორე მომენტიცაა – ეროვნულ ჩემპიონატში უფრო მეტი დაძაბულობის მიღწევაა შესაძლებელი უეფას თასის მეტი საგზურის განაწილებით.

**- ტურნირი მთელი მთელი წელი გაგრძელდება თუ გათამაშება მეორე წრიდან დაიწყება?**

– ჯერ ამაზე საუბარი არც არის. პროექტის დამუშავება მიმდინარეობს და გადასაწყვეტია ისიც, ექვსი გუნდი ითამაშებს თუ რვა.

**- ეს გუნდები რა პრინციპით შეირჩევა?**

- უმაღლესი ლიგის საუკეთესო რვა ან ექვსი გუნდი ითამაშებს.

**- ფინალი თბილისში გაიმართება თუ რეგიონში? ლიგა ამას ყურადღებას რომ აქცევს, ამიტომ გეკითხებით.**

- ჯერ ესეც გასარკვევია.

**- წლეულს რამდენად რეალურია თასის ჩატარება?**

– ეს ბევრ საკითხზეა დამოკიდებული და ზაფხულში გაირკვევა. მთავარია, რომ გუნდებს პროექტი ძალიან მოეწონათ. სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით კი იდეა უფრო სოლიდური გახდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# მარცვალაძე მოედანს მომავალ სეზონში დაუბრუნდება




ოთარ მარცვალაძე

**ოთარ მარცვალაძემ** ვარჯიში განაახლა. მოსამზადებელ ეტაპზე „ხარკოვში" დამკვიდრების ნაცვლად, მთელი მეორე წრე ლაზარეთში გაატარა.

ბოლო ერთი წელიწადი მარცვალაძე ტრავმებმა ძალიან გააწვალა და თავის გამოჩენა ვერა და ვერ შესძლო. ჯერ კიდევ უჟგოროდის „ზაკარპატიეში" დაშავდა, განიკურნა და რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩიც ჩაატარა – არ გაგიკვირდეთ, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე. ოთარის თქმით, მუხლის ოპერაცია წარმატებული გამოდგა და უკვე ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგა.

*„ბესონოვმა მე და ალადაშვილი შეკრებაზე რომ მიგვიწვია, მეგონა, სერიოზული არაფერი მაწუხებდა. მუხლი არც მტკიოდა, მაგრამ მერე და მერე რომ ამტკივდა, ექიმს მივაკითხე და აღმოჩნდა, რომ სერიოზული ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი და სეზონიც გამიცდა. სრულფასოვან დატვირთვას სეზონის ბოლოს მოვახერხებ. გამოდის, მომავალ ჩემპიონატში თუ ვითამაშებ. მთავარია, რომ ჯანმრთელად ვარ და არაფერი მაწუხებს," - გვითხრა მარცვალაძემ.*

ოთარი დღემდე კიევის „დინამოს" საკუთრებაშია. კახა კალაძის გარდა, ეს კლუბი ქართველებისთვის უიღბლო გამოდგა. 23 წლის თავდამსხმელს კლუბიდან წასვლა კი სურს, მაგრამ ასე იოლად არაა მისი საქმე.

*"სამწუხაროდ, კონტრაქტი მხოლოდ ორწელიწადნახევარში მიმთავრდება. ასე რომ, "დინამოდან" წასვლაზე ფიქრი ჯერ კიდევ ნაადრევია. იმედი მქონდა, "ხარკოვში" ვითამაშებდი, უკრაინაში დავმკვიდრდებოდი და იქნებ, ვინმეს ჩემი გამოსყიდვა ეცადა, მაგრამ ტრავმამ გეგმები ამირია"* – სინანულით ამბობს ოთარ მარცვალაძე, რომელსაც, ერთი პერიოდი, ეროვნულ ნაკრებში სისტემატურად იწვევდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ზაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გიგი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ᵃ (დიღომი, ახალი კონსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIV ტური

# შემობრუნება დარატიანებით

**ლოკომოტივი-სპარტაკი**

**2:2**

**2.05. თბილისი. მ. მესხი**
**150 მაყურებელი**

0:1 ხიდაშელი (15), 0:2 ძარია (55), 1:2 ალექსიძე (64. პენ.), 2:2 ალექსიძე (90)

ლოკომოტივი: მიგინეიშვილი - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა - ჩხეტიანი (62.დ. ჩაგელიშვილი), ცქიტიშვილი, წულაძე (74. გილაური), სამხარაძე (90. გ. კვახაძე) - დარასელია, ალექსიძე

*სათადარიგოები: ბოჭორიშვილი, კაჭახიძე, ქუცურუა, ლ. ჩაგელიშვილი*

სპარტაკი: ქვილითაია - კუპრეიშვილი (62. ბახტურიძე), ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ქორიძე - თარხნიშვილი, ძარია (79. კვარაცხელია), ხიდაშელი, გოგოხია - მ. ლონლაძე (70. თექთურმანიძე)

*სათადარიგოები: კოდალაევი, დათუნაშვილი, ზამთარაძე, ხიზანიშვილი*

გაფრთხილება: ჩხეტიანი (62), გუშარაშვილი (67), თარხნიშვილი (85)

გაძევება: ფარულავა (73)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**9.** გიორგი ხიდაშელის ჯარიმა ომარ მიგინეიშვილმა კუთხურზე მოიგერია.

**15.** 0:1 - ხიდაშელმა ოციოდე მეტრიდან ზუსტად დარტყა.

**36.** აკაკი ქუხილავას ჩაწოდებულს რატი ალექსიძე შესწვდა, რომლის თავური არაზუსტი გამოდგა.

**55.** 0:2 - ირაკლი ძარიამ მეტოქის საჯარიმოს კიდიდან ცაციით ჩააზრიალა ბურთი "ლოკომოტივის" კარში.

**64.** 1:2 - ლევან ცქიტიშვილის მონაგრებული პენალტი ალექსიძემ გამოიყენა.

**71.** ქუხილავას ფლანგურ პასს ალექსიძემ აკრობატული დარტყმა მიაყოლა - ბურთი მიზანს ასცდა.

**74.** ზურაბ ბახტურიძეს შეეძლო გაეტანა, მაგრამ მიზანი ვერ გაასწორა.

**84.** ვიტალი დარასელიას ჯარიმა მაქსიმე ქვილითაიამ კუთხურზე მოიგერია.

**85.** ცქიტიშვილის კუთხურს ალექსიძემ შეაგება თავი - კარის ხაზიდან ბურთი "სპარტაკის" ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა.

**86.** ნუკრი გოგოხიამ საგოლე შანსი ვერ შეირგო.

**87.** ვახტანგ კვარაცხელიამ ვარდნაში, ახლოდან ააცილა "ლოკომოტივის" კარს.

**89.** ხიდაშელმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

**90.** 2:2 - "სპარტაკის" საჯარიმოში შექმნილი არეულობით ალექსიძემ საგოლედ ისარგებლა.



რატი ალექსიძის დუბლმა ლოკომოტივს ქულა მოუტანა

ცხინვალის "სპარტაკმა" ზედიზედ მეორედ ითამაშა 2:2 და ზედიზედ მეორედ მიითვალა დუბლი სპარტაკელმა **გიორგი ხიდაშელმა**. წინა ტურში "სპარტაკი" ორჯერ დაწინაურდა "ზესტაფონთან" და ორივეჯერ საპასუხო ბურთი მიიღო. არ ვიცი, სჯერა თუ არა **კობა ჟორჟიკაშვილს** მისტიციზმის, მაგრამ გამოუცდელი ფეხბურთელებით რიგიანი გუნდი რომ შექმნა, წყალი არ გაუვა.

"სპარტაკმა" გუშინ მეტოქეზე უფრო გამართული ფეხბურთი აჩვენა, მაგრამ გამოცდილებით ვერ ალემატებოდა მას და ამიტომაც ფრე იკმარა.

სტუმრებმა ჩაკეტილი ფეხბურთი შესთავაზეს მასპინძლებს და ეს კარგად გამოსდიოდათ. "სპარტაკმა" სივრცეები შეუზღუდა "ლოკომოტივს", მოედნის იმ მონაკვეთზე, სადაც ბურთი ტრიალებდა, სპარტაკელები რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ და ამას სინქრონულადაც აკეთებდნენ. ჟორჟიკაშვილის კატენაჩო ეფექტური გამოდგა - **ლევან ცქიტიშვილი, ირაკლი სამხარაძე** და **ვიტალი დარასელია** პირველ ტაიმში შებოჭილები იყვნენ.

ლოკომოტიველთა თავკაცმა **გიორგი კიკნაძემ** დარასელია პირველ ტაიმში თავდასხმაში **რატი ალექსიძის** მეწყვილედ გაამწესა და ამან არ გაამართლა. დარასელია ოდნავ უკანაც იხევდა ბურთის მოსაგდებად, მაგრამ "სპარტაკი" მას და მთელ "ლოკომოტივს" მარწუხებში აქცევდა. რაც შეეხება ალექსიძეს, რამდენჯერმე კი იმარჯვა ორთაბრძოლაში, მაგრამ ამან "ლოკომოტივს" ვერაფერი შემატა.

ერთი სიტყვით, პირველი ტაიმი "სპარტაკმა" ძალიან დამაჯერებლად ითამაშა, "ლოკომოტივმა" ერთი საგოლე მომენტიც ვერ შექმნა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები უფრო მონდომებულები კი ჩანდნენ, მაგრამ გოლი ისევ აქეთ გაუშვეს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ნირი როდი წაუხდინა "ლოკომოტივს" - უფრო შლეგად შეუტია მეტოქეს. ლიდერობა ირაკლი სამხარაძემ იკისრა, მეორე ტაიმში ის გუნდის ძრავა იყო, შრომატევად საქმეს აკეთებდა, თამაშსაც ამწვავებდა.

"სპარტაკი" მაგრად იდგა, ჩაკეტილ თამაშს არ ახსნევინებდა "ლოკომოტივს". ვითარება ისეთი იყო, მასპინძლები სტანდარტული მდგომარეობით თუ იხეირებდნენ და ასეც მოხდა - დარასელიამ ჯარიმა ჩააწოდა, მაღალი ბურთი რატიმ მოიგო და ცქიტიშვილს დაუგდო, რომელიც ერთ-ერთ სპარტაკელთან ორთაბრძოლაში წაიქცა - საკამათო ეპიზოდი იყო, თუმცა არბიტრმა **ლევან ფანიაშვილმა** 11-მეტრიანი დანიშნა და ალექსიძის გოლის შემდეგ თამაში უკიდურესად დაიძაბა.

მინდორზე უკვე ისეთი მუხტი იყო, ჩაკეტილი თამაში გაიხსნა. "ლოკომოტივს" ნიათი მოემატა, არც "სპარტაკი" აპირებდა გოჯის დათმობას. ძვალთამტვრევა წავიდა და "სპარტაკს" რიცხობრივი უპირატესობა შეექმნა - ხიდაშელი მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყო და **ფარულავამ** წააქცია, რომელიც გააძევეს.

კაცნაკლულ "ლოკომოტივს" თამაშის შემობრუნების შანსი უნდა შემცირებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად - ლოკომოტიველები კიდევ უფრო გახელდნენ. "სპარტაკს" რამდენჯერმე კონტრშეტევაზე შეეძლო მეტოქის გამოჭერა, მაგრამ დიდი დაძაბულობის ფონზე მის ფეხბურთელებს გოლის გასატანად კლასი აღარ ეყოთ. ისიცაა, რომ ჟორჟიკაშვილის ერთმა შეცვლამ არ გაამართლა - 17 წლის **გიორგი თექთურმანიძეს** ტექნიკა არ დაეწუნება, მაგრამ ისეთი კაფანდარაა, ორთაბრძოლებში აშკარად მოისუსტებს - ამ ფაქტორმა გარკვეული უპირატესობა მისცა "ლოკომოტივს".

მატჩის მიწურულს კი მასპინძლებმა შტურმისმაგვარი მოუწყვეს სტუმრებს და ალექსიძემ გამათანაბრებელი შეაგდო - აფორიაქებულ თამაშს ასე დაესვა წერტილი.

ერთიც: ლოკომოტიველმა **ზვიად ჩხეტიანმა**, რომელმაც პირველი წრე "მესხეთში" ითამაშა, მიმდინარე ჩემპიონატში მე-14 ყვითელი ბარათი მიიღო.

**რჩეული**

**რატი ალექსიძეს ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია, მაგრამ გუშინ მისმა გოლებმა შემოაბრუნა თამაში. ირაკლი სამხარაძე, ალბათ, არ გვიწყენს, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ალექსიძე მივიჩნიეთ.**

**დავით თავართქილაძე**



ლევან ცქიტიშვილი მეტოქეთა გარემოცვაში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**2 მაისი, პარასკევი**

| | |
|---|---|
| მესხეთი-ბათუმი | 3:2 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:2 |
| მგლები-სიონი | 1:0 |
| დილა-მერანი | 2:3 |

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| 17:00 | ზესტაფონი-დინამო | Live მზეზე |
| 17:00 | ვიტ ჯორჯია-ამერი | |
| 17:00 | ოლიმპი-ბორჯომი | |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 18 | 3 | 2 | 43-10 | 57 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 17 | 4 | 2 | 53-14 | 55 |
| 4. ამერი | 23 | 14 | 2 | 7 | 46-24 | 44 |
| 5. ოლიმპი | 23 | 13 | 4 | 6 | 23-16 | 43 |
| 6. მესხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 27-30 | 35 |
| 7. ბორჯომი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-29 | 31 |
| 8. მგლები | 24 | 9 | 3 | 12 | 22-29 | 30 |
| 9. სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-33 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 24 | 6 | 6 | 12 | 18-28 | 24 |
| 11. სპარტაკი | 24 | 4 | 8 | 12 | 12-27 | 20 |
| 12. მერანი | 24 | 6 | 1 | 17 | 15-48 | 19 |
| 13. ბათუმი | 24 | 4 | 3 | 17 | 15-47 | 15 |
| 14. დილა | 24 | 1 | 5 | 18 | 12-49 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 9 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |

**დარჩენილი ტურები**

**XXVI ტური**

**11 მაისი, კვირა**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბორჯომი-სიონი |
| 17:00 | ვიტ ჯორჯია-მგლები |
| 17:00 | სპარტაკი-დილა |
| 17:00 | დინამო-ლოკომოტივი |
| 17:00 | მერანი-ოლიმპი |
| 17:00 | ბათუმი-ზესტაფონი |
| 17:00 | ამერი-მესხეთი |

**XXVI ტური**

**20 მაისი**

| | |
|---|---|
| 17:00 | ზესტაფონი-ამერი |
| 17:00 | დილა-დინამო |
| 17:00 | მესხეთი-ვიტ ჯორჯია |
| 17:00 | ლოკომოტივი-ბათუმი |
| 17:00 | სიონი-მერანი |
| 17:00 | ოლიმპი-სპარტაკი |
| 17:00 | მგლები-ბორჯომი |

# მგლებმა მაინც იძალა

**მგლები-სიონი**

**1:0**

2.05. ზუგდიდი. ცენტრალური
2000 მაყურებელი

1:0 ჯანაშია (64. დ. ქირიას პასით)

სიონი: იაშვილი, კობაური, ზ. ჭელიძე, შავგულიძე, კვიტაიშვილი (46. ტუხაშვილი), სანიკიძე, გ. ჭელიძე (46. ნაყოფია), ბაჯელიძე, ვაშაკიძე, ნაკანი, ნოზაძე (66. ქურასბედიანი)

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია (62. ქომეთიანი), ჟვანია, ხუხია, გ. ქირია, დ. ქირია, კრასოვსკი (62. ექონია), ვართაგავა, ჯანაშია, წურწუმია (73. ჯიშკარიანი), ჭკადუა

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**19**. ჭკადუა 25 მეტრიდან კარგად ურტყამს საჯარიმოს, რომელიც ოდნავ ცდება ცხრიანს.

**21.** სანიკიძის ძლიერად დარტყმულს 30 მეტრიდან ივარდავა ეუფლება.

**28.** მეკარესთან პირისპირ გასული დავით ქირიას დარტყმული იაშვილმა ფეხით მოიგერია.

**33.** ნაკანის ძლიერ დარტყმას მეკარე იგერიებს.

**41.** ისევ იაშვილს მოუნია ოსტატობის გამოვლენა ამჯერად წურწუმიას დარტყმულის მოსაგერიებლად.

**47.** ტუხაშვილის დარტყმულს მეკარე იგერიებს.

**54.** დავით ქირიამ ტექნიკური დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

**55.** იაშვილმა ჭკადუას დარტყმული მოიგერია.

**58.** ჭკადუას ისევ აქვს გატანის შანსი, თუმცა იაშვილი ამჯერად ფეხით ულებს ბურთს.

**60.** ტუხაშვილი ბურთს პენალტის ნიშნულთან იღებს, ძლიერად ურტყამს... ივარდავა ნახტომში იგერიებს.

**64.** 1:0 - ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩენილმა ორმა ზუგდიდელმა მშვენივრად ითამაშა - დავით ქირიამ საჯარიმოში შეჭრილ ჯანაშიას გაუკეთა გადაცემა, რომელსაც არ გასჭირვებია გატანა.

**80.** ჯანაშია საჯარიმოს წინა ხაზიდან მშვენივრად ურტყამს, კარისკენ მიმავალ ბურთს მცველი ელობება.

სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მოთავსებულ და ერთმანეთისგან კინკილა ქულით დაშორებულ სტუმარ-მასპინძელთა პაექრობაში, ყველა დაძაბულ და საინტერესო დაპირისპირებას ელოდა, თუმცა ის ლოგიკას ნაკლებად დაემორჩილა. მატჩი პოზიციური ბრძოლით დაიწყო და პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ ოცწუთეულის ბოლოს შეიქმნა. **ჭკადუას** მშვენიერ ჯარიმას, სანიკიძემ უპასუხა, თუმცა გოლიც არც ერთს არ მოყოლია. მერე კი მასპინძლებს მართებდათ გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **დავით ქირიამ** მის შესახვედრად გამოსულ იაშვილს მოარტყა ბურთი. პირველი ტაიმის ბოლო ისევ მომენტების გაცვლით აღინიშნა: ჯერ სტუმარ **ნაკანს** ულებს მეკარე, მერე კი მასპინძელ **წურწუმიას**.

მეორეს ტაიმის დასაწყისში ახალშემოსულმა **ტუხაშვილმა** დაარტყა ძლიერად, რომელიც ივარდავას ნადავლი გახდა. ამას მასპინძელთა გააქტიურება მოჰყვა.. "სიონისთვის", სამწუხაროდ, მოსახდენი მაინც მოხდა და 64-ე წუთზე **ჯანაშიამ** ანგარიში გახსნა.

გაშვებულმა გოლმა სტუმრები იძულებული გახადა გააქტიურებულიყვნენ, მაგრამ ტუხაშვილის ჯარიმის მეტს ვერას გამორჩნენ.

**მერაბ ბრძელიძე**
ზუგდიდიდან

**მესხეთი-ბათუმი**

**3:2**

2.05. ახალციხე. ცენტრალური
მაყურებელი

1:0 კოშკაძე (4), 2:0 კოშკაძე (11), 2:1 ქებაძე (65. პენ), 2:2 გ. ჩხეტიანი (81). 3:2 სამადაშვილი (87).

# უიმედო და ჯერაც იმედიანი

**დილა-მერანი**

**2:3**

2.05. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

0:1 გოჩაშვილი (3), 1:1 მიქაძე (25. ვარდოსანიძის პასით), 2:1 მიქაძე (44. ნოზაძის პასით), 2:2 სარალიძე (47. გოჩაშვილის პასით), 2:3 გოჩაშვილი (68)

დილა: კეჩხუაშვილი-ბალაშვილი (85. გვეტაძე), ლაცაბიძე, ბალიაშვილი, რატიანი-ლომიძე (51. სადალაშვილი), აბრამიშვილი, ნოზაძე, ვარდოსანიძე, იჩქითი (57. ჩერქეზიშვილი)-მიქაძე

*სათადარიგოები: ილურიძე, სულთანიშვილი, რეხვიაშვილი, ნინამძღვრიშვილი*

მერანი: თევდორაძე-გოჩაშვილი, თავბერიძე, აფშილავა, სარალიძე-ლოლაძე, ბაკურაძე, კობერიძე, ჯანგიძე, იაგო დეისაძე (85. ბურჭულაძე)-იაკობ დეისაძე (46. ბესარაშვილი)

*სათადარიგოები: დგებუაძე, ჟღენტი, ახალაია*

გაფრთხილება: ბაკურაძე (67), თავბერიძე (80)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**3.** 0:1 - „მერანის" ერთ-ერთი პირველი შეტევა. გორელმა მცველებმა საჯარიმოდან მოშორებით მოიგერიეს ბურთი, თუმცა ვლადიმერ გოჩაშვილმა დაახლოებით 35 მეტრიდან ის ძლიერი დარტყმით კეჩხუაშვილის კარში გადაგზავნა.

**25.** 1:1 - ნოზაძე-ვარდოსანიძის კომბინაცია მიქაძის მიმართულებით გაკეთებული გადაცემით გაგრძელდა, გორელთა თავდამსხმელმა კი პასი შეირგო და გაათანაბრა.

**38.** სახეირო პოზიციაში მყოფმა იაგო დეისაძემ ცუდად დაარტყა და დაწინაურების შანსი ხელიდან გაუშვა.

**44.** 2:1 - ნოდარ ნოზაძე კუთხურს ისევ გიორგი მიქაძის მისამართით აწვდის, რომელიც თავის მხრივ ისევ ყველას ასწრებს და „დილა" წინ გაჰყავს.

**47.** 2:2 - მასპინძელი მცველები საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმდებიან გოჩაშვილზე, რომელიც სწრაფად ათამაშებს მას და სარალიძეს მეკარესთან თითქმის პირისპირ სტოვებს. მისი დარტყმულის წინააღმდეგ კი „დილის" გოლკიპერი უძლურია.

**68.** 2:3 - გოჩაშვილი კიდევ ერთხელ სარგებლობს მეტოქის კართან შექმნილი არეულობით და ამჯერად პირველთან შედარებით უფრო ახლო მანძილიდან იტანს.

**79.** ნიკა სადალაშვილის ფლანგურ პასს კარის სიახლოვეს მყოფმა ლაშა ბალიაშვილმა თავი დაუხვედრა, მაგრამ თევდორაძე ადგილზე დახვდა ბურთს.

**86.** გიორგი ვარდოსანიძე საჯარიმოს მარცხენა ფლანგიდან მეკარის ბაქანზე მყოფ თანაგუნდელებს აწვდის. ბურთს ვერავინ მოუხერხა მიმართულების შეცვლა.

ლეგიონერები

# კვირკველია და რუბინი მწარედ გააჩერეს



ლოკომოტივი-მოსკვა. მარჯვნივ დავით სირაძე

გუშინ, უკრაინის ვიშა ლიგაში 28-ე ტურის ერთი მატჩი გაიმართა. უმაღლესში დარჩენისთვის მებრძოლი „ხარკოვი", სადაც კიევის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **კახა ალადაშვილი** თამაშობს, ხარკოვულ დერბიში „მეტალისტთან", დამარცხდა - 0:2. ქართველი მცველი, მოულოდნელად, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა და ის მოედანზე არ შეუყვანიათ. „ხარკოვმა" ამ მარცხით სატურნირო მადგომარეობა გაირთულა, გუნდი 26 ქულით მე-13 ადგილზეა, თუმცა გასავარდნ ზონას მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს და თან კონკურენტებს ერთით ნაკლები მატჩი აქვთ გამართული.

ყველაფერს აქვს დასასრული და ყაზანის „რუბინის" ტრიუმფალურ სვლასაც ბოლო მოელო რუსულ პრემიერლიგაში. თათრეთის დედაქალაქში რეკორდსმენ „რუბინს" მოსკოვის „სპარტაკი" ეწვია და მწარედაც დაამარცხა - 0:3. „რუბინის" ქართველობიდან მხოლოდ **დავით კვირკველიამ** ითამაშა. მეორე ტაიმის 61-ე წუთზე მან მეკარესთან ერთ-ერთზე გასასვლელად მომზადებული **ბაჟენოვი** ზურგში ხელის კვრით საჯარიმოს ხაზზე წააქცია. ამ ეპიზოდს არც წითელი ბარათი მოჰყოლია და არც გოლი, კვირკველიას ყვითელი აკმარეს, საჯარიმო კი ცოცხალ კედელს გაარტყეს მოსკოველებმა, თუმცა „სპარტაკმა" ამ ეპიზოდის გასვლიდან სამიოდ წუთში მაინც გაიტანა მორიგი გოლი. **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო, ხოლო **ნუკრი რევიშვილი** ჯერ არ გამოჯანმრთელებულა. რუსული პროფლიგის ოფიციალურმა საიტმა კვირკველიას თამაში 5,5 ბალით შეაფასა.

ნალჩიკის „სპარტაკი" დისკვალიფიცირებული **გოგოტა გოგუას** გარეშე მასპინძლობდა „მოსკვას". კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თუ გოგუა არ თამაშობს „სპარტაკი" ნახევარი გუნდია - კავკასიელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს სტუმრებს. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** სასტარტოში ითამაშა, ხოლო **დავით სირაძე** მატჩის 27-ე წუთზე გამოჩნდა **ნაზირ კაჟაროვის** ნაცვლად, თუმცა ვერ გააძლიერა გუნდის შეტევები და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათიც მიიღო. ნალჩიკელებმა 0:3 დათმეს. „რუბინი" მარცხის მიუხედავად 21 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, ხოლო ნალჩიკის „სპარტაკი" 7 ქულით მე-13 ადგილზეა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში „მიუნხენი" – „ფრაიბურგის" დაპირისპირებამ უქართველოდ ჩაიარა, მასპინძელთა მცველი **მათე ღვინიანიძე** ტრავმირებულია, **ოთარ ხიზანეიშვილს** არ ათამაშებენ. „ფრაიბურგმა" 3:0 მოიგო. „ფრაიბურგი" 52 ქულით მეოთხეა და ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს. აუტსაიდერი „კარლ ცაისი" შინ 1:1 დაუზავდა „ოსნაბრიუკს". **ილია კანდელაკმა** მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, ფორვარდთა უკან ითამაშა. 71-ე წუთზე მოედანზე **გიორგი ონიანიც** ვიხილეთ, **გიორგი სეთურიძე** კი განაცხადში ვერ მოხვდა.

ავსტრიის ბუნდესლიგის საგზურის მოპოვების შანსი საბოლოოდ დაკარგა **მირზა ბჟალავას** ლუსტენაუს „აუსტრიამ". მეორეადგილოსანმა კლუბმა შინ ვენის „აუსტრიის" მოყვარულებთან წააგო – 1:2. მირზამ შეუცვლელად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვლადიმერ გოჩაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

უიმედო და ჯერაც იმედიან აუტსაიდერთა გორული შეხვედრა დიდ ინტერესს მხოლოდ სტუმართა გულშემატკივრებისთვის იწვევდა. „მერანმა" ამ მოგებით დარჩენილი იმედი შეინარჩუნა, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება იგი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. მერე რა რომ „დილას" აქ მიღწეული გამარჯვება ვერაფერს მოუტანდა უსარგებლო სამი ქულის გარდა. დღევანდელის ანალოგიურ სიტუაციას ბოლო წლებში მიჩვეული გორელები ტრადიციულად მაინც იბრძვიან ხოლმე ბოლო ტურების ღირსეულად ჩასატარებლად, მაგრამ ეს სეზონი ამ მხრივაც ცოტა განსხვავებულია. „დილამ" კარის გაჯახუნება ჯერჯერობით ვერ მოახერხა და თუ მაინცდამაინც მომავალ ტურში ცხინვალის „სპარტაკთან" გამოიდებს თავს, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გასაკვირიც იქნება და ცოტა დასანანიც, ვინაიდან ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეს ორი კოლექტივი უმაღლესი ლიგის ყველაზე ულიმლამო ფეხბურთს თამაშობს და მათ ნაცვლად სხვა გუნდის პირველ ლიგაში დაქვეითება დასანანი იქნება.

ამ შეხვედრაშიც მიუხედავად მატჩის უხვგოლიანობისა, მოწინააღმდეგეებმა ძალიან სუსტი თამაში აჩვენეს. კომბინაცია, შესრულების დონე და ოსტატობა მოედანზე ძალიან ნაკლებად ჩანდა, გატანილი ბურთები კი ისე გადიოდა, რომ „მომწიფებას" ვერ შეატყობდა კაცი. პირველივე ბურთიც სწრაფი და უცნაური გამოდგა — პირველ ტაიმში მარჯვენა მცველის ფუნქციების შემსრულებელმა და იმ მომენტში მოედნის ცენტრის სიახლოვეს მყოფმა **გოჩაშვილმა** ლამის 35 მეტრიდან გაუტანა კეჩხუაშვილს. გაშვებული გოლი „დილამ" თითქოს იუკადრისა, შეუტია და რამდენიმე მცდელობის შემდეგ **გიორგი მიქაძემ** როგორც იქნა მიაღწია მიზანს. ტაიმის ბოლოს ისევ მიქაძემ დისკვალიფიკაცია მოხდილი **ნოზაძის** მოზომილი პასი შეირგო და თავისი გუნდი დააწინაურა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს თამაშის ხალისი დაუკარგა „მერანის" უნინდელზე ცოტა მეტმა მონდომებამ. სტუმრები, მართალია, საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ, მაგრამ ერთთავად „დილას" საჯარიმოსთან მოძრაობდნენ. შიდაქართლელებს, სანამ მათთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევას მოაბეს თავი, უკვე ორი ბურთი ჰქონდათ გაშვებული და 2:3-ს აგებდნენ. შეხვედრის ბოლოს „დილამ" იაქტიურა. რამდენიმე საგოლე მომენტი შეექმნა კიდეც, მაგრამ სეზონის განმავლობაში მხოლოდ ათი გოლის გამტანი გუნდისთვის ერთ თამაშში ორზე მეტჯერ მოწინააღმდეგის კარის ალება, გამორიცხული არაა მიღწევად ჩაითვალოს...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# მერანი შანსს ინარჩუნებს

"მერანი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის, ამის პარალელურად კი გარკვეული ფინანსური პრობლემები აქვს და ჯერ გაურკვეველია, უმაღლესში ადგილის შენარჩუნების შემთხვევაში შეძლებს თუ არა იქ ასპარეზობას.

გუშინ, დედაქალაქურმა კლუბმა გორში "დილას" სძლია და პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა. *"მეტოქე თავდაუზოგავად გვებრძოლა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ურთულესი თამაშის მოგება შეძლეს. ამ გამარჯვებამ უკეთესი მომავლის იმედი გაგვიჩინა. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება და მომავალ სეზონსაც უმაღლეს ლიგაში ჩავატარებთ. პრობლემები ისევ გვაქვს, მაგრამ მისი მოგვარება შესაძლებელია. ვნახოთ, ყველაფერი მალე გაირკვევა"*, - ამბობს "მერანის" მთავარი მწვრთნელი **დავით ეჯიბიშვილი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. ინტერვიუ დიდიე ოვონოსთან

# ზესტაფონში ჩვენ მოვიგებთ

## ესპანიოლამდე დინამოში ევროტურნირებზე

კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო, ეს საფეხბურთო გამოთქმა, ალბათ, ხშირად გსმენიათ. იმავეს თქმა თამამად შეიძლება თბილისის დინამოელ დიდიე ოვონოზე. ის ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო თუ არა ერთ-ერთი ყველაზე კარგი მეკარეა.

გაბონელ გოლკიპერსა და "დინამოს" ხვალ კიდევ ერთი რთული გამოცდა ელით. მას ამჯერად "ზესტაფონის" შეტევებისგან მოუწევს კარის დაცვა. თუ დუშან უპრინის გუნდმა ეს თამაში მოიგო, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ დინამოელებს ოქროს მედლებს ველარავინ გამოსტაცებს. "ზესტაფონი"-"დინამოს" შეხვედრა, ფაქტობრივად, საჩემპიონო მატჩია. თამაშის წინ თბილისელთა მეკარის პოზიციით დავინტერესდით.

- შაბათს ძალიან რთული ბრძოლა გველის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ზესტაფონთან" ტურის კი არა, სეზონის მთავარი თამაში გველის.

არც ერთი მხარე არაფერს დათმობს. ჩვენ ეს მატჩი უნდა მოვიგოთ და ჩემპიონები გავხდეთ. მეტოქესაც არანაკლები მოტივაცია აქვს. თუ ამ თამაშს ვერ მოიგებს, მაშინ უეფას თასზე საასპარეზო საგზურის მოპოვებისთვის ბრძოლაში შანსებს შეიმცირებს.

**- ზესტაფონში სრული შემადგენლობით მიემგზავრებით?**

- დიახ, არავინ დაგვაკლდება. ძალიან ვწუხვართ, ჩვენი გუნდის ექიმი გოგიტა ლობჟანიძე ავტოკატასტროფაში რომ დაიღუპა. რამდენიმე თვეა, რაც "დინამოში" ვარ, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა, ძალიან კარგი ადამიანი იყო.

**- გასაგებია თქვენი წუხილი. ისევ მთავარ თემას დავუბრუნდეთ. მეტოქეს როგორ შეაფასებდი?**

- მეტოქის რომელიმე ხაზის გამოყოფა გამიჭირდება. "ზესტაფონი" კარგად შეთამაშებული და ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია. ის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივია.

**- შაბათის მატჩში შანსებს თანაბრად გაანაწილებდით?**

- არა. მართალია სტუმრად გველის თამაში, მაგრამ, ვფიქრობ ჩვენ უკეთესი შანსი გვაქვს. ჩემი აზრით, ჩვენი შანსი 60 %-ია, დანარჩენი კი - მეტოქის.

**- მოწინააღმდეგის ბანაკში შენი მეგობარი და თანამემამულე კესანი თამაშობს. მასთანაც მოგიწევთ დაპირისპირება...**

- (იცინის) დიახ, ასეა, თუმცა პროფესიონალები ვართ და 90 წუთის განმავლობაში ეს მეგობრობა გვერდით უნდა გადავდო. ჩვენ მოედანზე მეტოქეები ვართ. ეს ვუთხარით კიდეც ერთმანეთს სატელეფონო საუბარში.

**- პროგნოზებიც ხომ არ გააკეთეთ?**

- ერთმანეთს მოგებით დავემუქრეთ. კესანს ვუთხარი 2:0-ს მოგიგებ თქო. მან კი მითხრა, მასპინძლის როლში ჩვენ ვართ და 1:0-ს გავიმარჯვებთო. ვნახოთ ვისი პროგნოზი გამართლდება.

**- "ზესტაფონმა" ბოლოს ჩატარებულ ტურში აუტსაიდერთა შორის მყოფ "სპარტაკს" ვერ მოუგო...**

- ვნახე ეს თამაში."სპარტაკმა" კარგად ითამაშა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ზესტფონს" კრიზისი დაეწყო. ასეთია ფეხბურთი, მსგავსი ჩავარდნა ყველას მოსდის,

**- ამ მატჩის შემდეგ 5 დღეში "ზესტაფონთან" კიდევ ერთხელ მოგიწევთ დაპირისპირება და ისევ სტუმრად. თასის ნახევარფინალის პირველი შეხვედრა ამ გუნდთან ფრედ 1:1 დაამთავრეთ. ფინალში გასვლის რა შანსი გაქვთ?**

- ვფიქრობ, ჩინებული შანსი გვაქვს და გავალთ კიდეც. ეს იოლი არ იქნება და საამისოდ დიდი ბრძოლა მოგველის. "ზესტაფონის" ზედიზედ ორჯერ დამარცხება იოლი საქმე ნამდვილად არაა.

**- ზედიზედ ორი თამაში ერთ გუნდთან, ფსიქოლოგიურადაც რთულია...**

- გეთანხმებით, მაგრამ მინუსებთან ერთად ამას თავისი პლუსიც აქვს. მეორე მატჩამდე კიდევ უფრო უკეთ შევისწავლით მეტოქეს. თქვენს მიერ ნახსენები ფსიქოლოგიური მომენტის მიუხედავად, ჩვენ შევძლებთ და "ზესტაფონს" ორივეჯერ მოვუგებთ.

**- ახლა ერთზეც მინდა გკითხოთ. მეკარეობასთან ერთად მცველობაც გამოგდით. არაერთ ვითარებაში მეტოქის ფორვარდებთან საჯარიმოს მიღმაც მოგიწიათ თამაშმა...**

- (იცინის) სხვა მეკარეებიც ასე თამაშობენ, როცა ვითარება მოითხოვს და სხვა გზა არაა. ჩემი აზრით მეკარეს ფეხითაც უნდა შეეძლოს თამაში.

**- ჯერ კიდევ ზამთარში ვწერდით, რომ თქვენით "ესპანიოლია". დაინტერესებული. სეზონის ბოლოს კი კონტრაქტი გიმთავრდებათ...**

- დიახ, ეს ვიცი, "ესპანიოლის" ინტერესზე მეც გავიგე. საერთოდაც, ყველასათვის სასიხარულოა, როცა უკეთეს კლუბს სურს შენი აყვანა. თუმცა კონტრაქტი არა, ხელშეკრულების პირველი ნაწილი იწურება. "დინამოსთან" ოფციონის წესით გაფორმებული კონტრაქტი მაქვს, 1+2. ხელშეკრულების თანახმად, "დინამოს" აქვს მთავარი უფლება კონტრაქტის გაგრძელებაზე ან უარის თქმის. რამდენადაც ვიცი, თბილისურ კლუბს არ უნდა ჩემი დათმობა.

**- ე.ი. კონტრაქტს გააგრძელებ?**

- ამაზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. თუმცა "დინამოს" ხელმძღვანელობის სურვილია ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აქ ვითამაშო და მეც არ ვარ ამისი წინააღმდეგი. ერთი სიტყვით, ევროტურნირებზე თბილისურ გუნდში ვითამაშებ, დანარჩენზე კი მერე დავილაპარაკებთ.

**დავით ცაბაძე**



ლეგიონერი

# კალაძისთვის დერბი ლიგის ფინალს უდრის

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში მილანური დერბი გაიმართება. გარდა იმისა, რომ "მილანისა" და "ინტერის" დაპირისპირება ყოველთვის უპრინციპულესია, ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. "ინტერს" თანაქალაქელთან დაპირისპირებაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის განაღდება შეუძლია, "მილანი" კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

იტალიურ პრესაში **კახა კალაძის** კომენტარი გამოქვეყნდა. *"შარშან, ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალი რომ არ მოგვეგო, ამ ტურნირზე ვერ ვიასპარეზებდით. ასე რომ, "ინტერთან" მატჩსაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელი ძალებით ვიბრძოლებთ და იმედია, თამაშის შედეგით ჩვენს გულშემატკივრებს გავახარებთ. მომავალმა ჩემპიონთა ლიგამ "მილანის" გარეშე არ უნდა ჩაიაროს"*, - ამბობს საქართველოს ნაკრების კაპიტანი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი-დინამოს წინ

# საჩემპიონო სერიალი



თემურ მახარაძე



დუშან უპრინი

...დრო იყო, სეზონის დასრულებამდე შვიდი-რვა ტურით ადრე ჩემპიონატს აზრი ეკარგებოდა - "დინამო" ვადაზე ადრე ინაღდებდა ოქროს მედლებს. ის პერიოდიც კარგად გვახსოვს, ჩვენ ყველაზე ტიტულოვან გუნდს დალხენილი ფინიში რომ არ ჰქონდა - ჯერ "გურია" უწევდა კონკურენციას, მერე "სამტრედია", შემდეგ კი სულაც "ტორპედოს" სამწლიანი ზეობის დროც მოვიდა. ერთხელ "ლოკომოტივმაც" მოინდომა ჩემპიონობა, მაგრამ ერთობ სიმპათიური და ახალგაზრდული "თბილისის" მსგავსად არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ ბოლო წლებში ქვემო ქართლის ერთდროულად ორმა გუნდმა შეძლო და "დინამო" უტიტულოდ დატოვა - ორი წლის წინათ ბოლნისის "სიონმა", შარშან კი რუსთავის "ოლიმპმა". ალარაფერს ვამბობთ "ვიტ-ჯორჯიაზე" - უკვე მერამდენე წელიწადია "დინამოს" თან სდევს "ვეტერინარული აჩრდილი". დაბოლოს, კიდევ ერთი "ტკბილი ლუკმა", სახელად "ზესტაფონი" რომ ჰქვია. ისე, კიდევ საკითხავია, ვისთვის არის ტკბილი და ვისთვის - მწარე; თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: ბოლო წლებში "დინამოსთვის" ყველაზე უხერხული მეტოქე სწორედ "ზესტაფონია". აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბოლო რამდენიმე სეზონში ამ გუნდების დაპირისპირებაში, ფაქტობრივად, ჩემპიონიც ვლინდებოდა. თუმცა ისეც ყოფილა, რომ პრინციპულ მეტოქეთა შედეგით... მესამე მხარეს უხეირია. აი, შარშან რომ მოხდა: "დინამომ" შინ "ზესტაფონთან" ფრედ (2:2) ითამაშა და ამით, ყველაზე მეტად, რუსთავის "ოლიმპმა" ისარგებლა. ისე, რახან 2007 წლის 13 აპრილის მატჩი ვახსენეთ, არც ის დავივიწყოთ, თუ როგორი დრამატული შეხვედრა იყო; ჯერ სტუმრებმა გახსნეს ანგარიში, მერე "დინამომ" ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა და 64-ე წუთზე, ფაქტობრივად, თამაშიც უნდა დაემთავრებინა. მაგრამ იმ მატჩის კი არა, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა **სანდრო იაშვილმა** პენალტი ვერ გამოიყენა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი სტუმართა ლამაზი კომბინაცია **ბექა გოცირიძის** ეფექტური გოლით დასრულდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფრემ "დინამოს" ჩემპიონობა დააკარგვინა და ასე დარჩა თავის პირველ ქართულ სეზონში უტიტულოდ **დუშან უპრინი.** არადა, თითქოს დამთხვევა იყო, მაგრამ გამოცდილი ჩეხი მწვრთნელის სადებიუტო მატჩი საქართველოს ჩემპიონატში... ზესტაფონში შედგა, ოღონდ წინა ჩემპიონატის პირველ წრეში. ამ შეხვედრას სხვა დატვირთვაც ჰქონდა - იმერულ კლუბში ახალი დაბრუნებული (მერამდენედ!) იყო **თემურ მახარაძე!** მწვრთნელი, რომლის გაწვრთნილ გუნდებს "დინამოსთან" თითქმის დადებითი ბალანსი ჰქონდა. ის მატჩი "ზესტაფონმა" მინიმალური ანგარიშით მოიგო და, ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო კიდეც ამ გუნდის უჩვეულო და სარეკორდო წაუგებელი სერია. თავად განსაჯეთ - წელიწადი და ოთხი თვე "ზესტაფონის" დამარცხებას ვერავინ ახერხებდა და წაუგებელი მატჩების რაოდენობამ 35-ს მიაღწია. თუმცა ყველა ლამაზ ზღაპარს აქვს დასასრული და ვის უნდა შეეჩერებინა იმერული კლუბის ძლევამოსილი სვლა, თუ არა - "დინამოს". ჰო, ეს უკვე ამ ჩემპიონატში მოხდა, კონკრეტულად კი 6 დეკემბერს, პირველი წრის უკანასკნელ შეხვედრაში. ამ მატჩამდე "დინამო" ერთი ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს და გამარჯვების შემთხვევაში კონკურენტსაც გადაასწრებდა და "შემოდგომის ჩემპიონის" არაოფიციალურ ტიტულსაც დაეუფლებოდა. ასეც მოხდა: დუშან უპრინმა მესამე ცდაზე შეძლო თემურ მახარაძის ძლევა; თანაც, "დინამომ" იმ დღეს მეტოქე ყველაფერში დაჯაბნა - **დავით დილმელაშვილისა** და **მიხეილ ხუციშვილის** გოლების გარდა მასპინძლებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ. სტუმრები კი, მართლაც უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდნენ აღმაფრენით მოასპარეზე დინამოელების ფონზე და მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შექმნეს ერთი სახიფათო მომენტი. თანაც, ვინ "იზამდა" ამას, თუ არა უბერებელი **ზურაბ იონანიძე,** რომლის თავურიც ძელს მოხვდა.

იმ გამარჯვებით "დინამო" პირველი წრის გამარჯვებული გახდა და ახლაც, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე კვლავაც ერთპიროვნული ლიდერია. დიდი შანსია, რომ ორწლიანი პაუზის მერე "დინამომ" ჩემპიონობა დღესვე მოიპოვოს. თანაც, სად - ზესტაფონში! მით უმეტეს, რომ ასეთი პრეცედენტი უკვე ყოფილა: 1991 წელს, ერთწრიანი ჩემპიონატი რომ ჩავატარეთ, "დინამოს" ერთი ქულა სჭირდებოდა ოქროს მედლების მოსაპოვებლად და უახლოეს მდევარ "გურიას" გადასასწრებად. ჰოდა, ბოლო ტურში "დინამო" ზესტაფონში მაშინდელ "მარგვეთს" სტუმრობდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია (3:3). საჩემპიონო სუფრაც იქვე, ზესტაფონში გაიშალა და ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ "დინამოს" მაშინდელი ორი წამყვანი ფეხბურთელი - **კახა კაჭარავა** და **გია ჯიშკარიანი** დღესაც ამ გუნდში მოღვაწეობენ. თანაც, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, "კაჭომ" ორი გოლი გაიტანა, "ჯიშკარა" კი სულაც გუნდის კაპიტანი იყო...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ოთხ დღეში "ზესტაფონი" და "დინამო" ერთმანეთს ისევ უნდა შეხვდნენ. ოღონდ, ამჯერად უკვე თასის განმეორებით ნახევარფინალში. სერიალი გრძელდება...*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXVI ტურის წინ

# გაგამწარებთ!

## მილანი ინტერს არ აზეიმებს





**ხვალ**

მილანი-ინტერი
სამპდორია-რომა
სიენა-იუვენტუსი
კალიარი-ფიორენტინა
ემპოლი-უდინეზე
პარმა-ჯენოა
ტორინო-ნაპოლი
ლაციო-პალერმო
ატალანტა-ლივორნო
კატანია-რეჯინა

ხვალ განსაკუთრებული "მადონინაა" (ასე უწოდებენ იტალიელები მილანურ დერბის). მართალია, ის დრო აღარ არის, როცა ორი მილანური გრანდი ერთმანეთს სკუდეტოს ეცილებოდა, მაგრამ საკვირაო დაპირისპირებას მაინც ახლავს გამორჩეული ინტრიგა: "ინტერმა" ჩემპიონობა 4 მაისს არ უნდა იზეიმოს! ასეა განწყობილი "მილანის" თითოეული მოთამაშე და ეს სრულიად გასაგებია. გუნდს, რომელიც ტყავში ძვრება, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური მაინც მოიპოვოს, "ინტერისთვის" საზეიმო განწყობის ჩამწარება ლამის სეზონის უპირველეს ამოცანად მიაჩნია. მაგრამ შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ლიდერს ამ თამაშის მოგებამაც არ მოუტანოს ტიტული. საკითხავია, როგორ დამთავრდება მატჩი გენუაში, სადაც "რომა" "სამპდორიას" სტუმრობს. ამ მხრივ, "ჯალოროსის" ნამდვილად არ გაუმართლა. "სამპი" რომ იოლად არაფერს დათმობს, ცხადია. **ვალტერ მაძარიც** ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს, ხოლო **კასანო** თავის ყოფილ გუნდს ემუქრება...

შარშან, "ინტერმა", სტუმრის რანგში, "როსონერის" 4:3 მოუგო. ეს შეხვედრა დიდი მილანური დაპირისპირებების ისტორიაში შევიდა. **რობერტო მანჩინის** გუნდი 4:1-ს იგებდა, მაგრამ ორი გოლი გაუშვა და საქმე სათუოდ გაიხადა. რთული წარმოსადგენია, რომ საკვირაო მატჩიც უხვგოლიანი იყოს. რაკი ორივე გუნდი გამარჯვებაზე ფიქრობს, ამ შემთხვევაში მათი მთავარი მოკავშირე სიფრთხილე იქნება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ **კარლო ანჩელოტი** წინა ხაზზე მხოლოდ **ინძაგის** დაყენებას აპირებს. "პიპოს" ზურგს **ზეედორფი** და **კაკა** გაუმაგრებენ. ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება **კახა კალაძეც**, რომელმაც 2006 წელს "ინტერს" გამარჯვების გოლი გაუტანა. მარცხენა ფლანგს **ფავალი** გააკონტროლებს. კარლეტო, ალბათ, კვლავ თადარიგში დატოვებს **ოდოს**, რომელმაც ტრავმის შემდეგ ფორმა ვერა და ვერ აღიდგინა. ამიტომ, მარჯვნივ **ბონერა** იქნება. არც ისაა გამორიცხული, მწვრთნელმა ადგილი გამოცდილ **კაფუსაც** მიანდოს. ნახევარდაცვაში ცვლილებები არ არის მოსალოდნელი: **გატუზო-პირლო-ამბროზინი**.

ანჩელოტისგან განსხვავებით, მანჩინი ორ ფორვარდზე გააკეთებს აქცენტს. რაკი **იბრაჰიმოვიჩი** ტრავმირებულია, ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ძირითადში უთუოდ **კრუსი** იქნება. რაც შეეხება მის მეწყვილეს, "მანჩო" არჩევანს **კრესპოსა** და **ბალოტელის** შორის გააკეთებს. ნაკლებად მოსალოდნელია, აქ **სუასოც** მოიაზრებოდეს. ჰონდურასელმა, ტრავმის გამო, პარასკევის ვარჯიში გამოტოვა. ზლატანის გარდა, ტრავმები აწუხებთ **ფიგუს, დაკურს, სამუელსა** და **კორდობასაც**. თუმცა "ინტერი" ამ კვარტეტის გარეშე თამაშს უკვე მიეჩვია და მათი არყოფნა მანჩინისთვის გადაუჭრელი პრობლემა არ იქნება. ტრავმირებულთა ხსენება მწვრთნელს მხოლოდ შესაძლო წაგების გასამართლებლად თუ დასჭირდება...

ახლა, ცოტა სტატისტიკაც. "მილანი" "ინტერს" 74-ედ "მასპინძლობს". "ნერაძურის" მცირე უპირატესობა აქვს: 28 მოგება, 22 ფრე და 23 მარცხი. ბურთების სხვაობაც მის სასარგებლოდაა: 105-94. ბოლო ფრე (0:0) 2004/05 წლების სეზონში იყო, "მილანმა" კი უკანასკნელად 2006 წლის 14 აპრილს მოიგო (1:0, კალაძის გოლით). ასე რომ, ბოლო 5 დაპირისპირებიდან, "როსონერიმ" 3 მოიგო, ერთხელ დაზავდა და ერთხელაც მარცხი იწვნია.

მიმდინარე დინამიკა ასეთია: მას შემდეგ, რაც "ინტერმა" შინ "იუვენტუსთან" წააგო (1:2), ფრედ (1:1) ითამაშა "ლაციოსთან" და გაიმარჯვა ზედიზედ ოთხ მატჩში. ხოლო "მილანი" უფრო შედეგიანობით გამოირჩა. ანჩელოტის შეგირდებმა ბოლო ორი მატჩი დიდი ანგარიშით (4:1, 5:1) მოიგეს, ინძაგიმ კი ოთხ შეხვედრაში 7 (!) გოლის გატანა მოახერხა და "ინტერი" ფრთხილად უნდა იყოს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** კალაჩი, ბონერა, ნესტა, კალაძე, ფავალი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კივუ, მატერაცი, მაქსველი, ვიეირა, კამბიასო, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, კრესპო, კრუსი.

შარშან, "რომამ" გენუაში 4:2 მოიგო, მაგრამ წელს "სამპდორია" სხვა გუნდია. **ვალტერ მაძარის** პრობლემა ისაა, რომ ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ძირითადი მეკარე **კასტელაცი** და მცველი **კამპანიარო**, სერია A-ს ყველაზე შედეგიანი მცველი **მაჯო** კი დისკვალიფიცირებულია. ერთმატჩიანი სასჯელი აქვს "რომას" მცველ **ჟუანსაც**. ამას გარდა, ტრავმირებულია **ტოტი**, რომლის გარეშეც "ჯალოროსიმ" წინა ტურში იოლად (4:1) დაამარცხა "ტორინო".

"იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური კი გაინაღდა, მაგრამ ეცდება, მეორე ადგილსაც შეეჭიდოს, რათა საკვალიფიკაციო ეტაპი აიცილოს და პირდაპირ ჯგუფში მოხვდეს. ასე რომ, **კლაუდიო რანიერი** კვლავ ნაცად შემადგენლობას დაეყრდნობა. "სიენას" არ ეყოლება მცველი **ბერტოტო** და ნახევარმცველი **კოპოლა**. "იუვეს" კი ტრავმირებული ჰყავს **იაკვინტა**.

საინტერესო თამაში იქნება სარდინიაზე, სადაც "ფიორენტინა" ჩადის. ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება ქულები. "იები" უეფას თასის ფინალში ვერ გავიდნენ და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსიც თუ გაუშვეს ხელიდან, არა გვგონია, **ჩეზარე პრანდელის** მადლობა უთხრან. თან "კალიარი" იმდენად კარგად ატარებს მეორე წრეს, ქულის მოსაპოვებლადაც კი ფლორენციელებს დიდი ჯაფა დაადგებათ. თუმცა მასპინძლებისთვის სერიოზული პრობლემა იქნება ნიჭიერი ფორვარდის **აკვაფრესკას** ტრავმა, დაშავებულია ნახევარმცველი **პაროლაც**. "ფიორენტინას" კი ამავე მიზეზით საყრდენი შუახაზელი **მონტოლივო** დააკლდება.

"ემპოლიმ" წინა ტურში მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა და სერია A-ში დარჩენის იმედი გაუჩნდა. თუ არ ჩავთვლით ფორვარდ **პოცის**, რომელსაც კარგა ხანია ტრავმა აწუხებს, "უდინეზესთან" მატჩში ტოსკანელებს ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლებათ. სერიოზულ დანაკლისს არც **პასკუალე მარინო** უჩივის.

**ექტორ კუპერს** გარანტია მისცეს, რომ სერია B-ში გავარდნის შემთხვევაშიც კი პოსტზე დარჩება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ "პარმის" ხელმძღვანელობა უკვე შეურიგდა ბედს. ოღონდ ეგ არის საფიქრალი, როგორ უნდა მოუგოს "ჯენოას", 8 (!) ძირითადი მოთამაშის გარეშე. "ტორინო" უმოტივაციო "ნაპოლის" უმასპინძლებს. **ჯანი დე ბიაზის** სასიცოცხლო გამარჯვებისთვის ზრუნვა **დელაფიორეს, კომოტოს, ნატალისა** და **პაოლო ძანეტის** გარეშე მოუწევს. ნეაპოლელებს კი სერიოზული ბზარი აქვთ დაცვაში, დისკვალიფიცირებული **კანავაროს** გამო.

"ლივორნო" თითქმის განწირულია, მაგრამ "ატალანტასთან" გასვლით მატჩს მაინც მოტივაციით ხვდება. მწვრთნელის პოსტზე ხელმეორე დებიუტი ექნება **ფერნანდო ორსის**, რომელმაც ორშაბათს **ჯანკარლო კამოლეზე** შეცვალა. ორივე გუნდს რამდენიმე მთავარი ფიგურა აკლია. დიდი ჯახი იქნება "კატანიასა" და "რეჯინას" სამხრეთულ დერბიში. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა. სიცილიელთა ახალმა მწვრთნელმა **ვალტერ ძენგამ** ორივე საშინაო მატჩი მოიგო. "ლაციო"-"პალერმო" თითქოს არაფრისმთქმელი მატჩია, მაგრამ თუ დააკვირდებით, რომაელებს სერია B-ში გავარდნის თეორიული საფრთხე ემუქრებათ.

**გიორგი გელაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 35 | 24 | 9 | 2 | 64-22 | 81 |
| 2. რომა | 35 | 22 | 9 | 4 | 66-35 | 75 |
| 3. იუვენტუსი | 35 | 20 | 10 | 5 | 68-32 | 70 |
| 4. ფიორენტინა | 35 | 17 | 9 | 9 | 50-36 | 60 |
| 5. მილანი | 35 | 16 | 10 | 9 | 59-33 | 58 |
| 6. სამპდორია | 35 | 16 | 8 | 11 | 51-40 | 56 |
| 7. უდინეზე | 35 | 15 | 9 | 11 | 46-47 | 54 |
| 8. ჯენოა | 35 | 13 | 9 | 13 | 44-47 | 48 |
| 9. ნაპოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 45-47 | 47 |
| 10. პალერმო | 35 | 11 | 10 | 14 | 43-52 | 43 |
| 11. ატალანტა | 35 | 10 | 12 | 13 | 46-52 | 42 |
| 12. ლაციო | 35 | 9 | 13 | 13 | 42-47 | 41 |
| 13. სიენა | 35 | 8 | 15 | 12 | 35-41 | 39 |
| 14. კატანია | 35 | 8 | 11 | 16 | 30-41 | 35 |
| 15. კალიარი | 35 | 9 | 8 | 18 | 34-53 | 35 |
| 16. ტორინო | 35 | 6 | 16 | 13 | 33-47 | 34 |
| 17. ემპოლი | 35 | 8 | 9 | 18 | 27-48 | 33 |
| 18. რეჯინა | 35 | 7 | 12 | 16 | 31-53 | 33 |
| 19. პარმა | 35 | 6 | 13 | 16 | 40-55 | 31 |
| 20. ლივორნო | 35 | 6 | 12 | 17 | 32-54 | 30 |

ალიარება

# კრისტიანო რონალდო, წლის საუკეთესო!

## ინგლისელმა ჟურნალისტებმა პორტუგალიელი ზედიზედ მეორედ აღიარეს



კრისტიანო რონალდო ბოლო სამ დღეში მეორედ აღიარეს

ინგლისში, ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ასოციაციამ (FWA) "მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერი **კრისტიანო რონალდო** პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. პორტუგალიელი **ტიერი ანრის** შემდეგ მეორე ფეხბურთელია, რომელმაც ეს წოდება ზედიზედ მეორედ მიიღო. ხსენებული ასოციაცია პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელს 1947 წლის შემდეგ ასახელებს. ანრიმ, რომელიც ახლა "ბარსელონას" ღირსებას იცავს, ეს ტიტული 2003 და 2004 წლებში მოიპოვა. ახლა კი მისი მიღწევა რონალდომაც გაიმეორა (2007, 2008).

FWA-ს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: *"ერთ სეზონში 38 გოლის გატანა გრანდიოზული მიღწევაა, კრისტიანოს იდეალური სეზონი ჰქონდა. პორტუგალიელი ფაქტობრივად უკონკურენციო იყო."*

*"მართალია, ხმების 100 პროცენტი არ მიუღია, მაგრამ ბევრი არც დააკლდა. დავიწყეთ თუ არა ხმების დათვლა, კრისტიანო თავიდანვე ერთპიროვნული ლიდერი იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, დიდი შანსია, რომ ეს ტიტული წლების მანძილზე აღარ დათმოს,"* - ეს სიტყვები FWA-ს პრეზიდენტ **პოლ ჰეთერინგტონს** ეკუთვნის.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვილიას რეალმაც დაუმიზნა

## მიატოვიჩი 30 მილიონს ჩამოდის



დავიდ ვილია

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ "ვალენსიას" უმწვავესი ფინანსური პრობლემები შეექმნა. ყოფილი პრეზიდენტის, **ხუან ბაუტისტა სოლერის** გაუმართავი მუშაობის გამო კლუბი გაკოტრების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. "ღამურების" ახალმა პრეზიდენტმა სენიორ **სალომმა** მდგომარეობის გამოსწორების მიზნით წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა გადაწყვიტა. მან ოფიციალურად განაცხადა, რომ **დავიდ ვილიას, ხოაკინსა** და **დავიდ სილვას** ტრანსფერზე დააყენებენ. სალომის ამ განცხადებას გამოხმაურება ძალიან მალე მოყვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვილიას გადაბირების სურვილი ყველაზე ადრე მადრიდის "რეალმა" გამოხატა. ცნობილია, რომ ვილიას თანამშრომლობა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** ჯერ კიდევ 2007 წელს შეთავაზა. მაშინ გარიგება არ შედგა, თუმცა მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ დავიდის ტრანსფერს ამჯერად წინ ველარაფერი აღუდგება. "დიარიო მარკას" ინფორმაციით, **პრედრაგ მიატოვიჩმა** ვალენსიელ კოლეგებს მრისხანე ფორვარდის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შეთავაზა. მართალია, "ღამურების" პოზიცია ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დირექტორატის წევრთა უმრავლესობა მიატოვიჩის წინადადებით აღფრთოვანებული დარჩა. თუმცა მიუხედავად ამისა, ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ "ვალენსიის" პრეზიდენტი სამეფო კლუბს უფრო მეტ ფულს მოთხოვს. როგორც ყოველთვის, ვილიას ტრანსფერთან დაკავშირებითაც სერიოზული ვაჭრობა გაჩაღდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტურის წინ

# ჩამნარებული ჩემპიონობა თუ...

## ბაიერნის ფანები: გახდით ჩემპიონები, მაგრამ გახსოვდეთ ზენიტი!

**გუშინ**

ბორუსია (დ)-ნიურნბერგი 0:0

**დღეს**

ჰანზა-ჰამბურგი
არმინია-ბოხუმი
შალკე-ჰანოვერი
ვერდერი-კოტბუსი
შტუტგარტი-აინტრახტი
ჰერტა-კარლსრუე

**ხვალ**

ვოლფსბურგი-ბაიერნი
დუისბურგი-ლევერკუზენი

სპორტული კრიზისი, ახალი მწვრთნელის უშედეგო ძებნა და სრული ქაოსი გუნდში - "ჰამბურგს", რომელსაც ექვსთამაშიანი მოუგებელი სერია აქვს, ძალიან მძიმე დროება უდგას. დღეს ეინდჰოვენისკენ გეზაღებული **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები როსტოკის "ჰანზას" სტუმრობენ და სწორედ ამ შეხვედრაში გამოჩნდება, შეუძლია თუ არა ჩრდილოგერმანულ კლუბს მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვება. ესეც არ იყოს, "ჰამბურგმა" ბოლო 8 თამაშში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა და მდგომარეობა ამ მხრივაც გამოსასწორებელია. "ჰანზას" დასაკარგი ქულები არა აქვს, რადგან წინა ტურში უშუალო კონკურენტ "კოტბუსთან" დამარცხდა. შედეგად, მეკლენბურგელებისთვის ახლა თითოეული ქულა ძალიან ძვირად ფასობს - **ფრანკ პაგელსდორფის** ბიჭები ხომ გადარჩენისთვის იბრძვიან. როსტოკელებს ძირითადი მეკარე **შტეფან ვეხტერი** არ ეყოლებათ, რომელმაც ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

თუ "ჰამბურგს" ფეხი კიდევ ერთხელ დაუცდება, ეს ყველაზე მეტად "შტუტგარტს" გაახარებს - შვაბები უეფას თასის საგზურისთვის იბრძვიან და დღეს "აინტრახტს" მასპინძლობენ. წინა ტურში გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა მომავალ ჩემპიონ "ბაიერნთან" 1:4 წააგო. **არმინ ფეე** სავარაუდოდ, ისევ ვერ დაიხმარს კაპიტან **ფერნანდო მეირას**, ლიდერ **თომას ჰიტცლშპერგერს** და მარცხენა მცველ **ლუდოვიკ მანინს**. ფრანკფურტელებს კი მინი-კრიზისის დასრულება სურთ: **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდმა ბოლო 4 თამაშში მხოლოდ 1 ქულა მოიპოვა. "აინტრახტს" დაცვის ბურჯი **სოტირიოს კირიაკოსი** გამოუჯანმრთელდა.

*"როგორც ფინანსურად, ასევე სპორტული თვალსაზრისით, ყოველთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გუნდი მეორე ადგილზე გავა, თუ მესამეზე,"* - ეს "შალკეს" გენერალური მენეჯერის, **ანდრეას მიულერის** სიტყვებია. გელზენკირხენელები დღეს "ჰანოვერს" მასპინძლობენ და მეორე ადგილს უმიზნებენ, სადაც ახლა "ვერდერია" მოკალათებული. ერთი სიტყვით, "შალკე" ვალდებულია, ზედიზედ მესამე თამაში მოიგოს. **ლევან კობიაშვილის** გუნდში დღესდღეობით ყველაზე კარგ ფორმაში **კევინ კურანია**, რომელმაც ბოლო სამ თამაშში 6 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დიდი ნახტომი გააკეთა - მეორე ადგილზეა.

"ვერდერი" "კოტბუსს" მასპინძლობს - გუნდს, რომელიც სტუმრად ყოველთვის ცუდად გამოიყურება ხოლმე. "ენერგიმ" ერთი კვირის წინათ "ჰანზა" დაამარცხა და შედარებით დამშვიდებულია, ბრემენულ კლუბს კი წაფორხილების უფლება არა აქვს, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, "შალკე" ალესილია. საინტერესოა, როგორ ითამაშებს "ვერდერის" დაცვა - **ნალდომ** და კომპანიამ წინა ტურში სამი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს (კარლსრუესთან 3:3). საერთო ჯამში, **თომას შააფის** გუნდს ამ სეზონში უკვე 44 გოლი აქვს გაშვებული.

ბილეფელდის "არმინია" გასავარდნი ზონის გზაგასაყარზეა და ქულების დაკარგვის უფლება არა აქვს, რადგან "ნიურნბერგი" უდგას კვალში. დღეს "არმინია" "ბოხუმს" მასპინძლობს - გუნდს, რომელსაც უკვე არანაირი დაინტერესება აღარ აქვს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რურელები იოლად დანებდებიან. უპრინციპო მატჩია ბერლინში, სადაც "ჰერტა" "კარლსრუეს" მიიღებს.

ხვალ "ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონობა უნდა გაინაღდოს. ამისათვის რეკორდმაისტერს ვოლფსბურგში ფრეც ეყოფა, მაგრამ მიუნხენში საზეიმო განწყობა წესით და რიგით არ უნდა იყოს, რადგან ბავარიელები ხუთშაბათს "ზენიტთან" 0:4 დამარცხდნენ. თუმცა გერმანიის ჩემპიონობას მაინც იზეიმებენ - ტიტული ტიტულია. "მგლები" თავის მხრივ ევროსაგზურისთვის იბრძვიან - **ფელიქს მაგათის** გუნდი ძალიან მოტივირებულია. აქვე გეტყვით, რომ მიუნხენური კლუბის ფანების ფორუმები გადავსებულია ასეთი შინაარსის განცხადებებით: *"გახდით ჩემპიონები, მაგრამ გახსოვდეთ "ზენიტი", ამ ერთი თამაშით იდეალური სეზონი ჩაგვიმწარეთ. ჩათვალეთ, რომ "ბაიერნს" წლეულს არაფერი მოუგია!"*

ხვალვე, ბოლოადგილოსანი "დუისბურგი" მეოთხე პოზიციაზე მყოფ "ლევერკუზენს" უმასპინძლებს. "ფარმაცევტები" ხუთეულში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან, "ზებრებს" კი სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ, რადგან მორიგი მარცხის შემთხვევაში ცალი ფეხით უკვე მეორე ბუნდესლიგაში იქნებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 30 | 19 | 9 | 2 | 59-18 | 66 |
| 2. ვერდერი | 30 | 16 | 6 | 8 | 65-44 | 54 |
| 3. შალკე | 30 | 15 | 9 | 6 | 48-31 | 54 |
| 4. ლევერკუზ. | 30 | 14 | 6 | 10 | 52-33 | 48 |
| 5. ჰამბურგი | 30 | 12 | 12 | 6 | 37-22 | 48 |
| 6. შტუტგარტი | 30 | 15 | 3 | 12 | 49-47 | 48 |
| 7. ვოლფსბურგი | 30 | 12 | 8 | 10 | 47-42 | 44 |
| 8. აინტრახტი | 30 | 11 | 10 | 9 | 36-40 | 43 |
| 9. ჰანოვერი | 30 | 11 | 9 | 10 | 45-49 | 42 |
| 10. კარლსრუე | 30 | 11 | 9 | 10 | 35-39 | 42 |
| 11. ბოხუმი | 30 | 9 | 11 | 10 | 44-46 | 38 |
| 12. ბორუსია (დ) | 31 | 9 | 9 | 13 | 43-54 | 36 |
| 13. ჰერტა | 30 | 9 | 8 | 13 | 32-38 | 35 |
| 14. კოტბუსი | 30 | 8 | 8 | 14 | 32-49 | 32 |
| 15. არმინია | 30 | 7 | 8 | 15 | 29-54 | 29 |
| 16. ნიურნბერგი | 31 | 6 | 10 | 15 | 33-48 | 28 |
| 17. ჰანზა | 30 | 7 | 6 | 17 | 26-43 | 27 |
| 18. დუისბურგი | 30 | 7 | 5 | 18 | 29-44 | 26 |



კევინ კურანმა ბოლო სამ თამაშში 6 გოლი გაიტანა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

# სერიოზული ეჭვები გარიგებაზე

## გრანტი: კერბიშლის ეს არ უნდა ეთქვა. ჩელსის მწვრთნელი შიშობს, რომ ვესტ ჰემმა მანჩესტერ იუნაიტედს, შეიძლება, წინააღმდეგობა არ გაუწიოს




**დღეს**

მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი
ასტონ ვილა-ვიგანი
ბლექბერნი-დერბი
ფულჰემი-ბირმინგემი
მიდლსბრო-პორტსმუთი
რედინგი-ტოტენჰემი
ბოლტონი-სანდერლენდი

**ხვალ**

არსენალი-ევერტონი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი

**ზეგ**

ნიუკასლი-ჩელსი

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალმა გადაიარა და მთელი ყურადღება ახლა ისევ პრემიერლიგისკენაა მიმართული. ისევე, როგორც ევროსარბიელზე, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" მთავარი ტიტულისთვის შინაურ ფრონტზეც ეცილებიან ერთმანეთს. ინგლისის ჩემპიონი მოსკოვურ ფინალამდე გაირკვევა. პრიმიერლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ლიდერებს თანაბარი ქულები აქვთ. თუ დარჩენილ შეხვედრებში ორივემ მაქსიმუმს მოუყარა თავი, ჩემპიონის ვინაობას ბურთების უკეთესი სხვაობა გადაწყვეტს. ამ მხრივ კი საქმე გაცილებით უკეთ აქვს "იუნაიტედს", ხოლო "არისტოკრატებმა" ორივე მატჩი ასტრონომიული ანგარიშით უნდა მოიგონ, რაც წარმოუდგენელია...

ამ დაძაბულობის ფონზე, "ჩელსის" მწვრთნელ **ავრამ გრანტსა** და "ვესტ ჰემის" დამრიგებელ **ალან კერბიშლის** შორის მცირე სიტყვიერ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. კერბიშლიმ, ცოტა არ იყოს, უტაქტო განცხადება გააკეთა, როცა ერთგვარი ნიშნის მოგებით, ჩემპიონად "მენიუს" ხილვა ისურვა. უტაქტობა კი ისაა, რომ "ვესტ ჰემი" დღეს სწორედ "მანჩესტერ იუნაიტედს" სტუმრობს. ეჭვები რომ გვერდით გადავდოთ, ისედაც ცხადია, რომ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს უმოტივაციო "ჩაქუჩებთან" 3 ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეთ. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში "ვესტ ჰემი" "მანკუნიანელებს" ჭირად ექცათ, ლიდერს იოლი გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მართალია, გრანტს პირდაპირ არ უთქვამს, რომ ლონდონელები ფერგის გუნდს "დაუწვებიან", მაგრამ მის სიტყვებში ეჭვები აშკარად იგრძნობა:

*"არ მინდა, ეჭვი შევიტანო "ვესტ ჰემის" მოთამაშეებისა და მწვრთნელის პატიოსნებაში, მაგრამ ის განცხადება, რაც მისტერ კერბიშლიმ გააკეთა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "მანჩესტერ იუნაიტედს" უჭერს მხარს, აბსოლუტურად მიუღებელია. ამას გარდა, ბოლო პერიოდში რამდენჯერმე მოვისმინე, თითქოს არბიტრი "იუნაიტედის" მხარეზე იქნება, რომ კერბიშლი და ფერგიუსონი მეგობრები არიან და რაღაც ამდაგვარი... მაგრამ მირჩევნია, ამას არ ვუსმინო და მხოლოდ სამუშაოზე ვიყო კონცენტრირებული".*

ამ განცხადების შემდეგ ნათელი ხდება, რომ "ჩელსი", რომელიც თავის შეხვედრას ნიუკასლში ორშაბათს ჩაატარებს, "ოლდ ტრეფორდის" დღევანდელ დაპირისპირებას გამადიდებელი შუშით დააკვირდება. "მანჩესტერის" მთავარი პრობლემა **რუნია**. ფორვარდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი გამოტოვა, სრულად გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს და მაქსიმუმ, სათადარიგოთა სკამზე ვიხილოთ. შესაძლოა, ფერგიმ ის არც რეზერვში დასვას და, როგორც თავად თქვა, უფრო მნიშვნელოვანი ბრძოლისთვის შემოინახოს. რუნის დარად, არ იქნება ცენტრალური მცველი **ვიდიჩიც**.

"ჩელსის" საკადრო პრობლემები არ აქვს. ერთადერთი, გრანტის პრობლემა ისაა, რომ "ლივერპულთან" მომქანცველი ნახევარფინალის შემდეგ გუნდმა ძალების აღდგენა მოასწროს. "არსენალი" კი, რომელსაც ჩემპიონობის მიზერული (შეიძლება, არც კი) შანსიღა აქვს, "ევერტონს" უმასპინძლებს და ეცდება, ბოლო საშინაო მატჩში საკუთარ გულშემატკივარს ნაწილობრივ მაინც მოულბოს გული. ლივერპულელები კი უეფას ზონაში დამკვიდრებისთვის იბრძვიან და "ემირითსზე" არაფერს დათმობენ. არ უნდა გაუჭირდეს "ასტონ ვილასაც", რომელსაც ანალოგიური მიზანი ამოძრავებს, მით უმეტეს, რომ "ვიგანს" ლიგაში დარჩენის პრობლემა უკვე გადაწყვეტილი აქვს.

"ფულჰემი"-"ბირმინგემი" კი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლთა უშუალო დაპირისპირებაა. შეიძლება ითქვას, ტურში ყველაზე დიდი ინტრიგა სწორედ ამ თამაშს ახლავს. გუნდებს მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემები არ აქვთ. "ბირმინგემის" მწვრთნელი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ალექს მაკლიში**, ნაწილობრივ მშვიდად იქნება იმ გაგებით, რომ კლუბის ერთ-ერთ თანამფლობელ **დევიდ გოლდისგან** სრული მხარდაჭერა მიიღო - პოსტს ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებს.

"რედინგი", რომელიც ასევე გადარჩენისთვის იბრძვის, უმოტივაციო "ტოტენჰემის" წინააღმდეგ ორი მნიშვნელოვანი ფიგურის, მცველ **სონკოსა** და შუახაზელ **ფაეს** გარეშე ითამაშებს. მწვრთნელმა **სტივ კოპელმა** ისინი უდისციპლინობისთვის მოკვეთა, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ბიჭებმა სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში თამაშზე უარი თქვეს.

"ბოლტონს" "სანდერლენდთან" საშინაო მატჩში აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. **როი კინის** სამწყსოს თავი ქუდში აქვს, მასპინძელთა მწვრთნელ **გარი მეგსონს** კი **ო'ბრაიენისა** და **ივან კამპოს** ტრავმები აფიქრებს. ერთი პლუსი ისაა, რომ სამკვირიანი პაუზის შემდეგ მწყობრში ბრუნდება ფორვარდი **დეივისი**.

ლიგაში დარჩენის საკითხი ჯერ არც "მიდლსბროს" გადაუწყვეტია. რივერსაიდელები "პორტსმუთს" მასპინძლობენ. **ჰარი რედნაპი**, რომელიც ორ კვირაში გუნდს ასოციაციის თასის ფინალში გაუძღვება, დღეს "პორტსმუთის" სკამზე თავის 150-ე შეხვედრას ჩაატარებს. თასის მოგება კი ლამის ერთადერთი გზაა, საგაისოდ უეფას თასზე მოსახვედრად. "ლამის" იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელია, "პორტსმუთი" მეხუთეადგილოსან "ევერტონს" დაეწიოს (ამისთვის იბრძვის "ასტონ ვილაც"). თანაც, რედნაპს ძირითადი მეკარე **ჯეიმსი აკლია**. მაგრამ გამოცდილი მწვრთნელისთვის, და მთლიანად გუნდისთვის, ეს სეზონი მაინც წარმატებულად ჩაითვლება. თუ "პორტსმუთმა" მეშვიდე პოზიცია შეინარჩუნა, ეს იქნება კლუბის საუკეთესო მაჩვენებელი ბოლო 50 წლის განმავლობაში. "მიდლსბროს" კი, როგორც ზემოთ ვთქვით, სხვა პრობლემები აწუხებს. გუნდს 5 მნიშვნელოვანი მოთამაშე აკლია. შეიძლება, მას ქულაც ეყოს გადარჩენისთვის, მაგრამ თავის დასაზღვევად გამარჯვებაა საჭირო. მატჩი საიუბილეოა მასპინძელთა მწვრთნელ **გარეთ საუთგეიტისთვისაც**, რომელიც დღეს გუნდს 75-ედ დამოძღვრავს.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 36 | 25 | 6 | 5 | 74-22 | 81 |
| 2. ჩელსი | 36 | 24 | 9 | 3 | 62-25 | 81 |
| 3. არსენალი | 36 | 22 | 11 | 3 | 72-31 | 77 |
| 4. ლივერპული | 36 | 19 | 13 | 4 | 64-28 | 70 |
| 5. ევერტონი | 36 | 18 | 8 | 10 | 52-31 | 62 |
| 6. ასტონ ვილა | 36 | 16 | 11 | 9 | 69-47 | 59 |
| 7. პორტსმუთი | 36 | 16 | 9 | 11 | 48-37 | 57 |
| 8. ბლექბერნი | 36 | 14 | 13 | 9 | 46-43 | 55 |
| 9. მანჩ. სიტი | 36 | 15 | 10 | 11 | 44-44 | 55 |
| 10. ვესტ ჰემი | 36 | 13 | 9 | 14 | 39-44 | 48 |
| 11. ტოტენჰემი | 36 | 10 | 13 | 13 | 65-59 | 43 |
| 12. ნიუკასლი | 36 | 11 | 10 | 15 | 44-60 | 43 |
| 13. ვიგანი | 36 | 9 | 10 | 17 | 32-49 | 39 |
| 14. სანდერლენ. | 36 | 11 | 6 | 19 | 36-56 | 39 |
| 15. მიდლსბრო | 36 | 8 | 12 | 16 | 33-52 | 36 |
| 16. ბოლტონი | 36 | 8 | 9 | 19 | 33-53 | 33 |
| 17. რედინგი | 36 | 9 | 6 | 21 | 37-65 | 33 |
| 18. ბირმინგემი | 36 | 7 | 11 | 18 | 42-59 | 32 |
| 19. ფულჰემი | 36 | 6 | 12 | 18 | 35-60 | 30 |
| 20. დერბი | 36 | 1 | 8 | 27 | 19-82 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ მიშელ პლატინისთან

# კრისტიანო რონალდო ევროპის ჩემპიონატს მარტო ვერ მოიგებს

## უეფას პრეზიდენტი არნახულად ორგანიზებულ ტურნირს გვპირდება

ევროპის ჩემპიონატის მოახლოვებასთან ერთად აჟიოტაჟი დღითი-დღე იმატებს. მალე საკლუბო სეზონი დასრულდება და საფეხბურთო სამყარო კონტინენტის პირველობით შეიქცევს თავს. შვეიცარიასა და ავსტრიაში სამზადისი თითქმის დასრულებულია. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ორი ქვეყანა ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლებს. მიუხედავად ამისა, უეფას პრეზიდენტს, ჯერაც უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი. ამ თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, მიშელ პლატინისთვის ევრო 2008 პირველი დიდი გამოცდაა. ფრანგ საფეხბურთო ფუნქციონერს რამდენიმე დღის წინათ "დიარიო ასის" კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. ბატონი მიშელი დარწმუნებულია, რომ ევროპის ჩემპიონატი გაუგებრობებისა და გართულების გარეშე ჩაივლის.

**- ავსტრიისა და შვეიცარიის ევროპის ჩემპიონატისთვის ყველაფერი მზად არის?**

- დიახ, ყველა დიდი პროექტი განხორციელებულია. საორგანიზაციო კომიტეტმა და ორი ქვეყნის მთავრობებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უპრეცენდენტოდ მცირე დროში კოლოსალური საქმე გაკეთდა. ახლა მხოლოდ მცირე დეტალების დახვეწალაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულს ჯერ არნახული ტურნირის მომსწრენი გავხდებით. ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული. ჟურნალისტებს მუშაობისთვის არაჩვეულებრივი პირობები გექნებათ. გულშემატკივრებიც კმაყოფილები დარჩებიან. მოკლედ, ყველაფერი წამი წამშია გათვლილი.

**- საორგანიზაციო საკითხების მოგვარება ძალიან კარგია, მაგრამ მთავარი მაინც საფეხბურთო სანახაობაა. როგორ ფიქრობთ, ამ თვალსაზრისით გულშემატკივრებს იმედგაცრუება ხომ არ ელით? ბოლოდროინდელი ტენდენციების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფეხბურთი საკმაოდ უსახური გახდა.**

- ასეთ რადიკალურ დასკვნას ვერ გავაკეთებდი. შეუძლებელია, ყველა თამაში დაუვიწყარი და დასამახსოვრებელი გახდეს. სანახაობრივი მხოლოდ ცალკეული ორთაბრძოლები შეიძლება გამოდგეს. დარწმუნებული ვარ, შვეიცარიისა და ავსტრიის სტადიონებზე რამდენიმე დაუვიწყარ პაექრობას ვიხილავთ. როგორც ყოველთვის, ერთმანეთს ევროპის საუკეთესო ნაკრებები შეეჯიბრებიან. მუნდიალისგან განსხვავებით, აქ სუსტი გუნდები არ იქნებიან. ასე რომ, უდიდესი კონკურენცია, ლამაზი ფეხბურთის წინაპირობა გახდება.

**- მაინც შეგეკამათებით და გეტყვით, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონი საბერძნეთია, მუნდიალზე კი იტალიამ გაიმარჯვა. დამეთანხმებით, ორივე გუნდი დაცვით ფეხბურთს თამაშობს...**

- რა თქმა უნდა, გეთანხმებით. საბერძნეთსა და იტალიას აქცენტი დაცვაზე ჰქონდათ გაკეთებული, მაგრამ ეს მათ სისუსტეზე სულაც არ მეტყველებს. უბრალოდ, ამ ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა გამართული დაცვით გადაწყვიტეს წარმატების მიღწევა. დამეთანხმებით, ამოცანა გადაჭრეს კიდეც. საბერძნეთმა და იტალიამ იმიტომ გაიმარჯვეს, რომ ისინი იმ მომენტისთვის საუკეთესოდ იყვნენ მომზადებულნი. შესაძლოა, ვინმეს პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩემი აზრით, ფეხბურთი მხოლოდ შეტევის გამო არ ფასობს. წარმატებას მხოლოდ ის გუნდი აღწევს, რომელსაც ყველა რგოლი თანაბრად აქვს დაბალანსებული.

**- ამაში პარადოქსულს რას ხედავთ?**




მიშელ პლატინი ევროპის ჩემპიონატის ახალი ბურთის პრეზენტაციისას

- მე ხომ მიშელ პლატინი ვარ. მთელი ცხოვრება შეტევას შევალიე (იცინის). ალბათ, ბევრს გაუკვირდება, რომ დაცვის მნიშვნელობაზე ამდენს ვლაპარაკობ.

**- არ შემიძლია ესპანეთის ნაკრებზე არ გკითხოთ. ჩემი ქვეყნის ეროვნული გუნდისგან როგორ თამაშს ელით?**

- გულწრფელად გეტყვით, ესპანეთის ნაკრები უზომოდ მომწონს. თქვენს გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობაა თავმოყრილი. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ "სელექსიონს" არასოდეს უმართლებს. ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ როცა ესპანეთის ნაკრების მიერ განვლილ გზას გადავხედავ, უცნაური გრძნობა მიპყრობს. თითქოს, მოჯადოვებულ წრეში იმყოფებით. ვერ გამიგია, ამდენმა თაობამ წარმატებას როგორ ვერ მიაღწია. არადა, თქვენს გუნდს მსოფლიო ვარსკვლავები არასოდეს აკლდა. რამდენი ერთი ჩამოვთვალო, ბუტრაგენიო, მიჩელი, კამინერო, რაული. ძველი თაობის ვარსკვლავებზე აღარაფერს ვამბობ. ვნახოთ, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატი როგორი სცენარით წარიმართება. ჩემი აზრით, ესპანეთს გამარჯვების შესანიშნავი შანსი აქვს. მთავარია, საკლუბო სეზონის შემდეგ ფეხბურთელები რამდენად მზად იქნებიან.

**- დარწმუნებული ვარ, ესპანურ საფეხბურთო ამბებში ძალიან კარგად ხართ ჩახედული და გეცოდინებათ, რომ რაულს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი, ფაქტობრივად, არ გააჩნია. თქვენი აზრით, არაგონესი სწორად იქცევა?**

- რაულისა და დელ პიეროს ისტორია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. ალექსზე მთელი იტალია ლოცულობს, მაგრამ "სკუადრა აძურაში" მაინც არ ათამაშებენ. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია, თუმცა ტაქტიკასა და შემადგენლობას ერთადერთი კაცი განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება ლუის არაგონესმა უნდა მიიღოს. რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცი, რომ დელ პიეროს მსგავსად ნაკრებში მოხვედრის პრობლემა რაულსაც აქვს. ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ არაგონესი და დონადონი.

**- თქვენი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების საუკეთესო შანსს, რომელი ნაკრები ფლობს?**

- ესპანეთზე უკვე ვისაუბრე. ვფიქრობ, "სელექსიონის" გარდა გამარჯვების შანსი საფრანგეთს, იტალიასა და გერმანიას ექნებათ. სხვა გუნდებისგანაც არ გამოვრიცხავ სიურპრიზს.

**- ბევრი ამბობს, რომ გერმანიის ნაკრებს სერიოზული პრობლემები აქვს.**

- ვერ დაგეთანხმებით. გასული მუნდიალის შემდეგ გერმანელებმა დიდი პროგრესი განიცადეს. დარწმუნებული ვარ, ევროპის პირველობაზე ისინი კიდევ უფრო კარგად ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, რომ ისინი ტიტულის მოპოვებას უმიზნებენ. პორტუგალიაც არ უნდა დავივიწყოთ. ამ გუნდს ხომ კრისტიანო რონალდო ჰყავს. სიმართლე გითხრათ, პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს. წინა ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის გამარჯვებას ვინ წარმოიდგენდა. ახლა რომ ვთქვა, საფრანგეთი, იტალია ან ესპანეთი გაიმარჯვებს-თქო და პროგნოზი არ გამართლდეს, მთელი დედამიწის დასაცინი გავხდები (იცინის).

**- ესპანეთის ნაკრებმა ერთადერთ დიდ წარმატებას 1964 წელს მიაღწია. ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების კიდევ ერთი შანსი 1984 წელს გვქონდა, მაგრამ არკონადას კარში თქვენს მიერ გატანილი გოლის გამო ფინალი წავაგეთ...**

- 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ესპანეთის ნაკრების დამარცხებაში გარკვეული წვლილი შევიტანე, თუმცა გულწრფელად ვიტყვი, რომ იმ გოლით არასოდეს მიამაყია. აბსოლუტურად გეთანხმებით, ესპანეთს მაშინ არაჩვეულებრივი ნაკრები ჰყავდა, მაგრამ არ გაუმართლა და ფინალში მაინცა და მაინც, საფრანგეთს გადაეყარა (იცინის). მიკერძოებაში თუ არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ჩვენი ნაკრები უფრო ძლიერი იყო. ორი სიტყვით არკონადაზეც მოგახსენებთ. ასეთი მეკარე ათწლეულების განმავლობაში ერთხელ იბადება. ნამდვილი გენიოსი იყო.

**- საინტერესოა, მას შემდეგ როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- არკონადა 24 წლის განმავლობაში ერთი-ორჯერ თუ მეყოლება ნანახი. ბოლოს რომ შევხვდი, არაფერი მითქვამს. ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ და ამით ყველაფერი ვაგრძნობინეთ.

**- მოდით, თანამედროვეობას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ევრო 2008-ის საუკეთესო ფეხბურთელი კრისტიანო რონალდო გახდება?**

- კრისტიანო ახლა საუცხოო ფორმაშია, მაგრამ ევროპულ ფეხბურთს სხვა ვარსკვლავებიც ჰყავს. ინდივიდუალიზმზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ ერთ კაცს ევროპის ჩემპიონატის მოგება ძალიან გაუჭირდება. ჩემი აზრით, ყველაფერი ამა თუ იმ გუნდის მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. თავისუფლად შეიძლება, კრისტიანო რონალდო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატს ის მარტო ვერ მოიგებს.

**- იოზეფ ბლატერი ჩემპიონთა ლიგის ფორმატს იწუნებს. მისი აზრით, სასწრაფო რეფორმების გატარებაა საჭირო, რადგან მდიდარი კლუბები კიდევ უფრო მეტ ფულს შოულობენ, ღარიბები კი გაკოტრების პირას არიან. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

- ამ საკითხზე ჩვენც სერიოზულად ვფიქრობთ. რამდენიმე პროექტი შევიმუშავეთ. გეთანხმებით, მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ძალიან უჭირთ. არადა, ამ ტურნირზე ასპარეზობა მათ ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებდა. ექსპერტებთან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ. არ გამოვრიცხავ, მომდევნო წლებში სერიოზული რეფორმა განვახორციელოთ. თუმცა, მთლიანობაში, ჩემპიონთა ლიგა საუკეთესოდ ორგანიზებული სპორტული შეჯიბრებაა.

**- ბლატერს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა აქვს. ფიფას პრეზიდენტი აცხადებს, რომ თითოეულ კლუბში მაქსიმუმ ექვსმა უცხოელმა უნდა ითამაშოს. დანარჩენი ხუთი კი ადგილობრივ ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს. მისი აზრით, ასეთი პოლიტიკა ეროვნულ ნაკრებებს დიდ სამსახურს გაუწევს.**

- უნდა მოგახსენოთ, რომ უეფა ფიფას ამ მოსაზრებას გაგებით ეკიდება. გულწრფელად გეტყვით, ბლატერის იდეა პირადად მე ძალიან მომწონს, მაგრამ ჩვენი შეხედულება ერთია, ევროპული კანონმდებლობა კი მეორე. არა მგონია, ევროკავშირი ჩვენი ინიციატივით აღფრთოვანებული დარჩეს. მოგეხსენებათ, ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, ერთი ქვეყნის მოქალაქეს მეორე სახელმწიფოში წასვლისა და ლეგალურად მუშაობის უფლება აქვს. ვერ წარმომიდგენია, კლუბებს ლეგიონერების შეძენა როგორ უნდა ავუკრძალოთ. მით უმეტეს, თუ ევროპელ ფეხბურთელებზეა საუბარი.

**- იქნებ, ევროკავშირის ხელმძღვანელობას თქვენ და ბლატერი პირადად შეხვდეთ და დაარწმუნოთ, რომ ფეხბურთი განსხვავებული სპეციფიკის მატარებელია.**

- რომ იცოდეთ, რამდენ ადამიანთან მილაპარაკია, მაგრამ კანონი ხვრელის არსებობას ვერ შეეგუება. ევროკავშირი გამონაკლისს ვერ დაუშვებს. ფეხბურთს პრივილეგია რომ მიანიჭონ, სხვა დარგის წარმომადგენლები წამოყოფენ თავს და ქაოსში ამოვჩნდებით.

**- ე.ი. ბლატერის იდეას ხორცშესხმა არ უწერია?**

- სამწუხაროდ, სწორედ ამ დასკვნამდე მივდივარ. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეთი ცვლილების განხორციელება შეუძლებელია.

**- როცა უეფას პრეზიდენტის თანამდებობაზე აგირჩიეს, საზოგადოებას პირობა მიეცით, რომ ელიტარული ფეხბურთისა და ბავშვების დაახლოვებას შეუწყობდით ხელს. მაშინ განაცხადეთ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები შუა კვირაში საკმაოდ გვიან იმართება და პატარა ბავშვებს ამ თამაშების ნახვის საშუალება არ ეძლევათო.**

- მოსაზრება არ შემიცვლია. თუ დააკვირდით, სტამბოლსა და ათენში ჩატარებულ ფინალურ შეხვედრებს ძალიან ცოტა ბავშვი დაესწრო. გამოკითხვების თანახმად, მშობლები მათ სატელევიზიო რეპორტაჟებსაც არ აყურებინებენ. სულაც არ მიკვირს. პატარები მეორე დღეს სკოლაში უნდა წავიდნენ და დასვენება სჭირდებათ. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. მოზარდი თაობის გარეშე ფეხბურთი მოკვდება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვები მაქსიმალურად ინფორმირებულნი იყვნენ. გადატვირთული საკლუბო კალენდრის გამო, ალტერნატიული ვარიანტის გამონახვა გაგვიჭირდება, მაგრამ რაღაც მაინც უნდა მოვიფიქროთ. იქნებ, სამშაბათისა და ოთხშაბათის საჩემპიონთალიგო დაპირისპირებები უფრო ადრე დავიწყოთ.

**- ამ შემთხვევაში, ზრდასრულ გულშემატკივრებს შეექმნებათ პრობლემები. ისინი სამსახურებიდან სტადიონამდე მისვლასაც ვერ მოასწრებენ.**

- ამიტომაც ვამბობ, რომ საკითხი ფრიად პრობლემატურია. თუმცა გამოსავლის მონახვა ყოველთვის შეიძლება.

**- 2010 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. თქვენ მადრიდის ვარიანტს მხარს უჭერდით?**

- რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფინალს ვიხილავთ. იმ დროისთვის ბევრი ცვლილება შეიძლება განვახორციელოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ მადრიდის ხელმძღვანელობა და სამეფო კლუბის მესვეურები, დაუვიწყარი ფინალის ორგანიზებაში დაგვეხმარებიან. თუ ფინალში "რეალი" იასპარეზებს, ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება, ყველაფერი თავისთავად მოხდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. სამარცხვინო წაგების შემდეგ

# ეს არ არის ტრაგედია?

## რატომ არ განიცადეს მიუნხენელებმა ზენიტთან 0:4?

"ბაიერნს" ასეთი ძვირადღირებული შემადგენლობა ადრე არასდროს ჰყოლია. მიუნხენელთა ყველა დროის ყველაზე ძვირფასი გუნდი უეფას თასზე, სანკტ პეტერბურგის "ზენიტთან" შერცხვა. გუნდი, რომელიც "ხეტაფეს" და "ზენიტს" ოთხიდან ვერცერთ თამაშს ვერ მოუგებს, მინიმუმ ფინალში გასვლას და მაქსიმუმ დანდობას არ იმსახურებს. ეს იყო რეკორდმაისტერის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მატჩი გუნდის არსებობის ისტორიის განმავლობაში.

**ფრანკ რიბერი და ლუკა ტონი** ბუნდესლიგაში ქვას ქვაზე არ ტოვებენ, მეორეხარისხოვან ევროტურნირზე კი, თანაგუნდელებთან ერთად ისეთი სირცხვილი ჭამეს, სავარაუდოდ, კარიერის ბოლომდე რომ ემახსოვრებათ. და "ზენიტი"? რუსეთის მოქმედმა ჩემპიონმა ჯერ "ლევერკუზენი" გაანადგურა, ახლა კი, "ბაიერზე" გაცილებით ძლიერი და ამბიციური გერმანული კლუბიც შეარცხვინა.

**იურგენ კლინსმანი**, რომელიც მიუნხენურ გუნდს სათავეში მომავალი სეზონიდან ჩაუდგება, ამ თამაშს თვალყურს კალიფორნიიდან ადევნებდა და ალბათ, ძალიან შეეშინდა - კლინსის ხელში "ბაიერნი" ხომ ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს, სადაც არა "ხეტაფესთან", ან "ზენიტთან", არამედ "ჩელსისთან", "რეალთან", "მანჩესტერთან" და ევროპის სხვა გრანდებთან ექნება საქმე. ფაქტია, რომ უეფას თასზე "ბაიერნისგან" თავიდანვე ყველა იოლ ტრიუმფს ელოდა. ფაქტია ისიც, რომ "ზენიტთან" 0:4-ის შემდეგ, საფეხბურთო გერმანია საფუძვლიანად შეშფოთდა.

მაშ ასე, "ბაიერნმა" დასახულ მიზანს ვერ მიაღწია - ჰეთ-თრიკი ვერ შეასრულა. გერმანიის ჩემპიონობა და გერმანიის თასი კი, ამ გუნდისთვის ძალიან მწირი შედეგია. ამისთვის დახარჯა **ული ჰიონესმა** გასულ ზაფხულს 70 მილიონი ევრო? ანგარიშს რომ თავი დავანებოთ, რეკორდმაისტერი სანკტ პეტერბურგში დამფრთხალ თაგვს ჰგავდა. ისიც ცხადია, რომ "ბაიერნი" ევროტურნირებზე ასეთი დიდი ანგარიშით ბოლოს 16 წლის წინათ დამარცხდა. მაშ, რა მოხდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია.

ახლა აღარ მოვყვებით დეტალურ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმებში გააკრიტიკეს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მედია და გულშემატკივრები ყველაზე მეტად იმ განცხადებების გამო არიან აღშფოთებულები, რაც მატჩის შემდეგ ბავარიელთა მხრიდან გაკეთდა.

*"ჩვენ გამოვარდით, ეს ფაქტია. ალბათ არც იყო მოსალოდნელი ის, რომ გუნდი კიდევ ერთხელ იბრძოლებდა ისე, როგორც "ხეტაფესთან" იბრძოლა, ანაც გერმანიის თასის ფინალში დორტმუნდის "ბორუსიასთან,"* - ეს ჰიონესის სიტყვებია. როგორც ხედავთ, ულიმ ფეხბურთელები დაიცვა. რომელიმე თქვენგანი ელოდა ამას? ჰიონესი: *"როცა ანგარიში 0:3 გახდა, ყველანი მივხვდით, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. გუნდს უბრალოდ, აღარ შერჩა ბრძოლის ძალა. "ბაიერნი" დაღლილია, მორჩა და გათავდა!"*





რაკი ჰიონესი ასე საუბრობს, არც ისაა გასაკვირი, რომ განსხვავებული მოსაზრება არც ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** აღმოაჩნდა. რუმენიგე: *"უნდა ვაღიაროთ, რომ "ზენიტმა" ძალიან კარგად ითამაშა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ზენიტისთვის" სეზონი ახლახან დაიწყო. ეს მაშინ, როცა "ბაიერნი" უკვე ძალიან გადაღლილია."*

არის თუ არა გადაღლილობა ალიბი? რეკორდმაისტერი მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასისთვის აპირებს ბრძოლას. შედარებისთვის, მიმდინარე სეზონის ფინალისტებმა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ჩელსიმ" წელს გაცილებით მეტი მატჩი გამართეს, ვიდრე "ბაიერნმა" და მიუხედავად ამისა, ნახევარფინალში იდეალურად გამოიყურებოდნენ. პრემიერლიგაში 20 გუნდი თამაშობს, ბუნდესლიგაში 18, ინგლისში ორი თასია (ასოციაციის და ლიგის), გერმანიაში კი ერთი. ესეც არ იყოს, ინგლისში ჩემპიონატს ზამთარშიც არ წყვეტენ, როცა გერმანიაში ყოველთვის ყველაზე დიდი პაუზაა ხოლმე...

ერთი სიტყვით, შეფებმა ფეხბურთელებს თავზე ხელი გადაუსვეს. ერთადერთი პიროვნება, ვინც მომხდარს ლოგიკური შეფასება მისცა, ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** იყო, რომელმაც ნამატჩევს შემდეგი განაცხადა: *"ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი კატასტროფა იყო. გუნდმა დღეს ძალიან ცუდად ითამაშა. იმედგაცრუებული ვარ. მეტოქეს კი ფინალში გასვლას ვულოცავ. "ზენიტი" ძალიან კარგი გუნდია."*

მატჩის წინ "ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** მთელ გუნდს სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლისკენ მოუწოდა. კაიზერი ამბობდა, **ოლივერ კანმა** ფეხბურთიდან ტრიუმფით გაცილება დაიმსახურა და მოდით, გერმანიის ჩემპიონობასთან და თასთან ერთად, უეფას თასიც ვაჩუქოთო. ოლი სამჯერ იყო მსოფლიოს საუკეთესო მეკარე, მოიგო ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასიც, კარიერის უკანასკნელ სეზონში კი, უეფას თასზე შერცხვა. მოკლედ, კანის საერთაშორისო კარიერა ძალიან ცუდად დამთავრდა - "ტიტანი" ამას ნამდვილად არ იმსახურებდა.

ყველას ეგონა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ, ოლი თანაგუნდელებს ისე დაცოფავდა, როგორც მას სჩვევია ხოლმე, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ოლის აღშფოთება არ გამოუხატავს. მან ეს ტრაგედია ერთობ მშვიდად მიიღო: საფინალო სასტვენის შემდეგ "ბაიერნის" ფანებს ტაშით მადლობა გადაუხადა, მსაჯს დაემშვიდობა და მოედანი დატოვა. აი, ასე დატოვა ოლივერ კანმა საერთაშორისო სცენა.

თავისი შესანიშნავი კარიერის განმავლობაში მას "მანჩესტერის", "მილანის", "რეალის", "ბარსელონის" და სხვა გრანდების წინააღმდეგ იდეალური მატჩები ჩაუტარებია, ევროტურნირების უკანასკნელი მატჩი კი "ზენიტთან" ჰქონდა, რომელშიც სამარცხვინო მარცხი განიცადა. მას მერე, რაც რეკორდმაისტერის კარს "ტიტანი" იცავს, "ბაიერნს" ევროტურნირებზე ასეთი ანგარიშით არასდროს წაუგია.

*"20 წელიწადია, ნერვები მაწყდება. უბრალოდ მიხარია, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულია. წარსულია "ზენიტთან" მატჩიც. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული - ჩემი საერთაშორისო კარიერა ასე დამთავრდა და არა უშავს, 0:4-ის გამო თავს ნამდვილად არ მოვიკლავ. იმედგაცრუებული არ ვარ. ჩვენ დავმარცხდით გუნდთან, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა. "ზენიტი" სუპერგუნდია, რომელმაც თავისი შანსები გამოიყენა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც ძალიან შორს წავა,"* - განუცხადა კანმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და იქვე დასძინა, უმჯობესია, ასე დამარცხდე, ვიდრე თერთმეტმეტრიანებში, სადაც კიდევ ერთხელ დაგაწყდება ნერვებიო.

და კიდევ, კანის ბოლო სიტყვა: *"ბოლო მატჩი ჩამიმწარდა? არა! ბოლო სეზონში ორი ტიტული უკვე მოვიგე, მეტი რა უნდა მინდოდეს? სხვათა შორის, მხოლოდ ერთი რომ მომეგო, ამ შემთხვევაშიც მადლობელი ვიქნებოდი. "ბაიერნი" შესანიშნავ სეზონს ატარებს და ამ ერთი მარცხის გამო ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. სხვა საქმეა ის, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ვცდილობდით, უეფას თასისთვის ფასი აგვენია, ვამბობდით, რომ ეს ძალიან მაგარი ტურნირია. მე "ბაიერნი" ძალიან მიყვარს და ამ ევროტურნირსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ უეფას თასი "ბაიერნის" ძალების საზომად არ გამოდგება. რეკორდმაისტერი მუდმივად ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაშობდეს. ეს აქსიომაა."*

არ გამოდგება და ნუ გამოდგება. ბუნდესლიგა ხომ არის "ბაიერნის" სიძლიერის მაჩვენებელი? გერმანიის ჩემპიონობას მიუნხენელები, თუ სასწაული არ მოხდა, ხვალ, სეზონის დასრულებამდე 4 ტურით ადრე გაიფორმებენ. და, რა თქმა უნდა, მაგრადაც იზეიმებენ...

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო 2008. გერმანიის ნაკრები

# შნაიდერი საბოლოოდ გამოირიცხა!

**გერმანიას ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ლიდერი დააკლდება**

ამას წინათაც გაცნობეთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე **ბერნდ შნაიდერის** თამაში თითქმის გამორიცხული იყო, მაგრამ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** იმედს მაინც არ კარგავდა და ამბობდა, იქნებ მოხდეს სასწაული და ბერნდმა, რომელიც გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, ავსტრია-შვეიცარიაში წამოსვლა მოახერხოსო. ახლა უკვე საბოლოოდ ცხადია, რომ კონტინენტს პირველობა შნაიდერის გარეშე ჩაივლის. "ბაიერის" ექიმებმა ბუნდესმწვრთნელს ყველა იმედი გადაუწურეს.

*"გული მტკივა, რომ შნაიდერი ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. მისი გამოცდილება და შესაძლებლობები გერმანიის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ბოლო მომენტამდე იმედი მქონდა, რომ დროულად გამოჯანმრთელდებოდა,"* - გულდაწყვეტილია ლიოვი, რომელიც შნაიდერს ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებდა. ახლა კი, იოგი სასტარტოში მისი შემცვლელის ძებნას იწყებს.

*"გული მწყდება, მაგრამ რას ვიზამთ. ეს ფეხბურთია და ტრავმისგან არავინაა დაზღვეული. არა უშავს, ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და ვინ იცის, იქნებ მუნდიალზე ვითამაშო კიდეც. ყოველ შემთხვევაში, კარიერის დამთავრებას ჯერ არ ვაპირებ,"* - უთხრა შნაიდერმა "კიკერს".

ლიოვი ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ფეხბურთელების სიას 16 მაისს გამოაქვეყნებს. შნაიდერი კი ამ სიაში არ იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**



ბერნდ შნაიდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXV ტურის წინ

# კვირას კვანძი უნდა გაიხსნას

**დღეს**

ატლეტიკო-რეკრეატივო
სარაგოსა-დეპორტივო

**ხვალ**

სევილია-ვალიადოლიდი
ალმერია-ბეტისი
ვილიარეალი-ხეტაფე
ლევანტე-ესპანიოლი
ბილბაო მალიორკა
რასინგი-მურსია
ბარსელონა-ვალენსია
ოსასუნა-რეალი



ბერნდ შუსტერი

ამ უქმეებზე პრიმერა დივიზიონში კვანძის გახსნას ელიან. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, "რეალის" საჩემპიონთა-ლიგო შეხვედრაზე უნდა ვისაუბროთ. თუ სამეფო კლუბი პამპლონაში "ოსასუნას" დაამარცხებს, ვადამდელი ჩემპიონი გახდება. მადრიდის მერიის ხელმძღვანელობამ და სამეფო კლუბის მესვეურებმა სიბელესის ფიესტისთვის საორგანიზაციო საკითხები ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ მოაგვარეს, მაგრამ მაშინ ჩემპიონობა გადაიდო და სიბელესის მოედანზე მოწყობილი პოდიუმი ისევ აალაგეს. უნდა ითქვას, რომ კვირას ისევ ყველაფერი მზად იქნება. "რეალი" ნავარაში უდიდესი მოტივაციით გაემგზავრა. დედაქალაქელებს ჩემპიონობის გადადება არ სურთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მომდევნო ტურში სამეფო კლუბი "ბარსელონას" ხვდება. **ბერნდ შუსტერსა** და მის ბიჭებს ძალიან უნდათ, რომ კატალონიურ გრანდს ჩემპიონის რანგში უმასპინძლონ და მათ მიერ მოწყობილ ეგრეთწოდებულ "ღირსების დერეფანში" გაიარონ. ამ საკითხზე გასული დღეების განმავლობაში არაერთი სტატია შემოგთავაზეთ. შეგახსენებთ, რომ პრიმერა დივიზიონში ერთი დაუწერელი კანონი მოქმედებს. გაჩემპიონების შემდეგ პირველ საშინაო შეხვედრაში სტუმრებმა მასპინძლებს "ღირსების დერეფანი" უნდა მოუწყონ და ტაში დაუკრან. დღემდე უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ კატალონიური კლუბის ხელმძღვანელები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყბადაღებული დერეფანი პრიმერა დივიზიონის დამატებით ინტრიგად იქცა.

"ოსასუნასთან" მატჩში ბერნდ შუსტერს, ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობის გაყვანის შესაძლებლობა მიეცემა. **კრისტოფ მეტცელდერმა** და **სერხიო რამოსმა** მიკროტრავმები მოიშუშეს. გერმანელმა და ესპანელმა მცველებმა ბოლო ვარჯიშები სრული დატვირთვით ჩაატარეს. "რეალის" გულშემატკივრებისთვის კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია გვაქვს. ტრავმისგან **გუტიც** განიკურნა. **ხოსე მარია** ჩინებულ ფორმაშია. თუ მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, ის, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. "ოსასუნისა" და "რეალის" შეხვედრაში შესაძლოა, **რუუდ ვან ნისტელროი** დაბრუნდეს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელმა ფორვარდმა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ლაზარეთში დიდი დრო გაატარა. მაშინ, ჰოლანდიელი ექიმები აცხადებდნენ, ვან ნისტელროი ბოლო ოთხ ტურში აუცილებლად ითამაშებსო. მათი პროგნოზი გამართლდა. რუუდი მზად არის. მთავარია, შუსტერი როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. პამპლონაში გამგზავრების წინ გერმანელმა სპეციალისტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"ყოველთვის ჯობს, ჩემპიონობა საკუთარ სტადიონზე მოიპოვო და გულშემატკივრებთან ერთად ლამაზი ფიესტა მოაწყო. სამწუხაროდ, "ოსასუნას" გასვლაზე ვეთამაშებით, მაგრამ არა უშავს. მთავარია, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ტიტული გავინაღდოთ. ვფიქრობ, ჩვენ ამის უნარი შეგვწევს. დარწმუნებული ვარ, პამპლონელები მედგარ წინააღმდეგობას გაგვიწევენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ცხოვრება გაგვირთულონ, თუმცა ჩვენ არავის გვეშინია. მთავარია, "რეალმა" საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოამჟღავნოს. ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნების შემდეგ კლუბში არსებული მორალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ბიჭებს ერთი სული აქვთ, მოედანზე როდის გავლენ და გუნდს ჩემპიონობას მოუტანენ. პამპლონური ორთაბრძოლა საკმაოდ გვიან დასრულდება, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში მადრიდში დაუყოვნებლივ დავბრუნდებით და იმავე ღამეს "სიბელესზე" ტრადიციულ ფიესტას მოვაწყობთ".*

გასულ ხუთშაბათს, "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** მოულოდნელი განცხადება გააკეთა და საზოგადოებას მთავარი მწვრთნელის მუშაობით გამოწვეული უკმაყოფილების შესახებ ესაუბრა. მადრიდული კლუბის პრეზიდენტს არ დაუმალავს, რომ ქულების ხშირი კარგვით უკიდურესად შეშფოთებულია და ფიქრობს, რომ **ხავიერ აგირე** თანამდებობიდან უნდა წავიდეს. ბუნებრივია, ეს განცხადება მექსიკელ სპეციალისტზე დადებითად არ იმოქმედებდა. შეუძლებელია, ის ფსიქოლოგიურ წნეხში არ იმყოფებოდეს, თუმცა ამა თუ იმ პრობლემის მიუხედავად, "ატლეტიკო" "რეკრეატივოს" დასამარცხებლად ყველაფერს გააკეთებს. დედაქალაქელებს უკანდასახევი გზა უბრალოდ არ გააჩნიათ. კიდევ ერთი წაბორძიკება შესაძლოა, საკმარისი გახდეს, რომ "როხიბლანკომ" ჩემპიონთა ლიგის ზონა დატოვოს და მეოთხე ადგილი სანტანდერის "რასინგს" დაუთმოს. უელველებთან მატჩის წინ სენიორ აგირეს სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. სხვადასხვა სიმძიმის ტრავმის გამო მას **კლებერ სანტანასთან, კამაჩოსა** და **რაულ გარსიასთან** სრულფასოვნად მუშაობის საშუალება არ მიეცა. მექსიკელი სპეციალისტი არ მალავს, რომ მისი სამი შეგირდი შორს არიან სასურველი კონდიციებისგან. ბატონი ხავიერის თქმით, ისინი საუკეთესო შემთხვევაში მოედანზე მხოლოდ 45 წუთის გატარებას შეძლებენ. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ "ატლეტიკოს" ნახევარდაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნება.

"დიარიო ასმა" გუშინ მადრიდული კლუბის სავარაუდო შემადგენლობა გამოაქვეყნა: ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, პაბლო იბანიესი, პერეა, პერნია, ზე კასტრო, იგნასიო კამაჩო, მაქსი როდრიგესი, ლუის გარსია, სერხიო აგუერო, დიეგო ფორლანი.

თუ ესპანურ საინფორმაციო საშუალებებს დავუჯერებთ და ხსენებული სამი ფეხბურთელი მართლაც არ არის მზად 90 წუთის განმავლობაში საბრძოლველად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აგირე საბოლოო გადაწყვეტილებას თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მიიღებს. არ გვგონია, მექსიკელმა მწვრთნელმა მოუმზადებელი მოთამაშეების ძირითადში დაყენებით, ჩემპიონთა ლიგის საგზურის ბედი რისკის ქვეშ დააყენოს.

ამ ტურში არანკლებ ინტერესს "ბარსელონისა" და "ვალენსიის" დაპირისპირება იწვევს. კატალონიელებმა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი დაკარგეს, თუმცა ისინი მაინც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. **რაიკაარდის** გუნდმა მეორე ადგილი მაინც ხომ უნდა დაიკავოს. სიმართლე ითქვას, მათთვის ამ ამოცანის გადაჭრაც უდიდეს სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რადგან "ვილიარეალი" სოლიდურ უპირატესობას ფლობს. შესაძლოა, ამ შეხვედრას ვალენსიელი ფეხბურთელები უფრო დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდონ. ღამურებს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრებათ. "კამპ ნოუზე" წაგება მათთვის შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. კატალონიაში გამგზავრებამდე "ღამურების" ახალ მთავარ მწვრთნელს **ფერნანდო მორიენტესი** დაუბრუნდა. მოროს უმწვავესი ფალარათი ქონდა და თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ვერ ვარჯიშობდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 34 | 24 | 3 | 7 | 71-30 | 75 |
| 2. ვილიარეალი | 34 | 20 | 5 | 9 | 55-40 | 65 |
| 3. ბარსელონა | 34 | 17 | 10 | 7 | 62-33 | 61 |
| 4. ატლეტიკო | 34 | 16 | 7 | 11 | 59-44 | 55 |
| 5. რასინგი | 34 | 15 | 8 | 11 | 38-36 | 53 |
| 6. სევილია | 34 | 16 | 4 | 14 | 64-48 | 52 |
| 7. დეპორტივო | 34 | 14 | 7 | 13 | 45-43 | 49 |
| 8. ალმერია | 34 | 13 | 9 | 12 | 36-37 | 48 |
| 9. მალიორკა | 34 | 11 | 14 | 9 | 59-48 | 47 |
| 10. ესპანიოლი | 34 | 13 | 8 | 13 | 41-45 | 47 |
| 11. ბილბაო | 34 | 12 | 10 | 12 | 36-36 | 46 |
| 12. ბეტისი | 34 | 12 | 8 | 14 | 42-46 | 44 |
| 13. ხეტაფე | 34 | 11 | 9 | 14 | 39-43 | 42 |
| 14. ვალიადოლ. | 34 | 11 | 9 | 14 | 40-53 | 42 |
| 15. ვალენსია | 34 | 12 | 6 | 16 | 39-54 | 42 |
| 16. ოსასუნა | 34 | 11 | 7 | 16 | 33-38 | 40 |
| 17. რეკრეატივო | 34 | 10 | 10 | 14 | 37-54 | 40 |
| 18. სარაგოსა | 34 | 9 | 11 | 14 | 45-55 | 38 |
| 19. მურსია | 34 | 7 | 9 | 18 | 29-53 | 30 |
| 20. ლევანტე | 34 | 7 | 4 | 23 | 29-63 | 25 |

## ჩემპიონთა ლიგის ფინალი: 700 ავტობუსი ინგლისელი ფანებისთვის

მოსკოვის ვიცე-მერმა და ჩემპიონთა ლიგის ფინალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვალერი ვინოგრადოვმა** სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალის საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრა.

*"მოსკოვის ტრანსპორტის დეპარტამენტს უკვე შევუთანხმდით იმის შესახებ, რომ ფინალის წინ, აეროპორტში ინგლისელ ფანებს 700 ავტობუსი დახვდება. ვფიქრობ, ეს აუცილებელია. ამას გარდა, გამოვყოფთ დაახლოებით 200 მიკრო-ავტობუსს, რომლებიც ფანებს ასევე უფასოდ მოემსახურებიან. სპეციალურ რეჟიმში იმუშავებენ ტაქსებიც, ოღონდ ტაქსი უფასო არ იქნება. კლუბებმა თავიანთი ფანებისთვის სასტუმროებში ადგილები უკვე დაჯავშნეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ნახევარფინალის წინ მოხდა, რის შემდეგაც გავარდნილმა გუნდებმა განაცხადი გააუქმეს. საერთო ჯამში, ინგლისელი ფანების მისაღებად მზად არის 200 სასტუმრო. უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების მიღებას არ ვაპირებთ. სამართალდამცავები ჩვეულებრივ რეჟიმში იმუშავებენ. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება,"* - განაცხადა ვინოგრადოვმა.

## ოლიჩი: ნიუკასლი ან პორტსმუთი

ინგლისური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "ნიუკასლი" და "პორტსმუთი" "ჰამბურგისა" და ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელ **ივიცა ოლიჩით** დაინტერესდნენ. ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს. ოლიჩი HSV-ს სასტარტო შემადგენლობის წევრი და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსის** ერთ-ერთი ფავორიტია. რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთელმა განაცხადა, თუ "ჰამბურგი" უეფას თასზე ვერ გავა, გუნდის გამოცვლაზე სერიოზულად ვიფიქრებო.

## THE SUN: ბოსინგვა მანჩესტერს შეუთანხმდა

ინგლისური ტაბლოიდი "სანი" იტყობინება, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" შეთანხმებას მიაღწია "პორტუს" მარჯვენა მცველ **ჟოზე ბოსინგვასთან**. ხსენებული გამოცემის მტკიცებით, 25 წლის ფეხბურთელი "მანჩესტერში" გადასვლის შემთხვევაში კვირაში 77 000 ევროს მიიღებს. მანკუნიანელები ახლა პორტუგალიურ გრანდთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, "მანჩესტერი" მზადაა, ბოსინგვაში 22 მილიონი ევრო გადაიხადოს. "პორტუ" კი 30 მილიონს ითხოვს.

## არსენალის სატრანსფერო გეგმები

ლონდონის "არსენალს" ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამ გუნდში ძალიან ცოტა ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობს. როგორც ირკვევა, ლონდონური კლუბის ხელმძღვანელები სატრანსფერო პოლიტიკის შეცვლას აპირებენ. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, "არსენალი" ზაფხულისთვის სამ ინგლისელ ფეხბურთელს უმიზნებს. ესენი არიან: "ვესტ ჰემის" მეკარე **რობერტ გრინი**, "ასტონ ვილას" საყრდენი ნახევარმცველი **გარეტ ბერი** და "მანჩესტერ სიტის" ცენტრალური მცველი **მაიკლ ჯონსონი**. "მეთოფეები" ამ უკანასკნელს **მეთიუ ფლამინის** შემცვლელის რანგში განიხილავენ. როგორც იცით, დიდი შანსია, რომ ფლამინიმ ზაფხულში "მილანს" მიაშუროს. აღსანიშნავია, რომ გარეტ ბერის "ლივერპულიც" ეპატიჟება.



## დავიდ სილვა ინტერში?

მილანის "ინტერმა" "ვალენსიის" გარემარბ **დავიდ სილვას** დაადგა თვალი, რომლისთვისაც "ბარსელონაც" იბრძვის. "ინტერის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ ესპანეთის ნაკრების 22 წლის ფეხბურთელი მილანურ კლუბში **ლუიშ ფიგუს, სანტიაგო სოლარის** ან **სეზარის** შემცვლელად განიხილება.

## ბარსას პალასიო უნდა



"ბარსელონას" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ "ბოკა ხუნიორსის" თავდამსხმელი **როდრიგო პალასიო**, რომლის შეძენა "ჩელსის" და "სევილიასაც" უნდათ, კატალონიური გრანდის ინტერესის სფეროშია მოხვედრილი. ცნობილი გახდა, რომ "ბარსას" სასურველ ფეხბურთელთა სიაში სულ 40 (!) ფეხბურთელის გვარი ფიგურირებს. ამით დასტურდება ის, რომ კატალონიელები ძირეულ ცვლილებებს გეგმავენ.

"ბარსა" პალასიოს გადაბირებით შარშანაც იყო დაინტერესებული, მაგრამ ხელმძღვანელებმა საბოლოო ჯამში არჩევანი **ტიერი ანრიზე** შეაჩერეს, რაც ნამდვილად არ იყო გასაკვირი. ფაქტი ის არის, რომ ანრიმ მოლოდინი ვერ გაამართლა. 26 წლის არგენტინელის ყიდვას "სევილიაც" ცდილობს. პალასიოს სატრანსფერო უფლებების 70 პროცენტი "ბოკას" ეკუთვნის, 17.5 პროცენტი მის ყოფილ გუნდ "ბანფილდს", დანარჩენი კი ფეხბურთელის აგენტ **ორასიო პალადინოს**.



## დავიდსი ჯერ არ მიდის

ვეტერანი ჰოლანდიელი ნახევარმცველი **ედგარ დავიდსი** კარიერის დამთავრებას აღარ აპირებს. როგორც იცით, 35 წლის საყრდენი "აიაქსის" ღირსებას იცავს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დავიდსს "შალკე", "ჰამბურგი", "სამპდორია" და "ზალცბურგი" ეპატიჟებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# სამი ქართველი ჭაბუკი ზელანდიაში



რატი ხუციშვილი. ილია სურგულაძე, გიორგი ლომინაძე

**სამი** ახალგაზრდა ქართველი მორაგბე ახალ ზელანდიაშია. „ოლ ბლექსის" სამშობლოში უნივერსიტეტელები ილია სურგულაძე და რატი ხუციშვილი, ასევე გიორგი ლომინაძე („ლელო") გაემგზავრნენ, სადაც ერთ-ერთ აკადემიაში ივარჯიშებენ და პროვინციულ კლუბში ითამაშებენ. ზელანდიურმა პრესამ, კერძოდ კი „ტარანაკი დეილი ნიუსმა", ქართულ ტრიოზე სტატია გამოაქვეყნა, რომელიც შემდეგ ზელანდიურმა „რაგბი ჰევენმა " გადაბეჭდა.

- საქართველოში კვლავ ზრდიან ფიზიკურად ძლიერ, მეომარ მორაგბეებს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ხეირიანი სათამაშო მოედნები არა აქვთ და მინდვრის მწვანე საფარი, ჩვენგან განსხვავებით, სანატრელი აქვთ. 18 წლის ილია სურგულაძე, რატი ხუციშვილი და გიორგი ლომინაძე მზად არიან, ზელანდიაში სარაგბო განათლება მიიღონ, რომელიც შემდგომ კარიერაში გამოადგებათ.

ზელანდიაში ჩამოსულ ქართველებს სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მორაგბეებად მიიჩნევენ. ტრიო ოთხი თვის განმავლობაში ზელანდიაში ისწავლის და ივარჯიშებს ტარანაკის რეგიონის რაგბის კავშირის მიწვევით. ქართველები ახლადდაარსებულ აკადემიაში ითამაშებენ. *„ჩვენ სამივეს ძალიან გვიყვარს ახალი ზელანდია, „ოლ ბლექსი", თქვენი ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოა"*, - ამბობს მესამეხაზელი ფორვარდი, ძვალმსხვილი **ილია სურგულაძე**, რომელიც ირწმუნება, რომ რაგბი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ხდება: *„ქართველებს კარგი ფიზიკური მონაცემები გვაქვს, მაგრამ ხშირად არ გვყოფნის სარაგბო უნარი, თუმცა რაგბი სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენში. საქართველოში უკვე ბევრი ახალგაზრდული გუნდია"*.

საქართველომ მართლაც ყველა გაოცა საფრანგეთის მსოფლიო თასზე კარგი თამაშითა და ნამიბიის დიდი ანგარიშით დამარცხებით. ქართული სამეული ტარანაკიში ორშაბათს ჩამოვიდა. ბიჭები აკადემიაში მოემზადებიან, თამაშით კი ტუკაპას დიდების გუნდში ითამაშებენ, ისინი ჯერ ტუკაპას B გუნდში დაიწყებენ. ტარანაკის რაგბის კავშირის ხელმძღვანელი **მარკ რობინსონი** ამბობს, რომ ქართველები აკადემიაში ყველა ასპექტში დახვეწენ ტალანტს, მოუმატებენ ფიზიკურად, შეისწავლიან რაგბის ტაქტიკას, ამაში კი მათ ჩვენი კავშირის გამოცდილი მწვრთნელები დაეხმარებიან. *„მათ შესახებ პერიოდულად მივაწვდით ცნობებს საქართველოის რაგბის კავშირს, მათ ეს სამეული საუკეთესოდ დაგვიხასიათეს და ახლა ჩვენ მათზე შეფობას ვილებთ. ამიტომაც ჩვენ მათგან საქართველოს ნაკრების მომავალი უნდა დავაყენოთ"*, - განაცხადა რობინსონმა.

ეს შეთანხმება ორივე მხარეს ძალიან წაადგება, ქართველებისთვის ეს დიდი სკოლა იქნება, ხოლო ტარანაკის რაგბის კავშირი მიიღებს დამატებით კარგ მორაგბეებს, სამივე ქართველი ერთსულოვანია, მათი მიზანი ერთ დღეს „ბორჯღალოსანთა" კვართის მორგებაა. მსოფლიოში მათ ნაკრებს ლელოებს ეძახიან. ტარანაკიში გატარებული ოთხი თვე მათ ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარება. **ილია სურგულაძე**: *„სიმართლე გითხრათ, ერთბაშად ასეთ კარგ სტადიონებთან შეგუება გამიჭირდება, თუმცა, სერიოზულად, ყველაფერს გავილებ, რომ მიზანს მივაღწიო. რა მოხდება მომავალში, ეს უკვე მხოლოდ ღმერთმა უწყის"*. რობინსონი იმედოვნებს რომ ტარანაკის სარაგბო აკადემია, სხვა ქვეყნის მორაგბეებსაც მიიწვევს, ისევე, როგორც - ზელანდიის სხვა რეგიონის მოთამაშეებს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# აქეთაც რვა და იქითაც რვა

**ავჭალის "სინათლისა" და ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზე, დღეს დაიწყება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი.**

წლევანდელ პირველობაში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა როგორც უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაში - ორივეგან 8-8 გუნდი იბურთავებს. უმაღლესი ლიგა 2 წრედ, მიმოსვლითი სისტემით გაიმართება, საუკეთესო ოთხეული კი პლეი ოფში გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

რეგულარული პირველობის დასრულების შემდეგ, უმაღლესი დივიზიონის მეშვიდეადგილოსანი პირველი ლიგის მეორეადგილოსანთან 2 მატჩის ჯამში გაარკვევს იმ გუნდის ვინაობას, რომელიც გაისად უძლიერესთა რიგებში ითამაშებს. უმაღლესი ლიგის მერვეადგილოსანი კი ავტომატურად ვარდება და მის ადგილს დაიკავებს პირველი ლიგის გამარჯვებული.

| უმაღლესი ლიგა. I ტური |
|---|
| **3 მაისი** |
| უნივერსიტეტი - არმაზი (სინათლ. 15:00) |
| **4 მაისი** |
| ლელო - დინამო (სინათლე 15:00) |
| ყოჩები - აკადემია სინათლე 17:00) |
| ლოკომოტივი - აია (ვაკე 17:00) |
| **პირველი ლიგა. I ტური** |
| **3 მაისი** |
| დევები - ლოკომოტივი2 (ვაკე 15:00) |
| ლელო2 - თბილისი (სინათლე 17:00) |
| ხულიგანა - ბათუმი (ვაკე 17:00) |
| **4 მაისი** |
| რუსთავი - აია2 (ვაკე 15:00) |

**კობა ხატისაშვილი**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# მეხუთე ტური იწყება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დღეს, დაიწყება ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი მეხუთე წრე. რეგულარული პირველობის ბოლო ეტაპზე, წესით, ყველაფერი დასკვნით ტურში უნდა გადაწყდეს, როდესაც უშუალო კონკურენტები ერთმანეთს შეხვდებიან. "თბილისი" - სტუ-"თელავის" დაპირისპირებაში თბილისელებს ფრეც ჰყოფნით რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად, რაც პლეი ოფში მოედნის უპირატესობას იძლევა. რაკილა ორივე გუნდი დედაქალაქურია, შესაძლოა, მოედნის უპირატესობა ცოტა სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ მაინც...

ასევე ბოლო ტურში შეხვდებიან ერთმანეთს "მამული" და "ქუთაისი". "მამულს" ფრეც ჰყოფნის ბრინჯაოს მედლისთვის, ქუთათურებს კი ნებისმიერი ანგარიშით მოგება მართებთ.

ბოლო ტურამდე კი გამოკვეთილი ფავორიტები აუტსაიდერებს ეთამაშებიან და სენსაციის ალბათობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია...

**კობა ხატისაშვილი**

| 3 მაისი |
|---|
| მამული - სტუ (13:00) |
| ქუთაისი - თბილისი (14:30) |
| **4 მაისი** |
| თბილისი - მამული (13:00) |
| სტუ - ქუთაისი (14:30) |
| **5 მაისი** |
| ქუთაისი - მამული (13:00) |
| თბილისი - სტუ 14:30 |

ჩოგბურთი

# ტატიშვილმა მეორეც მოიგო

რომორც იქნა, ფორმაში შევიდა საქართველოს მეორე ჩოგანი და ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ჩოგბურთელი, 18 წლის **ანა ტატიშვილი**, რომელიც ძალიან კარგად ასპარეზობს შარლოტსვილის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ანამ მერვედფინალში დაამარცხა სამხრეთაფრიკელი **ჩენელ სხეფერსი** (169), რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 120 ადგილით უსწრებს ქართველს. პირველი სეტი ანამ პირწმინდად წააგო, თუმცა შემდეგ მეტოქეს შანსი აღარ მისცა – 1:6, 6:3, 6:1. მეოთხედფინალში ტატიშვილს კიდევ უფრო რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს, მისი მეტოქე შარლოტსვილში მე-2 ნომრად განთესილი რუსი **ოლგა პუჩკოვაა**. პუჩკოვა 20 წლისაა და ის მსოფლიოს 117-ე ჩოგანია, თუმცა შარშან ამ დროს რუსი მსოფლიოს 32-ე ჩოგნობამდე ამაღლდა. რუსი ჩოგბურთელი მტავარ პროფესიას შესანიშნავად უწყობს გატაცებასაც – ის საკმაოდ წარმატებული მოდელია. თამაშის წინ პუჩკოვამ განაცხადა, რომ მგონი ერთხელ ახალგაზრდულ ტურნირზე შევხვდი ქართველს, მაგრამ ვინ მოიგო, აღარ მახსოვსო.

# ოქრუაშვილი ინდოეთს იპყრობს

17 წლის ჩოგბურთელი **მაგდა ოქრუაშვილი**, მოულოდნელად, ძალიან კარგად ათამაშდა – მაგდა ინდოეთის ქალაქ კოჩინში იმყოფება, სადაც უკვე 10-ათასიანი ტურნირის სენსაციად მონათლეს. ურეიტინგო ჩოგბურთელმა ჯერ საკვალიფიკაციო ბადეში იმარჯვა, შემდეგ ძირითადიც სულ ტრიუმფით გაიარა. გუშინ ნახევარფინალში მაგდა ოქრუაშვილმა მასპინძელ **შალინი საპოოს** მოუგო – 6:3, 6:2. ფინალში მაგდას ტურნირის პირველი ჩოგანი **რაშმი ჩაკრავარტი** (514) ელის. 30 წლის ინდოელი 3-4 წლის წინათ რეიტინგში გაცილებით წინ იყო. ქართველმა ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო უკვე. არადა, აქამდე ოქრუაშვილმა მხოლოდ სამჯერ ითამაშა ტურნირის ძირითად ბადეში და სამჯერვე პირველ სეტში დამარცხდა.

# ქვაცაბაია გამოეთიშა

თურქეთის ქალაქ ადანაში ქალ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს (10 ათასი დოლარი), შეჯიბრების ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელი იყო, თუმცა **მარიამ კუპრეიშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა, შედარებით უკეთ ითამაშა უფრო გამოცდილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (687). მერვე ნომრად განთესილმა 19 წლის ქვაცაბაიამ პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ, მერვედფინალშიც იმარჯვა, მან ავსტრალიელი **ჯეიდ ჰოპერი** დაამარცხა – 7:5, 6:2. ქვაცაბაია მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილ თურქ **კაგლა ბუიუქაგჩაის** (450) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა – 4:6, 3:6. ქვაცაბაიასთვის ეს შედეგი ურიგო არაა, მან წლეულს მეორედ გააღწია 10-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში. ამ ტურნირის წყვილთა თანრიგში მარიამ კუპრეიშვილი და უკრაინელი **შულაევა** მეოთხედფინალში დამარცხდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭაბუკთა ნაკრები

# ჯერ სომხეთი, მერე ევროპა

**საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები დღეს სომხეთში გაემგზავრება, სადაც იქაურ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს.**

**ვახტანგ ბერიაშვილის** შეგირდები მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებიან. ისინი სომხებს ერთი თვის წინათ თბილისშიც ებურთავნენ და სამივე მატჩი მოუგეს. ამას გარდა, ნაკრების კანდიდატებმა ახლახან ჯერ ქვეყნის 16-წლამდელთა პირველობაზე იბურთავეს, მერე კი საქართველოს ახალგაზრდულ თასზე.

ამას გარდა, გეგმაში იყო ნორვეგიაში გამგზავრება და იქაურ 16-წლამდელებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება, მაგრამ საფრანგეთის საელჩომ ჩვენს გუნდზე ვიზა არ გასცა და სკანდინავიური ვარიანტი ჩაიშალა.

სომხეთიდან დაბრუნებისთანავე, 18-წლამდელები ხორვატიის ქალაქ პულაში გაემგზავრებიან და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ მასპინძლების, ბელგიელებისა და ნორვეგიელების წინაალმდეგ.

**კობა ხატისაშვილი**

ქართული ჭიდაობა

# პირველობა ბანკის დახმარებით

**4-5 მაისს ნაძალადევში, ყოფილი "შრომითი რეზერვების" დარბაზში გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.**

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართული ჭიდაობა ჩვენთან ლამის უპატრონოდაა მიგდებული. ძალიან კი მერიდება ჩვენს ეროვნულ საუნჯეზე ამის თქმა, მაგრამ ფაქტია - ქართულ ჭიდაობაში ნებისმიერი პატარა ტურნირის ჩატარებაც კი ოცნებად იქცა, ფედერაცია იმდენად მწირ დაფინანსებას იღებს, ხოლო სპონსორების მოძიება რამდენად ძნელია, თავადაც იცით. ალბათ, არც ეს ტურნირი ჩატარდებოდა, რომ არა "თი-ბი-სი" ბანკის თანადგომა და დახმარება. სწორედ მათი დაფინანსებით მოხერხდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. ამ კონკრეტულ შემთხვევას ზუსტად მიესადაგება მათი დევიზი - "ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს" და ღმერთმა ქნას, ქართული ჭიდაობაც გააძლიერონ. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ამ ფედერაციასთან მათი თანამშრომლობის პირველი ფაქტია, რისთვისაც იქაურები ძალიან ემადლიერებიან. იმედია, მსგავსი ურთიერთთანადგომა და ურთიერთგაძლიერება მომავალშიც გაგრძელდება. მაგრამ კიდევ უფრო იმას ვიმედოვნებთ, აღნიშნულ ბანკს და **მამუკა ხაზარაძეს** სხვებიც მიბაძავენ და ერთობლივი ძალებით გადაარჩენენ ქართულ ჭიდაობას, მისი გადარჩენა კი ბავშვებიდან უნდა დაიწყონ.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# პეკინი საქართველოსთვის



საქა-რთველო

ჩინეთის ქალაქ შანხაიში მიმდინარე პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურზე, ჩვენი ვაჟების მსგავსად, შეჯიბრებას ნაადრევად გამოეთხოვა ქალთა დუეტი **საქა-რთველო**. საქამ და რთველომ ძირითადი ბედის მესამე ეტაპზე ნორვეგიელები (ჰაკედალი და ტორლენი) დაამარცხეს - 17:21, 21:17, 15:13. შემდეგ მატჩში კი გაქართველებულ ბრაზილიელებს კიდევ ერთი ცხარე ბრძოლა გადახდათ გერმანელ მეტოქეებთან (კლაასენი-რიოდერი), მაგრამ ამჯერად ველარ იმარჯვეს (18:21, 25:23, 13:15) და ტურნირი დაამთავრეს.

ამრიგად, საქა-რთველომ 180 ქულა ჩაიწერა რეიტინგში და 3900 დოლარი მიიღო საპრიზო ფონდიდან. პეკინის ოლიმპიური თამაშების რეიტინგში ჩვენი გოგონები ისევ 25-ე პოზიციაზე არიან, მაგრამ ოლიმპიურ ზონაში (24-ე ადგილი) მყოფ ლატვიელებთან 200-ქულიანი ჩამორჩენა შანხაიში 50 ქულამდე დაიყვანეს. ამდენად, მათ მსოფლიო ტურის მომდევნო ეტაპზევე (13-18 მაისი, სეული, კორეა) შეუძლიათ ბალტიისპირელების გადასწრება.

რაც შეეხება გეორ-გიას, იგი მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე 6-11 მაისს, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ითამაშებს.

**კობა ხატისაშვილი**

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი


1937 წელი. დინამო (თბილისი)-ბასკეთის ნაკრები

**დასაწყისი "ლელო" №86,92,97**

**უნიკალური ფინალი.** სსრკ-პირველი, 1936 წლის თასის ფინალში, მოსკოვში, "იუნი პიონერების" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი "ლოკომოტივი" და თბილისის "დინამო". თამაში 2:0 მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ ნაგების შემთხვევაში, პროგრესული მსოფლიოს დედაქალაქის რკინიგზელებს ერთი, "მაშველი ვარიანტი" გააჩნდათ. თურმე მათ თანაქალაქელ დინამოელებთან ჰქონიათ ჩასატარებელი ნახევარფინალი, მაგრამ რახან ჩეკისტების კოლექტივი ჩეხეთ-სლოვაკეთში ტურნეს ატარებდა, ზემდეგმა ორგანოებმა რკინიგზელებს უფლება მისცეს, პირდაპირ ფინალში ეთამაშათ! აი, თბილისელებს რომ მოეგოთ, ეჭვგარეშეა, დაბრუნებულ დინამოელებთან ათამაშებდნენ "ლოკომოტივს" და გამარჯვებულს ისევ თბილისელებს შეახვედრებდნენ. მაგრამ ეს არ დასჭირდათ, ამიტომ ნახევარფინალზე გადამხტარი რკინიგზელები გამარჯვებულად გამოაცხადეს. შეადარეთ ფაქტი მოწოდებას: "ვიშე ზნამია სოვეტსკოგო სპორტა!"

**მეოცე** საუკუნის ავადსახსენებელ 37-ში, ჩეკას უწყების თბილისის "დინამოში" თამაშობდა ნახევარმცველი **აბაშიძე**, რომელიც ფეხბურთის გარდა სხვა პროფესიასაც ფლობდა... ჯალათად მუშაობდა! თამაშისა და ვარჯიშისგან თავისუფალ დროს, სათანადო დაწესებულების ჯურღმულებში პატიმრებს აწამებდა. მათ შორის ქართული ლიტერატურის კლასიკოსს **მიხეილ ჯავახიშვილს**. ცინიკოსების განსაზღვრით, შემტევი ხავბეკი იყო. რუსთაველისეული "მარჯვედ ქნევა" ნამდვილად ეხერხებოდა ოსტატს, აი, "მართლად ცემის" რა მოგახსენოთ...

**აღმოსავლეთ** და დასავლეთ იბერიელების პირველი საფეხბურთო მატჩი თბილისში 1937 წელს შედგა ("დინამო"-ბასკონეთი 0:2 /24 ივლისი), მეორეც იქვე გაიმართა (საქართველო-ბასკონეთი 1:3 /30 ივლისი). ანგარიშის მიუხედავად ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენი მოდგმის ხალხმა ფეხბურთის თამაში კარგად იცის.

**საბჭოთა კავშირში** პირველად ვიდეოჩანაწერი (იმხანად კინოფირზე დაფიქსირებული ეპიზოდი) 1939 წელს გამოიყენეს ჭეშმარიტების დასადგენად. შედეგი მსაჯთა საგანგებო კომისიამ დაადგინა: თასის ნახევარფინალში "სპარტაკს" თბილისელთა კარში ბურთი არ გაუტანია. ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოველებს თასი უკვე მოპოვებული ჰქონდათ, მატჩი გადათამაშდა. "სპარტაკმა" ისევ მოიგო 3:2. ისე, კაცმა რომ თქვას, ქართველების სხვა პროტესტებიც რომ დაეკმაყოფილებინათ, უეჭველია, 1964 წლამდე ჩვენები არაერთხელ გახდებოდნენ ჩემპიონები და თასის მფლობელებიც...

**უნიკალური** რამ მოხდა 1941 წლის სსრკ-ს ჩემპიონატში (ომის დაწყებამდე) ლენინგრადის "ზენიტი" მასპინძლობდა თბილისის დინამოელებს. მსაჯმა ქართველების მეკარე **ამირან ტყებუჩავა** მინდვრიდან გააძევა. კარში ფორვარდი **ვიქტორ პანიუკოვი** ჩადგა. ამპლუას შეცვლამდე მას ორი ბურთი ჰქონდა გატანილი. თამაშის განახლების შემდეგ ქართველების კარში ორი პენალტი დაინიშნა. ერთი ვიქტორმა მოიგერია, მეორე კარს ასცდა. შედეგი 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ. ბევრი მეკარე ვერ დაიტრაბახებს ასეთი შედეგით.

**1941 წლის** 22 ივნისს ომი დაიწყო. სსრკ-ს ჩემპიონატის ლიდერს თბილისის "დინამოს" კი 24-ში თამაში ჰქონდა ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. ფეხბურთისთვის ვის ეცალა, მაგრამ დაბნეულმა სპორტჩინოვნიკებმა სათანადო ბრძანების გარეშე, ვერ გაბედეს თამაშის გაუქმება. ისიც ჩატარდა, ცარიელი ტრიბუნების წინ (3:2). აი, კიევში კი, ადგილობრივი "დინამო" იმიტომ ვერ ეთამაშა ცდკა-ს, რომ ქალაქი დაბომბეს! მატჩი გადაიდო... ომში გამარჯვებამდე. 1945 წლის სეზონი სწორედ ამ გუნდების მატჩით გაიხსნა. ძველი ბილეთები ძალაში იყო!

**თბილისის** "დინამომ" 1945 წელს ომით დანგრეულ ბუქარესტში ადგილობრივ "ჰუვენტუდს" 10:5 (!) მოუგო. აღსანიშნავია ის, რომ ორივე გუნდის ოსტატობა, მნიშვნელოვანწილად სათამაშო პირობებთან შეგუების დონით განისაზღვრებოდა. მოედანი ყინულით იყო დაფარული. ბურთაობისა და ციგურაობის უნარი ქართველებმა უკეთ გამოამჟღავნეს.

**1945 წელს**, რუმინეთში ტრიუმფალური ტურნეს დროს, თბილისის დინამოს" ფეხბურთელებმა თავიანთი ბუქარესტელი კოლეგები დაამარცხეს არა მარტო საფეხბურთო გაზონზე, არამედ... საკალათბურთო პარკეტზეც.

**რით დამთავრდა** "სიკვდილის მატჩი" გერმანელების მიერ ოკუპირებულ კიევში, ცნობილია. ოკუპანტებისა და პურის ქარხნის (იგულისხმება "დინამო") მატჩის შემდეგ, რომელიც კიეველებმა მოიგეს, რამდენიმე ფეხბურთელი დახვრიტეს... საბოტაჟის საბაბით. აი, სხვა ანალოგიური მატჩის შესახებ საქართველოში არ იციან. ლანჩხუთში ჩატარდა მატჩი ადგილობრივ და ტყვე უნგრელ ფეხბურთელებს შორის. სტუმართა რიგებში რამდენიმე ძალიან ძლიერი ომამდელი პროფესიონალი თამაშობდა. მატჩი "სტუმრებმა" მოიგეს. მასპინძლებმა გამარჯვებულები დააპურეს და მოკლევადიანი დასვენების საშუალებაც მისცეს. გახსოვთ რუსთაველი? "ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ დააყოვნე, გინდეს სრული მამაცობა ესე სიტყვა დაიხსოვნე".

**ფრიად** ორიგინალური მეთოდით აღწევდნენ საწადელს ომისშემდგომი თაობის თბილისელი უბილეთო ყმაწვილი გულშემატკივრები. "დინამოს" სტადიონზე ჩრდილოეთის ტრიბუნის წინ ბილეთიანი ავტოსაინვალიდო ეტლების მფლობელებისთვის გამოყოფილი იყო ადგილები. ჰოდა უბნის ბიჭები (ხშირად 5-6 კაცი) საოცარი "შეკუმშვის" წყალობით, ჩაეტენებოდნენ მეზობელ ინვალიდ-ფრონტელების სამთვალა ეტლებში და თამაშს ესწრებოდნენ.

**ომისშემდგომ** პერიოდში, თბილისელთა ნებისმიერ გატანილ გოლს, თითქმის ყოველთვის საყვირით ეგებოდა ორთქლმავალი (ან ორთქლმავლები). ეს ბუნებრივიცაა - "დინამოს" სტადიონი ხომ რკინიგზის სატვირთო სადგურთან ახლოს მდებარეობს და გოლის გატანის აღმნიშვნელი ღრიალი, უტყუარი ნიშანი იყო გულშემატკივარ-მემანქანისთვის.

**გაგრძელება იქნება**

## მწვრთნელი-სპორტსმენზე

2004 წელს, **ფაბიო კაპელომ** თქვა: "*თამაშის მანერით ტოტი ლეგენდარულ ჯანი რივერას მაგონებს. ჩემი აზრით, ის რაულთან ერთად, ბოლო წლებში საუკეთესო მოთამაშეა მსოფლიოში*".

## იყო ასეთი შემთხვევა

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 564 წლის ოლიმპიურ თამაშებში მოხდა ტრაგიკული შემთხვევა - პანკრატიონში მოასპარეზე ფიგალიელი **არაქიონი** ასპარეზობისას დაილუპა. მეტოქემ მისი გარდაცვალების მომენტში სცნო თავი დამარცხებულად და ოლიმპიადის ჩემპიონად უკვე გარდაცვლილი ათლეტი გამოცხადდა.

## 1-9 მაისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში


ასე ჭიდაობდა შოთა ლომიძე

**1 მაისი, 1975 წელი.** ამ პერიოდიდან ცურვაში მსოფლიო რეკორდების ფიქსირების ახალი წესი მკვიდრდება. საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ აღიარებდა მხოლოდ იმ მსოფლიო რეკორდებს, რომლებიც დამყარდებოდა 50-მეტრიან აუზებში.

**2 მაისი. 1959 წელი.** სპორტში ტექნიკური პროგრესის დანერგვა განსაკუთრებით შთამბეჭდავი ხდება XX საუკუნის მეორე ნახევრის დასწყისიდან. ინერგება ფოტოფინიში გამარჯვებულის უტყუარად გამოსავლენად. კენტუკის ტრადიციულ დერბიში (დოლი სამწლიანი ცხენებისთვის) ამ დღეს პირველად გამოიყენეს სპორტში ფოტოფინიში.

**3 მაისი. 1960 წელი.** ქ. ლესელიძეში რუსმა მძლეოსანმა **ელვირა ოზოლინამ** შუბი 57,92 მ-ზე ტყორცნა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

**4 მაისი. 1943 წელი.** გერმანელმა ოკუპანტებმა ფაშიზმის წინაღმდეგ საფრანგეთში გაშლილ მოძრაობაში მონაწილეობისთვის სიკვდილით დასაჯეს ოლიმპიური თამაშების მედლის ორგზის მფლობელი **ჟორჟ ანდრე**. ეს იყო ის ფრანგი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებზე პარიზში. სხვათა შორის, ხსენებული ოლიმპიადაც პარიზში 4 მაისს დაიწყო.

**4 მაისს, 1949 წელს,** ტურინის მახლობლად მოხდა ავიაკატასტროფა, რომელმაც საფეხბურთო კლუბ "ტორინოს" ყველა ფეხბურთელის სიცოცხლე შეიწირა.

**7 მაისს, 1951 წელს** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სცნო სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი ვენაში გამართულ სესიაზე, ხოლო გდრ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 1952 წლისთვის ერთიან გერმანულ გუნდში შესვლა დაევალა.

**8 მაისი. 1984 წელი.** საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა ბოიკოტი გამოუცხადა ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებს. ბოიკოტს მხარი დაუჭირა სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანამ, გარდა რუმინეთისა. ეს იყო საპასუხო ნაბიჯი ოთხი წლით ადრე მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის გამო.

**9 მაისს, 1966 წელს,** საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონობა პირველმა მოიპოვა **შოთა ლომიძემ**. რამდენიმე წუთში იმავე ჩემპიონატზე კარლსრუეში ჩემპიონობა მოიპოვა აგრეთვე **ზარბეგ ბერიაშვილმა**.

**9 მაისი. 1989 წელი.** მოსკოვის ცსკ-ს ჰოკეისტმა **ალექსანდრ მოგილნიმ**, რომელიც მაშინ 20 წლის იყო, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა აშშ-ში. მოხდა ისე, რომ მოგილნის "ცოდვა" შეუნდეს და მალე იგი ნჰლ-ის კლუბ "ბუფალო სეიბრზში" ჩაირიცხა.

## მეფეები ოლიმპიურ თამაშებზე


ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

ცნობილმა ჟურნალისტმა, **პაატა ნაცვლიშვილმა** ოლიმპიური ისტორიების კვლევისას არაერთ განსაკუთრებით საყურადღებო მრავალ ფაქტს მოუყარა თავი, რომელთა შორის ოლიმპიელი მეფეების ამბებიც გვხვდება. მაგალითად, ნორვეგიის მეფე **ულაფ V** ზაფხულის ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა. 24 წლის განმავლობაში (1928-1952) საქვეყნო საქმეებთან ერთად, ოლიმპიადები და ოლიმპიური მედლების მოპოვებაც ყოფილა მისი მთავარი საზრუნავი. მეფემ ოთხიდან სამ შემთხვევაში მიზანს მიაღწია, თანაც სამივეჯერ მართლაც, რომ მეფური ღირსების შესაფერის ჯილდოს - ოქროს მედალს დაეუფლა. სამგზის ოლიმიური ჩემპიონი ნორვეგიის საჭეთმპრობელი აფროსნობაში გახდა. ოლიმპიადებში მემკვიდრე უფლისწული **ტურ ტურვალდსენის** ფსევდონიმით ასპარეზობდა.

ახლანდელ სახელმწიფო მეთაურთაგან ესპანეთის მეფე **ხუან კარლოს I** ერთადერთია, რომელიც ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. ხუან კარლოსი მიუნხენში აფროსანთა ოლიმპიურ ტურნირში გამოდიოდა. მართალია, ნორვეგიის მეფისგან განსხვავებით, ესპანეთის ნაკრების წევრმა არა თუ ოქროსი, საერთოდ, მედალი ვერ დაიმსახურა (XV ადგილზე გავიდა), მეფის ოლიმპიურმა წარსულმა დიდი როლი შეასრულა 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქთა კონკურსში ბარსელონას გამარჯვებაში.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. აზიის ქვეყანა, რომელიც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი იყო; 8. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 9. ბანქოს თამაშისნაირსახეობა, აღიარებული სპორტის ოლიმპიურ სახეობად; 10. რაგბში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 11. მთათა მასივი პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში; 12. ბარსელონის ოლიმპიადის ექვსგზის ჩემპიონი ტარვარჯიშში, ვიტალი ... 13. ფეხბურთის დანიელი სპეციალისტი, რომელიც საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის კანდიდატად მოიაზრება; 15. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ ... 16. "ტურ დე ფრანსის" ხუთგზის, "ჯირო დ' იტალიის" სამგზის გამარჯვებული, ფრანგი ველომრბოლი; 18. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბურთით გუნდური თამაში, სპორტის ეროვნული სახეობა; 19. "ჩელსის" მეკარე; 20. ფეხბურთში ევროპის 1992 წლის ჩემპიონი ქვეყანა; 21. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მერვე პრეზიდენტი; 22. სამაგიდო თამაში.

შვეულად: 1. კომპლექსური სპორტული ასპარეზობა დაკავშირებული სპარტაკის სახელთან; 2. აშშ-ი პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევა - ამორჩევის პროცესი; 3. საჭადრაკო ფიგურა, 4. ჭადრაკში მეფისა და ეტლის ერთობლივი სვლა; 5. წარსულში ცნობილი ხელბურთელი, მეკარე, ჯემალ ... 6. ჭადრაკში მეთერთმეტე ჩემპიონი ვაჟთა შორის; 7. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა; 10. კრივში პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის პაპის სახელი; 14. ყოფილი ოლიმპიური სპორტული ბაზა აფხაზეთში; 15. ცნობილი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო 1977-80 წლებში; 17. ბეისბოლის მსგავსი რუმინული სპორტული თამაში.

### წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. დოპინგი; 7. კიმონო; 8. ფრე; 9. კიი; 10. მაი; 11. მთა; 12. "ზენიტი"; 13. ვეა; 14. ელინი; 16. ტატიშვილი; 18. ჰაო; 20. ნოდია; 21. გო; 22. ფოლი; 23. რიო; 24. მოია.

შვეულად: 1. ჩილავერტი; 2. უნივერსიადა; 4. პრემიერლიგა; 5. ნაკანი; 6. ინინგი; 8. ფეი; 15. ნოკაუტი; 17. ვიალი; 19. სფფ; 20. ნჰლ.

## თქვენთვის, ერუდიტებო

1. როგორ იწოდება (შემოკლებით) ქალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ასოციაცია?
ა - ATP
ბ - WTA
გ - ATF

2. სად ჩატარდა ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი?
ა - არგენტინაში
ბ - ინგლისში
გ - მექსიკაში

3. ხელბურთში საქართველოს რამდენი და რა ხარისხის ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული?
ა - ერთი ოქროსი, ერთი ვერცხლის
ბ - ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი
გ - ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი

4. ერთ საბჭოთა სპორტსმენს ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, საერთო ჯამში მოპოვებული აქვს 18 მედალი - ოქროსი - 9, ვერცხლისა - 5 და ბრინჯაოსი - 4. ვინ იყო ეს სპორტსმენი?
ა - ბორის შახლინი
ბ - ნიკოლაი ანდრიანოვი
გ - ლარისა ლატინინა

5. საქართველოში სპორტის კლასიკური სახეობებიდან პირველად ჩაისახა:
ა - ველოსპორტი
ბ - ფარიკაობა
გ - ჩოგბურთი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

კალათბურთი. ლეგიონი

# მარკოიშვილი ხმაურით დაბრუნდა: მე-11 ნომრის 11 წუთი და 11:1



მანუჩარ მარკოიშვილი პოლიტეხნიკასთან მატჩში

**უკრაინის პირველობის ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში მანუჩარ მარკოიშვილის "კიევმა" ლვოვის "პოლიტეხნიკას" უმასპინძლა და იოლად გაუსწორდა - 98:68.**

ეს შეხვედრა ქართველი გულშემატკივრისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერთთვიანი შესვენების შემდეგ მარკოიშვილი მოედანს დაუბრუნდა. მან კოჭის ტრავმა უკრაინის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის ბოლოს მიიღო და მეოთხედფინალის გამოტოვება მოუწია, თუმცა დედაქალაქელებმა მის გარეშეც იოლად დაამარცხეს "დნეპრი" - 3:0.

თამაშსმოწყურებულმა მანუმ პოლიტექნიკოსებთან ბოძებული მცირე დრო მაქსიმალურად გამოიყენა და მსუყე მონაგარი დააფიქსირა. მან 11 წუთში 10 ქულა (4-დან 2 სამქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო) და 3 მოხსნა მოაგროვა. რადგან ციფრებზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტით ყველას კიეველმა **დენის უორენმა** აჯობა - 16 წუთში 16 ქულა და 6 მოხსნა.

მანუს გარჯა საინტერესოდაა შეფასებული "კიევის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში:

*"მატჩი NBA-ს სტილში დაიწყო - თითქმის ყველა შეტევა შედეგიანად სრულდებოდა. შესაბამისად, თუნდაც ხუთქულიანი ფორის მოპოვება ორივე გუნდს უჭირდა. სწრაფ თამაშში 3 ფოლი ნაადრევად მიიღო მასპინძელთა მაკედონიელმა ცენტრმა რაიან სტეკმა, მაგრამ მისი სათადარიგოთა სკამზე დაბრუნება "კიევის" წინა ხაზს არ დატყობია, რადგან ფეხის ტრავმა მიიღო მისმა მეურვემ ვლადიმირ გურტოვოიმ. მის გარეშე დარჩენილ ლვოველებს დედაქალაქელთა იერიშების შეჩერება უფრო და უფრო უძნელდებოდათ.*

*პირველი მეოთხედისგან განსხვავებული გამოდგა მეორე ათწუთეულის სტარტი - ხანგრძლივი შესვენების შემდეგ "კიევის" შემადგენლობაში პირველად გამოჩენილი მე-11 ნომერი მანუჩარ მარკოიშვილი სასწაულებს ახდენდა. ქართველი ფორვარდი ყველა ფრონტზე თანაბრად იბრძოდა და 5 წუთში 10 ქულის მოგროვება მოასწრო. ხოლო მისმა გუნდმა 11:1 გაქცევა მოაწყო და დიდი შესვენებისთვის მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ ნაადრევად გადაწყვიტა - 57:36."*

მეორე ტაიმზე საუბარი საინტერესო ნამდვილად არაა, თუნდაც იმიტომ, რომ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა მანუ ზედმეტად აღარ დატვირთა.

"კიევი"-"პოლიტეხნიკას" მომდევნო მატჩი 3 მაისს უკრაინის დედაქალაქში შედგება. მესამე დაპირისპირებას (7 მაისს) ლვოვი უმასპინძლებს. ნახევარფინალური სერია სამ მოგებამდეა.

ვაჟა სიმონიშვილი

# რა ელის ელისს?

**ტაირონ ელისის** "კახასოლმა" ესპანეთის პირველობის რეგულარული ეტაპის ბოლოსწინა ტურში მალაგის "უნიკახა" მძიმე ბრძოლაში 87:83 დაამარცხა.

ბოლო მეოთხედის წინ სევილიელები მალაგელებს 5 ქულის სხვაობით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ელისის მეთაურობით მეოთხე ათწუთეულში მეტოქეს 22:13 აჯობეს და საბოლოოდ 87:83 მოუგეს.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 30 წუთში 18 ქულა (7-დან 5 სამქულიანი) მიითვალა. თუმცა სნაიპერობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ელისის თანაგუნდელმა **აარონ მაილზმა** 23 ქულას მოუყარა თავი.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე "კახასოლს" 14 მოგება (19 წაგება) აქვს და პლეი ოფის ზონაში მყოფ "გრან კანარიას" (მერვე ადგილზეა) ერთი მოგებით ჩამორჩება. აქვე გაგიჩნდებათ შეკითხვა: ბოლო ტურში "კახამ" რომ მოიგოს და "კანარიამ" წააგოს, პლეი ოფში ვინ გავა? სამწუხაროდ, სევილიელებს კუნძულელებთან ორივე მატჩი წაგებული აქვთ და მათ ვერ გადაასწრებენ. ამასთან, ელისის გუნდს ბოლო მატჩის მოგების მიზერული შანსი აქვს - 9 მაისს პირველადგილოსან "რეალს" მადრიდში ეწვევა.

ვაჟა სიმონიშვილი




მძლეოსნობა

# დაბრუნება ეროვნულზე

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გუშინ დიდი სტუმრიანობა იყო. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ საუკეთესო სპორტსმენებს მოუყარა თავი და ღია ვარჯიში ჩაატარა.**

ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ, მისი დაქირავება საკმაოდ ძვირის სიამოვნება გახდა, რის გამოც იქ მძლეოსნები ძველებურად სისტემატურად ველარ ვარჯიშობდნენ. მართალია, სტადიონის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა კეთილი ნება და წამყვან მძლეოსნებს ავარჯიშებდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

ამიერიდან კი დინამოს მძლეოსნური სექცია კვირაში 6 დღის განმავლობაში, უსასყიდლოდ დაეთმობა ნებისმიერ მძლეოსანს. საქმე ის არის, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა იჯარის თანხის გადახდა საკუთარ თავზე აიღო. მოკლედ, მანეჟის სეზონამდე მძლეოსნებს ვარჯიშის პრობლემები აღარ შეექმნებათ.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **თამაზ მდინარაძე**, რაღა თქმა უნდა, გახარებული იყო: *"სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობის მიმართ ულრმესი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ამიერიდან, კვირაში 6 დღის განმავლობაში, ეს შესანიშნავი სექცია უსასყიდლოდ მოგვემსახურება, რაც ჩვენი სახეობის განვითარებას ძალიან სჭირდებოდა.*

*მოვუწოდებ მშობლებს, რომ ბავშვები მოიყვანონ ეროვნული სტადიონის მძლეოსნობის სექციაზე, სადაც ჩვენ მათ უფასოდ ვავარჯიშებთ".*

კობა ხატისაშვილი

ცურვა

# ელოდეთ სენსაციას



ჰენრი კუპრაშვილი და ჯიმი ბროძელი

**წლეულს**, აგვისტოში, შეიძლება ისტორიული მოვლენის მოწმე გავხდეთ - მიმდინარეობს ინტენსიური მზადება იმისათვის, რომ 11 წლის თბილისელმა ყმაწვილმა **ჯიმი ბროძელმა**, პირველმა მსოფლიოში ამ ასაკში, ხელფეხშეკრულმა გადაცუროს დარდანელის სრუტე და მოხვდეს გინესის რეკორდების წიგნში.

ჯიმი ბროძელი თბილისის საერო სკოლა "მარჯის" მეექვსე კლასის მოსწავლეა. სამხედრო-საწვრთნელო კოლხური სტილით - "ხელფეხშეკრული" ცურვა მან **ჰენრი კუპრაშვილის** ხელმძღვანელობით აითვისა. "ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ სწორედ კუპრაშვილი გახლავთ ცურვის ზემოხსენებული სტილის გამომკვლევი და ამაღორძინებელი საქართველოში.

საგინესოდ ყოველდღიური მზადების ვარჯიშები "ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარეობს ჰ. კუპრაშვილის ხელმძღვანელობით და **ვ. გოიაშვილის** კონსულტაციით.

სარეკორდო გადაცურვა 30 აგვისტოსთვის იგეგმება.

*საკუთარი ინფორმაცია*

თავისუფალი ჭიდაობა

# ლიცენზია გოჩაშვილისგან



ბესარიონ გოჩაშვილი

**გუშინ** პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია **ბესარიონ გოჩაშვილმაც** (55) მოიპოვა - ვარშავაში, ბოლო სალიცენზიო ტურნირზე. პრაქტიკულად, იგი ოლიმპიური მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტა, რადგან აქაც რომ წაეგო, პეკინის თამაშებზე მოხვედრის სხვა შანსი არ ექნებოდა. გორელმა ფალავანმა ოლიმპიადაზე მოხვედრის სურვილი მეორე ცდაზე აისრულა - ათენის ოლიმპიადაზე ეს იყო ერთადერთი წონა, სადაც მონაწილე არ გვყავდა. მაშინ გოჩაშვილს ძალიან ცოტა დააკლდა ლიცენზიამდე და ორიოდ კვირის წინათ, შვეიცარიაში, წინა სალიცენზიო ტურნირზე წაგების შემდეგ ახლაც იმავე საფრთხის წინაშე იდგა. მით უფრო, დიდად არც წილისყრამ გაუმართლა, მაგრამ გოჩაშვილმა რთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი.

პირველ წრეში მისი მეტოქე ახალგაზრდა და არც ისე ძლიერი პოლონელი **მარსელ პავლაკი** იყო. გოჩაშვილს მისი ძლევა არ გასჭირვებია და ძირითად დროში, ორ პერიოდში აჯობა - 1:1; 1:0. მაინცდამაინც ძლიერი და ცნობილი არც მეორე მეტოქე, ფრანგი **ლოკმან კაპლანბაბა** გახლდათ, თუ მხედველობაში მის თურქულ წარმომავლობას არ მივიღებთ - რაც უნდა იყოს, თურქეთი კლასიკური საჭიდაო ქვეყანაა და იქაური ფალავანი მუდამ ანგარიშგასაწევია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენები ლიცენზიის ერთ-ერთ რეალურ მოცილედ მას ნამდვილად მიიჩნევდნენ. თანაც, ფრანგმა მანამ ბერძენი ევროპისა და ოლიმპიური პრიზიორი **ამირან კარდანოვი** და ზუსტად ის გერმანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მარსელ ევალდი** დაამარცხა, ვინც გოჩაშვილს შვეიცარიაში მოუგო. პრაქტიკულად, მან გოჩაშვილს ძალზე სერიოზული კონკურენტები ჩამოაშორა, მაგრამ ხელწამოსაკრავი მეტოქე არც თავად იყო. საბედნიეროდ, გოჩაშვილმა მოსაგებად მაქსიმუმი გააკეთა და მისი შეჩერება ვერც კაპლანბაბამ შეძლო. ჩვენებურმა ისევ ძირითად დროში იმარჯვა - 3:1; 3:2 და ნახევარფინალში გავიდა. ეს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი იყო - იქ გამარჯვებით ავტომატურად ინაღდებდა ლიცენზიას. საქმე ისაა, რომ ვარშავაში სამი საგზური გაიცემოდა, ფინალისტები მას უეჭველად მიიღებდნენ იმის მიუხედავად, როგორ იჭიდავებდნენ ერთმანეთში. პრაქტიკულად, ეს გოჩაშვილის რუბიკონი იყო და მეტოქეც სხვებზე ძლიერი ერგო - ცოტა შებერებული, მაგრამ ძალზე გამოცდილი რუმინელი **პეტრუ ტორარსა**. ჩვენდა სასიხარულოდ, გოჩაშვილმა ეს შეხვედრაც მაღალ დონეზე წარმართა და რუმინელსაც ძირითად დროში აჯობა - 6:1; 4:0. ფინალურ შეხვედრას ჩრდილოკორეელ **კიონგ იანგთან** პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გოჩაშვილი დამარცხდა.

დღეს ლიცენზიისთვის იჭიდავებენ **მალხაზ ქურდიანი** (60) და **ალექსი მოდებაძე** (120).

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# ნანას და მაიას საგზურები

**პლოვდივში** გუშინ ბოლო ტური გაიმართა და ევროპის ორივე ჩემპიონი გამოვლინდა. ვაჟებში ჰოლანდიელმა **სერგი ტივიაკოვმა** გაიმარჯვა, ქალებში – უკრაინელმა **კატერინა ლაჰნომ**. ორივე ჩემპიონმა 8.5 ქულა დააგროვა.

დღეს გაიმართება ტაიბრეიკები საპრიზო ადგილებისთვის, ქართველებს კი მოკრძალებული მონაგარი გვაქვს – **ნანა ძაგნიძემ** და **მაია ლომინეიშვილმა** მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს. ვაჟებში საუკეთესო შედეგი დავით მალალაშვილმა აჩვენა – 7 ქულა და 51-ადგილი.

ბოლო ტური: ვაჟები. **დავით მალალაშვილი (7, 51)** – ალექსეი ალექსანდროვი (ბლრ, 2582) 1:0, მიხაილ გურევიჩი (თურმ 2611) - **დავით ჯოჯუა (6.5, 56)** 1:0, **მიხეილ მჭედლიშვილი (6.5 ქულა, 76 ადგილი)** – დენის ხისმატულინი (რუს, 2584) 0:1, ვალერი პოპოვი (რუს, 2525) - **ლევან ფანცულაია (6, 94)** – 1:0 (ფანცულაიამ არ ითამაშა), **თორნიკე სანიკიძე (6, 104)** – სერგეი გრიგორიანცი (რუს, 2573) 0.5:0.5, იური კუზუბოვი (უკრ, 2605) - **კონსტანტინე შანავა (5.5, 160)**, **გიორგი მარგველაშვილი (5.5, 184)** – ფლორიან ჟენი (შვეი, 2550) 0.5:0.5, 0.5:0.5, ლუკა ლინეცი (სლნ, 2584) - **მალხაზ სულაშვილი (5, 208)** 1:0, კაო სანგი (უნგ, 2535) - **ბაჩანა მორჩიაშვილი (5, 227)** 0.5:0.5, დეიან დინევი (მკდ, 2298)- **დავით ლომსაძე (4.5, 253)** 0:1, **ივერი ჭიღლაძე (4, 276)** – ვასილი პაპინი (რუს, 2483) 0:1

ქალები. მეათე ტური: მარია მუზიჩუკი (უკრ, 2387) - **ნანა ძაგნიძე (7.5, 12)** 0:1, **მაია ლომინეიშვილი (7.5, 14)** – ელენა ტაიროვა (რუს, 2412) 1:0, ივეტა რაილიჩი (პოლ, 2412) - **სოფიკო ხუხაშვილი (7, 26)** 0.5:0.5, ილაჰა კადიმოვა (აზე, 2308) - **სალომე მელია (6.5, 30)** 0.5:0.5, ოლგა ზიმინა (რუს, 2363) - **ლელა ჯავახიშვილი (6.5, 32)** 0.5:0.5, ქეთევან კახიანი (გერ, 2388) - **სოფიო ნიკოლაძე (6.5, 41)** 0.5:0.5, ტატიანა მოლჩანოვა (რუს, 2359) 0.5:0.5, **სოფიო გვეტაძე (6, 55)** - ვერონიკა შნაიდერი (უნგ, 2261) 0.5:0.5, **ნინო ბაციაშვილი (5.5, 73)** – ნატაშა ბოიკოვიჩი (სერ, 2434) 0:1, **მარიამ დანელია (5, 103)** – ბორკა ფრანცისკოვიჩი (ხორ, 2240) 0.5:0.5, ვიქტორია ნი (ლატ, 2120) - **ნაზი პაიკიძე (5, 117)** 0:1, სვეტლანა ჩერედნიჩენკო (უკრ, 2270) - **ანა გავაშელი (4.5, 120)** 0.5:0.5, ელენი ნიკოლაიდუ (საბ, 1817) - **მერი ჟორჟოლიანი (4, 138)** 0.5:0.5

ბატუტზე ხტომა

# გოლოვინა მეთორმეტეა

**გუშინ** დანიის ქალაქ ოდენსეში ევროპის ჩემპიონატზე ქართველი **ლუბოვ გოლოვინა** გამოვიდა. საკვალიფიკაციო ხტომებში მომავალი ოლიმპიელი პირველი ავიდა იარაღზე. მან საბოლოოდ 64,80 ქულა მიიღო მსაჯებისგან, რაც 34 მონაწილეს შორის მე-12 შედეგი აღმოჩნდა, ფინალში კი 8 უძლიერესი გადიოდა. დღეს ოდენსეში კიდევ ერთი ჩვენებური **თენგიზ კოშკაძე** იასპარეზებს ვაჟთა საკვალიფიკაციო ხტომებში და ამით ქართველთათვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდება.

ნ. ნ.

გასწორება

# ხელბურთში თასი თბილისისაა

"ლელოს" გუშინდელ ნომერში, მორიგის უყურადღებობით, გაიპარა დასანანი შეცდომა. მე-13 გვერდზე ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ხელბურთში ახალგაზრდებს შორის საქართველოს თასის გათამაშებას, სათაურში ნაცვლად სამტრედიისა, უნდა იკითხებოდეს თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. სკანდალი

# დენისი უარყოფს

"მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს, მან ხელი შეუწყო საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ **მაქს მოსლის** სექსუალურ სკანდალთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას.

*"ბოლო ხანებში ამის თაობაზე ხშირად მეკითხებიან და ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიძლევი – საერთო არაფერი მაქვს ამ ინფორმაციის მოპოვებასა და შემდგომ, პრესაში მის გავრცელებასთან. ეს საქმე არანაირად არ უკავშირდება "მაკლარენის" ჯგუფსა და გუნდ "ვოდაფონ მაკლარენ მერსედესს". არცერთ ამ კომპანიათაგანს და არც პირადად მე, არ დამიქირავებია აგენტები, რომლებმაც ამ სკანდალს დაუდეს სათავე"*, - ირწმუნება დენისი.

ბრიტანულმა ტაბლოიდურმა საკვირაო გაზეთმა "ნიუს ოფ დი უორლდმა" ერთი თვის წინათ გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც მოსლის სადო-მაზოხისტური ორგიები იყო ასახული. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორგიები ნაცისტური ემბლემებით გაფორმებულ გარემოში მიმდინარეობდა.

მოსლიმ გაზეთს პირად ცხოვრებაში ჩარევისა და აუნაზღაურებელი მორალური ზარალის მიყენების ბრალდებით უჩივლა. გარდა ამისა, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის შესანარჩუნებლად, მას დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ის ირწმუნება, რომ ყოველივე მის წინააღმდეგ, წინასწარი განზრახვით მოწყობილი პროვოკაციაა, რისი მიზანიც მისი დისკრედიტაცია იყო.

მოსლიმ ფედერაციის წევრებს წერილები დაუგზავნა, რომლებშიც შემდეგია ნათქვამი: *"ბრიტანეთის პოლიციისა და საიდუმლო სამსახურებისგან მივიღე უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ ფოტოების გამოქვეყნებამდე ორი კვირით ადრე, ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას კერძო დეტექტივების ჯგუფი აგროვებდა. ჯერჯერობით, უცნობია, თუ ვინ იყო შემკვეთი"*. მოსლი დასძენს, რომ მსგავსი ინფორმაცია მან საფრანგეთიდანაც მიიღო.

სკანდალური საქმის გამოსაძიებლად, მოსლიმ კერძო საგამოძიებო კომპანიას მიმართა, რომელსაც ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის ყოფილი შეფი ხელმძღვანელობს. მოსლის აინტერესებს, თუ რა გზით მოიპოვა გაზეთმა ის ინფორმაცია, რომელიც სკანდალის მიზეზი გახდა.

დენისის განცხადება კი მოჰყვა პრაღის რადიოთი ჩეხეთის საავტომობილო ასოციაციის გენერალური მდივნის, **რადოვან ნოვაკის** გამოსვლას. ნოვაკი მოსლის ძველი მეგობარია და მას ყოველთვის გვერდში უდგას. ინტერვიუში მან განაცხადა, რომ შესაძლოა, არსებობდეს კავშირი მოსლისთან დაკავშირებულ სკანდალსა და შარშანდელ "სპაიგეიტს" შორის, რომლის შედეგადაც, დენისის გუნდი "მაკლარენი" 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა.

დენისი, ვისაც მოსლისთან ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, აცხადებს, რომ ნოვაკისგან ოფიციალურ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. *"მისტერ ნოვაკისგან, მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის კორექტირებას, ან უარყოფას მოვითხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადეკვატური ზომების მიღება მოგვიწევს"*, - იმუქრება დენისი.

მოსლი, ვინც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე 1993 წლიდან მუშაობს, თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ერთ თვეში, როცა ფედერაცია პრეზიდენტის არჩევნებს ჩაატარებს, ამ პოსტზე სხვას აირჩევენ.

ცნობისთვის, მოსლის მამამ, **ოსვალდ მოსლიმ**, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ბრიტანეთში ორი ფაშისტური კავშირი ჩამოაყალიბა. თუმცა, ფაშისტურ იდეოლოგიასთან კავშირს მაქს მოსლი ყოველთვის უარყოფდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



რონ დენისი რევანშს უარყოფს

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**დასავლეთი**

**კოლორადო (6)-დეტროიტი (1) 2:8**

1:3, 0:4, 1:1

გოლები: 0:1 სამუელსონი-1 (ლილია-1), 1:1 არნასონი-2 (ბრუნეტი-3, საკიკი-7), 1:2 ჰოლმსტრიომი-2 (ზეტერბერგი-5, დაციუკი-6), 1:3 ფრანცენი-9 (ფილპულა-2, ბ. სტიუარტი-1), 1:4 ზეტერბერგი-6 (ლიდსტრიომი-4, დაციუკი-7), 1:5 ზეტერბერგი-7 (დაციუკი-8), 1:6 ფრანცენი-10 (ზეტერბერგი-6), 1:7 ფრანცენი-11 (ლიდსტრიომი-5, ჰუდლერი-6), 1:8 სამუელსონი-2 (ჰუდლერი-7, ფილპულა-3), 2:8 ლაილსი-2 (სალეი-4, საკიკი-8).

**სერია: 0:4**

**აღმოსავლეთი**

**რეინჯერსი (5)-პიტსბურგი (2) 3:0**

0:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 იაგრი-4 (დუბინსკი-4, ტიუტინი-3), 2:0 დუბინსკი-4 (სტრაკა-7, იაგრი-10), 3:0 იაგრი-5 (შენეჰანი-4, დრური-2).

**სერია: 1:3**

კალათბურთი. ინტერვიუ პეჯა სტოიაკოვიჩთან

# კრის პოლი სასწაულებს მოახდენს



**დასავლეთში,** პლეი ოფის პირველივე წრეში ბრძოლას ორი ფავორიტი გამოეთიშა. შაკილ ონილით გაძლიერებული "ფინიქსი" ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მეოთხედ შერცხვა "სან ანტონიოსთან", ხოლო "დალასი", რომელმაც ჯეისონ კიდი დაიმატა, ვერაფერი დაუპირისპირა ახალგაზრდა და სწრაფ "ნიუ ორლეანს" და "ფინიქსივით" 1:4 დათმო სერია. მეორე წრეში "ჰორნეტსი" და "სპურსი" ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. პირველ შეხვედრას 6 მაისს ნიუ ორლეანი უმასპინძლებს.

რეგულარულისას "სპურსმა" ვერაფერი დაუპირისპირა "ჰორნეტსის" ახალგაზრდა სუპერვარსკვლავ კრის პოლს, თუმცა "ჰორნეტს" პოლის გარეშეც ჰყავს საკმაოდ სახიფათო მოთამაშეები, რომლებსაც სერიის მსვლელობისას გამოცდილი მეტოქისთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლიათ. ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე "ჰორნეტსის" სერბი ფორვარდი პეჯა სტოიაკოვიჩია.

**- რამდენად მოსალოდნელი იყო "დალასთან" სერიის 5 შეხვედრაში დასრულება?**

- გვეგონა, რომ მეტ პრობლემას წავაწყდებოდით, მაგრამ ჩვენ მწვრთნელების ყველა დავალება შევასრულეთ, კარგად ვითამაშეთ დაცვაში და ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა. რა თქმა უნდა, "დალასი" ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო გუნდია, რომლის წინააღმდეგაც მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ითამაშო, მაგრამ "ჰორნეტსმა" დაამტკიცა, რომ საკმაოდ დაბალანსებული გუნდია.

**- დირკ ნოვიცკიმ აღნიშნა, "ჰორნეტსი" ჩემპიონობის ფავორიტიაო...**

- ნოვიცკიმ ასეთი რამ მეც მითხრა და მსიამოვნებს, როდესაც ასეთი მოთამაშისგან უმაღლეს შეფასებას ვიღებთ. დირკი ნამდვილი ლიდერია, რომელმაც მთელი სერია ძალიან მაღალ დონეზე კი ჩაატარა, მაგრამ მეტი რომ ვერ გააკეთა, ეს დევიდ უესტისა და ტაისონ ჩენდლერის დამსახურებაა.

**- მთელმა "ჰორნეტსმა" ბოლომდე იომა, თუმცა, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედნი ბაირონ სკოტი და კრის პოლი იყვნენ.**

- ნამდვილად ასე იყო. ბაირონს ვულოცავ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებას. მან ეს აღიარება ნამდვილად დაიმსახურა და მჯერა, რომ სკოტის თავკაცობით "ჰორნეტსი" კიდევ ბევრი სეზონის განმავლობაში იქნება ლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი. რაც შეეხება პოლს, ჩემი აზრით, იგი მსოფლიოში უძლიერესი გამთამაშებელი და ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. კრისმა ერთი წლის განმავლობაში ისეთი პროგრესი განიცადა, რომ შემდეგ წლებში ნამდვილ სასწაულებს მოახდენს. პატივს ვცემ სტივ ნეშს, ტონი პარკერს, დერონ უილიამსს, ჯეისონ კიდს, მაგრამ დღეს კრისი უკვე სჯობნის მათ. გამიკვირდება, რეგულარულის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ვინმე სხვამ რომ მოიგოს, თუმცა კობი ბრაიანტსა და ლებრონ ჯეიმსსაც სოლიდური სეზონი ჰქონდათ.

**- ტონი პარკერისა და პოლის დუელი სულ მალე დაიწყება.**

- ეს იქნება მიმდინარე პლეი ოფის ერთ-ერთი უმთავრესი დაპირისპირება. კრისზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ ტონი მას გაცილებით მეტ პრობლემას შეუქმნის, ვიდრე ეს კიდმა გააკეთა. კიდი პარკერზე გამოცდილია, მაგრამ ასაკი მოემატა და თან ნელია, ტონი კი პოლის სტილის მოთამაშეა, ანუ ისეთივე უშიშარი და დაუნდობელი. "სპურსთან" სერიაში ძალიან ბევრი რამ სწორედ ამ დაპირისპირებაზე იქნება დამოკიდებული.

**- რამდენად მოსალოდნელი იყო "ფინიქსისა" და "სპურსის" სერიის ასევე 5 მატჩში დასრულება?**

- სიმართლე გითხრათ, მოსალოდნელი იყო. მართალია, "სან ანტონიომ" პირველი მატჩი სასწაულის წყალობით მოიგო, მაგრამ ობიექტურად, "ფინიქსმა" ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს. "სპურსი" მოქმედი ჩემპიონია და ყველაზე სახიფათო სწორედ ახლაა, როდესაც სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შედის.

**- შაკის ტრანსფერის სრულ ფიასკოზე რას იტყვით?**

- ეს ჩემი გასარჩევი არ არის. ონილის ტრანსფერი ფიასკო არანაირად არ არის, სხვას კი ვერაფერს გეტყვით.

**- "სპურსთან" გაცილებით რთული ამოცანის გადაჭრა მოგიწევთ, რადგან თუ "დალასს" ერთი გამორჩეული ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშე ჰყავდა, "სან ანტონიოში" ასეთი სამია - პარკერი, დანკანი, ჯინობილი...**

- მართლაც, სამივე მათგანს სერიის მსვლელობისას სასწაულების მოხდენა შეუძლია, თუმცა ჩვენ ეს ისედაც ვიცით.

**- ვინ დაიჭერს მანუს?**

- ან მე, ან მო პიტერსონი. ვნახოთ, ამას სკოტი გადაწყვეტს. "სპურსს" რეგულარულში რამდენჯერაც ვეთამაშეთ, ჯინობილის წინააღმდეგ ყოველთვის ნორმალურად ვიცავდით თავს. მანუ ძალიან ძლიერია, მაგრამ მისი განეიტრალება შესაძლებელია.

**ზურაბ თალაკვაძე**

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფია-დეტროიტი 77:100**

12:30, 21:21, 18:28, 26:21

ფ: იგუოდალა (16+4 ჩაჭრა), ლ. უილიამსი (11), ა. მილერი (11).

დ: ჰემილტონი (24), ბილაპსი (20+7 პასი), პრინსი (12+7 მოხსნა), ა. ჯონსონი (10).

**სერია 2:4**

# როდმანს ქალი შემოელახა



დენის როდმანი

ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი, NBA-ს ხუთგზის ჩემპიონი **დენის როდმანი** მორიგ შარში გაეხვა. იგი ლოს ანჯელესის ერთ-ერთ სასტუმროში მანდილოსნის ცემისთვის დააკავეს.

დენისისგან მიტყეპილ ქალს ხელზე რამდენიმე იარა აღმოუჩინეს, როდმანს კი წინასწარი დაკავების საკნიდან გამოსვლისთვის 50 ათასი დოლარის გადახდა მოუწია.

კალათბურთელის წინააღმდეგ სასამართლოში აღიძრება საქმე, მისმა აგენტმა, **დარენ პრინსმა** კი შემდეგი განცხადება გააკეთა - ჩემმა კლიენტმა მეუღლესთან განშორება ვერ გადაიტანა და ბოლო დროს ამის გამო თავს ცუდად გრძნობსო.

**ზურაბ თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ნადალი ბარსელონას ფინალს უახლოვდება



ამ სეზონში პირველი ტიტული **რაფაელ ნადალმა** რამდენიმე დღის წინ, მონტე კარლოს მასტერსის ფინალში, **როჯერ ფედერერის** დამარცხებით მოიპოვა და ახლა რეალური შანსი აქვს, ზედიზედ მეორე ტიტულისთვისაც იბრძოლოს.

ბარსელონას ღია პირველობაზე, რომელიც ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული, მეოთხედფინალში მან ორ სეტში მოუგო არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელას** და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე იქნება ესპანელ **ნიკოლას ალმაგროსა** და გერმანელ დენის გრემელმაირს შორის გამარჯვებული.

მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის ჩელასთან შეხვედრა არასახარბიელოდ დაიწყო. არგენტინელი აგრესიული თამაშით ახერხებდა მეტოქის შევიწროებას და შედეგად, მეექვსე გეიმში პირველმა შეძლო ბრეიკის მოპოვება და 4:2 დაწინაურდა. მომდევნო გეიმში, ჩელას ხუთჯერ ჰქონდა იმის შანსი, რომ ანგარიში 5:2 გაეხადა, მაგრამ ესპანელმა ხუთივე შემთხვევაში ივარგა და საპასუხო ბრეიკს მიაღწია, რის შემდეგაც, ზედიზედ სამი გეიმიც მოიგო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი კი ნადალმა ბრეიკით დაიწყო და მოპოვებული უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა. ცნობისათვის, მათი ბოლო დაპირისპირება ესპანელმა ისე მოიგო, რომ მეტოქეს მხოლოდ ოთხი გეიმის მოგების საშუალება მისცა.

*"მეშვიდე გეიმში რომ არ მემარჯვა, პირველი სეტის მოგებას ვერ შევძლებდი. საპასუხო ბრეიკის აღებამ კი საკუთარი ძალების რწმენა გამიძლიერა და ეს ჩემს თამაშზეც აისახა. მიხარია, რომ ზედიზედ მეოთხედ შევძელი ნახევარფინალში გასვლა და ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც შევძლებ ამ ტურნირის მოგებას"*, - ნამატჩევს განცხადა ნადალმა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ესპანელი **დავიდ ფერერი** და შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** შეხვდებიან. ფერერმა დაძაბულ პაექრობაში აჯობა თავის თანამემამულე **ტომი რობრედოს**, ვავრინკამ კი ტურნირი კიდევ ერთ ესპანელს, **ალბერტ მონტანესს** დაატოვებინა.

ფერერი, ვისაც ამ სეზონში თიხნარზე უკვე ერთი ტურნირი (ვალენსიაში) აქვს მოგებული, შეხვედრა კარგად დაიწყო და 3:0 დაწინაურდა. მაგრამ რობრედომ, ვინც ბარსელონას ღიას ჩემპიონი 2004 წელს იყო, მალე ანგარიში გაათანაბრა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც უფრო სტაბილური მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი (ფერერი) გამოდგა. მეორე სეტის დასაწყისში რობრედო დაწინაურდა, მაგრამ ფერერმა არც ეს ბრეიკი შეარჩინა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ვავრინკას გასამარჯვებლად სამი სეტი დასჭირდა. მეორე სეტში მას მატჩ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ესპანელმა როგორღაც დაიძვრინა თავი და საქმე მესამე სეტამდე მიიყვანა. აქაც თავიდან შვეიცარიელი 5:2-ს იგებდა, მაგრამ მონტანესმა მეცხრე გეიმში საპასუხო ბრეიკი აიღო და თითქოს, გამარჯვებულის გამოსავლენად კიდევ ერთი ტაიბრეიკი უნდა გამხდარიყო საჭირო. მაგრამ ვავრინკამ მეათე გეიმში მეორედ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება და შეხვედრასაც ასე დაუსვა წერტილი.

*"თავიდანვე ვიცოდი, რომ აგრესიულად უნდა მეთამაშა, თუ შეხვედრის მოგება მსურდა. მონტანესი თიხაზე მაგრად თამაშობს და სხვანაირად მისი დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა. მეორე სეტში, როცა თამაშის მოგება შემეძლო, ყურადღება გამეფანტა და დავისაჯე კიდეც. თუმცა, მაშინაც კი, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ამ შეხვედრის მოგება შემეძლო"*, - განაცხადა ვავრინკამ.

და ისევ ნადალის შესახებ. 21 წლის ესპანელს ბარსელონას ტურნირზე 2006 წლის შემდეგ სეტიც კი არ წაუგია, თავად კი ზედიზედ 23 სეტი და 18 შეხვედრა მოიგო. 2005 წლიდან მოყოლებული, ცაცია ნადალს თიხნარზე ნათამაშები 118 შეხვედრიდან სულ სამი აქვს წაგებული, ბოლო 102 შეხვედრიდან კი 101 მოიგო. ის ერთადერთი მარცხი შარშან, ჰამბურგის ტურნირის ფინალში, ფედერერისგან იწვნია, რითაც თიხნარზე 81-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდა.

ნადალს ატპ-ს რეიტინგში მეორე ადგილი 2005 წლის ივლისიდან უკავია, ამ სეზონში კი 29 თამაში აქვს მოგებული და ჩემპიონთა რბოლის ცხრილს სათავეში უდგას.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ATP

### BMW Open

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 370 000 ევრო**

#### 1/8 ფინალი

**ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 2)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 1:6, 7:5, 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 4) 1:6, 6:0, 6:4; **იუნეს ელ აინაუი (მაკ)**-სტივ დარცისი (ბელ, 7) 6:4, 3:6, 6:3; **მარატ საფინი (რუს)**-მიხაელ ბერერი (გერ) 7:6 (4), 6:7 (5), 6:3.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

მატიო (1)-ჩილიჩი (8); ლი-ბოლელი; ელ აინაუი-დელ პოტრო; გონსალესი (2)-საფინი.

### Open Sabadell Atlantico

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 888 000 ევრო**

#### 1/8 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 16) 6:4, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 2)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 4:6, 6:4, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 3) 6:3, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 6)**-გილერმო კანიასი (არგ, 9) 6:1, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-მარიო ანჩიჩი (ხორ) 7:6 (5), 6:2; **დენის გრემელმაირი (გერ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 15) 6:4, 6:0; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-მიხაილ კუკუშკინი (რუს) 6:3, 3:6, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 2:6, 6:4, 6:3.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

**ნადალი (1)**-ჩელა 6:4, 6:2; გრემელმაირი-ალმაგრო (10) 6:2, 3:6, 7:6; ვავრინკა(14)-მონტანიესი 6:3, 6:7(6), 6:4; ფერერი (2)-რობრედო (6) 7:6(4), 6:4.

## WTA

### ECM Prague Open

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 145 000 ევრო**

#### 1/8 ფინალი

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) რიბარიკოვას უარი; **შაარ პეერი (ისრ, 2)**-ტატიანა პირონკოვა (ბულ) 7:5, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-ტატიანა პუტჩეკი (ბლრ) 6:2, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 4)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:0, 6:2; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 7)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:4, 1:6, 6:3; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 4:6, 6:3.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ზვონარევა (1)-ვინჩი; სრებოტნიკი (4)-ბენეშოვა; აზარენკა (3)-პლიშკოვა; პეერი (2)-ზაკოპალოვა (7).

### Grand Prix De SAR

ფესი (მაროკო). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 145 000 ევრო**

#### 1/8 ფინალი

**ხისელა დულკო (არგ, 2)**-ემილი ლუა (საფ) 6:3, 6:2; **არავან რეზაი (საფ, 4)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 7:6 (2), 6:0; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 6)**-არინა როდიონოვა (რუს) 6:7 (3), 6:3, 6:4; **სორანა კრისტეა (რუმ, 7)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:4, 6:2.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

მედინა გარიგესი (1)-სავჩუკი; არნი-ჩეტკოვსკა; რეზაი (4)-კლეიბანოვა (6); დულკო (2)-კრისტეა (7).

# TV სპორტი

## 3 მაისი. შაბათი

### რუსთავი 2

13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

### მზე

17:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი.
14:05 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ბირმინგემი (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-სანდერლენდი.
21:55 ბელგიის ჩემპიონატი. ანდერლეხტი-ბრიუგე (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-დეპორტივო (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
09:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
11:24 სპორტის სამყარო.
11:52 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-ბაიერნი.
13:51 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:19 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-სანდერლენდი.
22:12 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეკრეატივო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-დეპორტივო (LIVE).
02:00 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მონრეალი-ფილადელფია (LIVE).
05:38 სპორტის სამყარო.
06:06 ფეხბურთი. Barca TV.
06:13 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
06:41 კალათბურთი.

### EUROSPORT

09:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:45 ცხენოსნობა. ჩემპიონთა ტური. ჰამბურგი. გერმანია.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ახალი ამბები.
13:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფიორენტინა-რეინჯერსი.
14:15 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-ბაიერნი.
16:00 კიბერსპორტი. აშშ.
17:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. კვალიფიკაცია.
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-ბაიერნი.
21:30 არმრესტლინგი.
22:00 კიბერსპორტი. აშშ.
01:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. კვალიფიკაცია.
02:00 ახალი ამბები.

## 4 მაისი. კვირა

### მზე

21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.

### რუსთავი 2

12:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ბელგიის ჩემპიონატი. ანდერლეხტი-ბრიუგე.
14:15 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-დეპორტივო.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 სპორტდოსიე.
07:27 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
09:16 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
09:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ბრიტანეთი.
11:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. BMW Open. 1/2 ფინალი. მიუნხენი. გერმანია.
13:47 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:14 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
16:01 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
18:58 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:29 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
21:55 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
02:42 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
04:31 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
05:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. დალასი-სან ხოსე (LIVE).

### EUROSPORT

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
09:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
10:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ჩინეთი.
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ჩინეთი.
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
15:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი (LIVE).
18:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი (LIVE).
21:45 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 პროფესიული კრივი. ბ. მაკგირტი (აშშ)-კ. დე ლეონი (პუერტო რიკო). აშშ.
03:15 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფიორენტინა-რეინჯერსი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-ბაიერნი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
16:00 კიბერსპორტი. აშშ.
17:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
19:00 ბილიარდი.
21:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნული ლიგა. 1/4 ფინალი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
02:30 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-კემბრიჯი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-ნიურნბერგი | 0:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1:1 |
| ფიურტი-პადერბორნი | 1:1 |
| მაინცი-კაიზერი | 2:1 |
| მიუნხენი-ფრაიბურგი | 0:3 |
| სტ. პაული-აუე | 4:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ფორტუნა-დორტმუნდი II | 4:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| კარლსრუე II-ზიგენი | 1:2 |
| შტუტგარტი II-ფრანქფურტი | 1:1 |
| ოგერშაიმი-რეგენსბურგი | 1:2 |
| კასელი-ბაიერნი II | 2:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ტრუა | 1:0 |
| ამიენი-ნანტი | 2:1 |
| ანჟერსი-ბასტია | 1:1 |
| შატორუ-ბრესტი | 1:2 |
| გინგამი-გრენობლი | 0:1 |
| ნიორი-დიჟონი | 3:0 |
| რეიმსი-კლერმონი | 0:0 |
| სედანი-ლიბურნი | 1:0 |
| მონპელიე-ჰავრი | 0:0 |
| **ბელგია** | |
| ვარეგემი-გენკი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიიკინგიტი-ატლანტისი | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| შვადორფი-ბად ოსი | 2:0 |
| აუსტრია (ლ)-აუსტრია II | 1:2 |
| კაპფენბერგი-ზალცბურგი II | 4:0 |
| კერნტენი-ლეობენი | 4:0 |
| შვანენშტადტი-ლუსტენაუ | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 1:3 |
| ბაზელი-ციურიხი | 4:0 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კრინსი-დელემონი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-კოვ რამბლერსი | 1:0 |
| დერი-გალვეი | 0:0 |
| დროგედა-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| უნივერსიტი-ბოჰემიანსი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| პოლიტეხნიკა-უნივერსიტ (კლ) | 3:0 |
| რაპიდი-არადი | 2:3 |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-ხარკოვი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-ზაგლებე | 0:1 |
| ლეხი-იაგელონია | 6:1 |
| **უნგრეთი** | |
| უიპეშტი-ვიდეოტონი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| კრილია-ამკარი | 2:0 |
| რუბინი-სპარტაკი | 0:3 |
| შინიკი-დინამო | 2:0 |
| ნალჩიკი-მოსკოვი | 0:3 |

## კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| მონტეპასკი-მაკაბი | 85:92 |
| ცსკა-ტაუგრესი | 83:79 |

## ჰოკეი

| | |
|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| ჩეხეთი-დანია | 5:2 |

## ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მიუნხენი** | |
| გონსალესი-საფინი | 6:3, 7:5 |
| დელ პოტრო-ელ აინაუი | 4:6, 4:6 |
| ბოლელი-ლი | 6:4, 7:6 |
| მატიო-ჩილიჩი | 6:2, 4:6, 6:3 |
| **ATP. ბარსელონა** | |
| ვავრინკა-მონტანიესი | 6:3, 6:7, 6:4 |
| ფერერი-რობრედო | 7:6, 6:4 |
| ნადალი-ჩელა | 6:4, 6:2 |
| ალმაგრო-გრემელმაირი | 2:6, 6:3, 6:7 |
| **WTA. ფესი** | |
| დულკო-კრისტეა | 6:0, 6:3 |
| რეზაი-კლეიბანოვა | 5:7, 7:5, 7:5 |
| მედინა გარიგესი-სავჩუკი | 6:1, 6:1 |
| ჩეტკოვსკა-არნი | 2:6, 2:6 |
| **WTA. პრაღა** | |
| ზვონარევა-ვინჩი | 6:1, 6:2 |
| აზარენკა-პლიშკოვა | 6:2, 6:1 |
| სრებოტნიკი-ბენეშოვა | 7:5, 4:6, 6:2 |
| პეერი-ზაკოპალოვა | 6:7, 2:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეფო ჰოკეი





**გავრცელებული აზრია, რომ დიდ ბრიტანეთში არისტოკრატების საყვარელ სახეობებად ჩოგბურთი და გოლფი ითვლება. მაგრამ ეს ასე არ არის. შეიძლება ფორმალურად, მაგრამ მაინც, ინგლისელი მონარქები უპირატესობას ანიჭებენ ცხენებითა და ყვანჯებით უცნაურ და სახიფათო თამაშს, რომელსაც პოლო ჰქვია.**

ჩვენში სპორტის ამ სახეობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. დიასახლისებმა მხოლოდ ის იციან, პოლოს "უბრალოდ მარიას" შეყვარებული მისდევდა. ასევე გვახსენდება ცნობილი ამერიკული ფილმი - "ლამაზმანი". **ჯულია რობერტსის** გმირი პირველად მაღალ საზოგადოებაში სწორედ პოლოს მატჩის დროს გამოჩნდა.

დღეს, სპორტის ეს სახეობა შესაძლოა, ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ დაახლოებით 70 წლის წინათ, ის ოლიმპიურ პროგრამაში შედიოდა და მატჩებზე 40-ათასიან აუდიტორიას იკრებდა.

პოლო ინგლისის კოლონიალური არმიის ოფიცრებმა XIX საუკუნეში ინდოელებისგან გადაიღეს. ასე რომ, ვერც ეს სახეობა გაექცა ინგლისელებისთვის ასე საყვარელ ტრადიციულ რიტუალებსა თუ წეს-ჩვეულებებს. მათ შორის მთავარი ტრადიცია ასეთია - მატჩებს შორის შესვენებების დროს, უკლებლივ ყველა მაყურებელი მინდორზე გადის და ცხენების მიერ გადათხრილი ბალახი წესრიგში მოჰყავს. სხვათა შორის, ჩვეულებრივი ინგლისელისთვის ეს არის, ალბათ, ერთადერთი შესაძლებლობა, რომ პოლოს დიდი მოყვარულის, პრინც **ჩარლზის** გვერდით გაისეირნოს. მოკლედ, პოლო არა მხოლოდ სპორტი, არამედ მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილიცაა (**რიჩარდ გირს** შემთხვევით არ წაუყვანია ჯულია რობერტსი პოლოზე). სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში კი (სხვათა შორის, დღეს პოლო ყველაზე პოპულარული არგენტინაშია), ძნელია წარმოიდგინო მსხვილი კომპანიის მეპატრონე, რომელიც თვეში რამდენიმე დღეს არ უთმობდეს ცხენებსა და ყვანჯს.

■ ■ ■

ინგლისში ყველაზე ჩამორჩენილი სპორტული კლუბიც კი, თავისი 100-წლიანი ისტორიით იწონებს თავს. გამონაკლისია მხოლოდ Guards Polo Club, რომელიც 1955 წელს შეიქმნა. თავიდან მას Household Brigade Polo Club ერქვა, თავისი დღევანდელი სახელწოდება კი, 1969 წელს მიიღო. მიუხედავად ასეთი ახალგაზრდა ასაკისა, ამ კლუბმა დაარსების დღიდან საკმაოდ მაღალი სტატუსი მოიპოვა. სხვა თუ არაფერი, მისი პრეზიდენტი გახდა ედინბურგის ჰერცოგი, პრინცი **ფილიპი**.

წლების განმავლობაში Guards Polo Club იმდენად გაიზარდა, რომ ახლა ევროპაში ყველაზე მსხვილ პოლო-კლუბად ითვლება და თავის რიგებში ათასობით არამოთამაშე წევრს და დაახლოებით 160 მოქმედ სპორსტმენს აერთიანებს. მაგრამ კლუბის ხელმძღვანელთა სიამაყის განსაკუთრებული საბაბი ისაა, რომ სწორედ მის მოედანზე იმართება მსოფლიოში სამი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალი - Royal Windsor (22 ივნისი), Archie David (29 ივნისი) და Queen's Cup Final (15 ივნისი). ეს უკანასკნელი ამ სიაში პირველია პრესტიჟულობის მხრივ. Queen's Cup Final-ში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები თამაშობენ.

## თამაშის წესები

რადგან პოლოს ცხენებზე ამხედრებულნი თამაშობენ, შესაბამისად, სათამაშო მოედანის ზომებიც დიდია - 275x180 მეტრი. მოედანი დაბალი ლობით არის შემოსაზღვრული. მიზანი მარტივია - მეტოქეზე მეტი ბურთი უნდა გაიტანო კარში, რომლის სიგანე თითქმის 8 მეტრს აღწევს.

თითო გუნდში ოთხი მხედარი ირიცხება. 1 და 2 ნომრები ფორვარდებს ენიჭებათ, 3 - ნახევარმცველია, 4 - მცველი. მოთამაშეები შეიარაღებულნი არიან ყვანჯებით, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, გრძელტარიანი ჩაქუჩებით (120-135 სმ). ამ ინვენტარს ბამბუკისგან, კოპიტისგან ან ნეკერჩხლისგან ამზადებენ.

მატჩი 4-6 ტაიმისგან (ტაიმს ჩაკერი ჰქვია) შედგება. თითოს ხანგრძლივობა 7.5 წუთს შეადგენს. რაც მეტია ჩაკერი, მით უფრო მაღალია ტურნირის სტატუსი (მხედრები ცხენებს ყოველი ჩაკერის შემდეგ იცვლიან). პოლოს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს - ის, ალბათ, ერთადერთი სახეობაა მსოფლიოში, სადაც გუნდები ყოველი გოლის შემდეგ ცვლიან კარებებს. ეს იმიტომ კეთდება, არცერთმა გუნდმა არ მიიღოს ამინდით გამოწვეული გარკვეული უპირატესობა.

ცალკე უნდა ვთქვათ ბურთების შესახებ. ადრე მათ ბამბუკისგან ამზადებდნენ, დღეს კი, ამისთვის პლასტიკატი გამოიყენება. თუმცა ამით ბურთის სიხისტე არ შემცირებულა. თუ 130-გრამიანი და თითქმის 9 სანტიმეტრი დიამეტრის ბურთი სხეულზე მოგხვდათ, ჩათვალეთ, რომ ჰემატომა გარანტირებული გაქვთ. სხვათა შორის, თამაშის ეპიცენტრიდან მაყურებლების მოშორებით ყოფნა სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ბურთი მათ არ მისწვდება. პოლოში 150-მეტრიანი დარტყმები საკმაოდ ხშირი მოვლენაა.

პოლოს წესები მოთამაშეებისა და მათი ცხენების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. მოთამაშე, რომელმაც ბოლო დარტყმა შეასრულა, მოძრაობის პრიორიტეტულ უფლებას იღებს. როცა ის ბურთის მიმართულებას მიყვება, არცერთ სხვა მოთამაშეს არ აქვს მისთვის გზის გადაკვეთის ან შეტაკების უფლება. შეჯახება ან მეტოქის კურსიდან გადახვევა მხოლოდ მაშინ არის ნებადართული, როცა შეტევის კუთხე არანაკლებ 45 გრადუსია. ამასთან, კონტაქტი უნდა ხდებოდეს ცხენის მუხლებსა და მხრებს შორის. თამაშს ორი მსაჯი ხელმძღვანელობს, რომლებიც ასევე ცხენებზე არიან ამხედრებულნი. თუ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ბოლო სიტყვა მთავარ მსაჯს ეკუთვნის, რომელიც მოედნის შუა ხაზთან იმყოფება. წესის დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო დარტყმა ინიშნება. დარღვევის სერიოზულობის გათვალისწინებით, მსაჯს შეუძლია საჯარიმოს შესრულებისას მცველი კარში არ ჩააყენოს.

ცხენის აკაზმულობა ჩვეულებრივისგან განსხვავდება. ფაფარი ძალიან მოკლედ არის შეკრეჭილი, რათა ყვანჯის ქნევას ხელი არ შეუშალოს. ცხენს ფეხებზე სპეციალურ ბანდაჟს აცმევენ, რომელიც შეტაკებებისა და ყვანჯის დარტყმის ძალას ამცირებს. კუდი პოლო-ლენტით არის დახვეული. ნალს ოთხი ქაცვი აქვს, იმისთვის, რომ მინდორთან მოჭიდება უკეთესი იყოს.

ისე კი, პოლოს წესები რომც არ იცოდეთ, მატჩების ცქერა მაინც სახალისოა. ძალიან ჰგავს ცხენოსანი ჯარების შეტაკებას. რა თქმა უნდა, აქ ჩაქუჩებს ერთამანეთს თავში არ ურტყამენ, მაგრამ მაინც მინდორზე რაღაც ბრძოლის მაგვარს ვხედავთ. თანაც, ეს საკმაოდ სახიფათო ბრძოლაა. პირველ რიგში, თავად სპორტსმენებისთვის, რომლებიც ცხენებიდან ჩამოვარდნისას, ხშირად სერიოზულ ტრავმებს იღებენ. ამიტომაც, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ პოლოს კლუბების მოქმედი მოთამაშეების რიცხვი გაცილებით ნაკლებია იმათზე, ვინც უბრალოდ, თამაშის ცქერას ამჯობინებს.

## პოლო-პონი

ზემოთ რამდენჯერმე ცხენი ვახსენეთ და პრინციპში, ეს შეცდომაა.

პოლო სპორტის ელიტურ სახეობებს განეკუთვნება, რომლის მთავარი ატრიბუტი საშუალოდ დაახლოებით 50 ათასი დოლარი ჯდება. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვყავს პოლო-პონი - ცხენის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც სპეციალურად პოლოსთვის არის გამოყვანილი. თეორიულად, რა თქმა უნდა, პოლოს თამაში ჩვეულებრივი ცხენითაც შეიძლება. მაგრამ ეს უკვე აღარ იქნება ნამდვილი თამაში: ადამიანი, რომელიც პოლოს მისდევს, ნამდვილი პოლო-პონის მფლობელი უნდა იყოს. ასეთები არგენტინიდან ჩამოჰყავთ. ამ ქვეყანამ პოლოსთვის განკუთვნილი ცხენების სელექციაში დიდ წარმატებებს მიაღწია.

პოლო-პონის მთავარი ღირსება - სისწრაფე და მანევრირებაა. ხანდახან, მას 60 კილომეტრი საათში სირბილისას მკვეთრად დამუხრუჭება და საპირისპირო მიმართულებით შემოტრიალება უწევს. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, რომ მხედარი თავს საკმარისად კომფორტულად უნდა გრძნობდეს, რათა ყვანჯი მოხერხებულად ატრიალოს.

ასეთი დატვირთვებით, პოლო-პონი მხოლოდ ერთ ჩაკერს უძლებს. შესაბამისად, სერიოზულ მოთამაშეს, როგორც წესი, თავის განკარგულებაში ექვსი პონი ჰყავს - თითო მატჩის თითო პერიოდისთვის. მოკლედ, ამ ექვსი პონის საერთო ღირებულების გათვალისწინებით (300 ათასი დოლარი), პოლო შეძლებული ადამიანების გართობაა.

**გია თვალაბეიშვილი**